

ბიძინა კანაშვილი

პოლიტრაკმით ინდუცირებული სეფსისისა
და სექტიკური შოკის აღრეული
დიაგნოსტიკა და მართვა

ნიუ ვიუენ უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი
2021

ბიძინა კანაშვილი

პოლიტრამით ინდუცირებული სეფსისისა და სეპტიკური შოკის
ადრეული დიაგნოსტიკა და მართვა

ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის გამომცემლობა

ნაშრომი შესრულებულია: ნიუ ვიჟენ ჰოსპიტალში, ალექსანდრე
ალადაშვილის სახელობის კლინიკაში, ჰონგ-კონგის დედოფალ
მერის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკაში
ნაშრომის მასალები მოხსენებული და მხარდაჭერილია ექიმთა
ასოციაცია „სეფსისის“ მიერ

მედიცინის სადოქტორო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ლევან რატიანი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
ხათუნა საგანელიძე, მედიცინის აკადემიური დოქტორი,
პროფესორი

სარჩევი

თავი I. ნაშრომის აქტუალურობა და მიზნები	4
თავი II. ლიტერატურის მიმოხილვა	13
თავი III. კვლევის მასალა და მეთოდები	63
თავი IV. პოლიტრავმით ინდუცირებული სეფსის და სეპტიკური შოკის ანტიბაქტერიული მკურნალობის თანამედროვე პრინციპები (მიმოხილვა)	85
თავი V. პოლიტრავმულ პაციენტებში პროკალციტონინის და ლაქტატის როლის განსაზღვრა სეფსისის და სეპტიკური შოკის პროგნოზირებაში	107
თავი VI. წითელი სისხლის მარკერების კორელაცია პოლიტრავმით ინდუცირებული სეფსისის/სეპტიკური შოკის მქონე პაციენტებში	121
თავი VII. საკუთარი კვლევის შედეგები და მათი განხილვა	135
თავი VIII. დებულებები	149
თავი IX. გამოყენებული ლიტერატურა	152
თავი X. Thesis of Phd Scientific Study	187

I. ნაშრომის აქტუალურობა და მიზნები

პრობლემის აქტუალურობა

თანამედროვე მსოფლიოში, სხეულის სხვადასხვა არის მრავლობითი ტრავმული დაზიანება წარმოადგენს ინვალიდობის და ლეტალობის გამომწვევე ერთ-ერთ ძირითად მიზეზს [1,2,3,4].

მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად 180 000 ადამიანზე მეტი იღუპება, ყოველ 3 წუთში – 1 ადამიანი. 2014 წელს 2.5 მილიონი ადამიანი მოთავსდა სტაციონარში ტრავმული დაზიანების დიაგნოზით, რაც ქვეყნისთვის დიდი ეკონომიკური ზარალის მომტანი იყო. მხოლოდ 2013 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული მონაცემებით ზარალი შეადგენდა 671 მილიარდ დოლარს [5].

თანამედროვე მსოფლიოში სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების სიჩქარის და შენობათა სიმაღლის ზრდამ განაპირობა მაღალი ენერჯის ტრავმათა ინციდენტობის პირდაპირპროპორციული მატება [6]. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით, იცვლება ტრავმულ დაზიანებათა ინციდენტობის მანვენებელი და თავისებურებები [7]. ცნობილია, რომ ადამიანთა სიცოცხლის პირველ ნახევარში (1-დან 44-წლამდე) ლეტალობის განმაპირობებელ წამყვან მიზეზს ტრავმული დაზიანება წარმოადგენს [5]. ტრავმული დაზიანების გამომწვევი ძირითადი მიზეზებია სხვადასხვა ტიპის შეღწევადი და ბლაგვი დაზიანებები, კერძოდ: ავტოსაგზაო შემთხვევები, ცეცხლსასროლი იარაღით ან ბასრი საგნით მიყენებული ჭრილობები, სიმაღლიდან ვარდნა და სხვა.

65 წელს გადაცილებულ პაციენტებში პოლიტრავმული დაზიანება მეტად სახიფათოა და მის მიმდინარეობას ხშირად თანმხლები ქრონიკული დაავადებების არსებობა ამძიმებს [8, 9]. სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში ერთი და იმავე სიმძიმის ტრავმულ დაზიანებას შესაძლო გართულებათა განვითარების სხვადასხვა ალბათობა და მანიფესტაციის ხარისხი აქვს [10].

პოლიტრავმული დაზიანების დროს, სიკვდილიანობის მანვენებლის 20% გვიან პერიოდზე მოდის, რაც ძირითადად განპირობებულია სეფსის/სეპტიკური შოკითა და მულტიორგანული უკმარისობით [11]. გასათვალისწინებელია, რომ გადარჩენილ პაციენტთა მნიშვნელოვან ნაწილს

უნარშეზღუდვის გარკვეული დონე აღენიშნება, რაც სიცოცხლის ხარისხს აქვეითებს. მსგავსი მდგომარეობები არამხოლოდ პაციენტისთვისაა ზარალის მომტანი, არამედ მისი ოჯახის წევრებისა და საზოგადოებისთვისაც [12].

აღსანიშნავია, რომ ანტიბიოტიკების მიმართ მიკროორგანიზმთა რეზისტენტობის პროგრესულმა ზრდამ, კიდევ უფრო გაართულა ინფექციური პროცესების განვითარების პრევენცია, ადრეული დიაგნოსტიკა და მართვა [13]. ასევე იმატა ისეთ ქრონიკულ დაავადებათა სიხშირემ, როგორებიცაა: შაქრიანი დიაბეტი, იმუნოდეფიციტური მდგომარეობები, ღვიძლისა და სანაღვლე გზების, გულ-სისხლძარღვთა და შარდ-სასქესო სისტემების ქრონიკული დაავადებები და სხვა [14]. ეს ყველაფერი უფრო მეტად ასუსტებს ორგანიზმის იმუნურ სტატუსს, შესაბამისად, მსგავსი ტიპის პაციენტებში ინფექციურ გართულებათა ინციდენტობა და მანიფესტაციის ხარისხი იზრდება [15].

პოლიტრავმული დაზიანების გვიან პერიოდში, ლეტალობის მაჩვენებელი ძირითადად განპირობებულია ცენტრალური ნერვული სისტემის პროგრესირებადი დაზიანებით, სეფსისითა და სეპტიკური შოკით [16].

სეფსისი და სეპტიკური შოკი წარმოადგენენ მძიმე პროგნოზის მქონე მდგომარეობებს და ყოველწლიურად საფრთხეს უქმნიან მილიონობით ადამიანის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს. მათი სწრაფი დიაგნოსტიკა და მკურნალობის დროული დაწყება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს პაციენტის მდგომარეობას, რაც დაავადების საბოლოო გამოსავალზე აისახება [17-18].

სისტემური ანთებითი პასუხის სინდრომი და მისი კრიტერიუმის ნიშნების (SIRS) მგრძობელობა და სპეციფიკურობა დაბალია [19]. მისი გამოყენება ინფექციური გართულებების ადრეულ დიაგნოსტიკასა და მართვაში ხშირად არაეფექტურია. შესაბამისად, მიზანშეწონილია მოძიებულ იქნას პათოლოგიის მართვის ალტერნატიული ბერკეტები.

ანტიბიოტიკოთერაპიის განვითარებამდე ტრავმული დაზიანებით ინდუცირებული სეფსისი და სეპტიკური შოკი განიხილებოდა, როგორც ლეტალობის 100%-იანი მაჩვენებლის მქონე გამოუვალი მდგომარეობები [20]. სამკურნალო საშუალებებისა და მედიკამენტების ევოლუციამ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში აღნიშნულ პრობლემას აქტუალობა

შეუსუსტა. მიკროორგანიზმთა მხრიდან ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობის პროგრესულმა მატებამ კვლავ გაართულა ინფექციური გართულებების მკურნალობა და გაზარდა მათთან ასოცირებული ავადობის, ლეტალობის და ჰოსპიტალიზაციის დღეების რაოდენობის მაჩვენებლები [18].

თანამედროვე ლიტერატურაში უხვად მოიპოვება ინფორმაცია ინფექციური პათოლოგიების დიაგნოსტიკასა და მენჯემენტში ანთებითი ბიომარკერების როლის შესახებ. პროკალციტონინი, ლაქტატი, CRP რაოდენობრივი და ერთროციტების დალექვის სიჩქარე წარმოადგენენ იმ ინდიკატორებს, რომელთაც შეუძლიათ დახმარება გაგვიწიონ პოლიტრავმით ინდუცირებული ინფექციური პათოლოგიების ადრეულ დიაგნოსტიკაში, გართულებათა მენჯემენტსა და გამოსავლის პროგნოზირებაში [21-27]. ჩამოთვლილთაგან პროკალციტონინის და ლაქტატის როლი, დანარჩენ ორთან შედარებით, ნაკლებადაა შესწავლილი პოლიტრავმით ინდუცირებული სეფსისისა და სეპტიკური შოკის შემთხვევაში. არსებულ ლიტერატურულ მონაცემებშიც აღნიშნული მარკერების დიაგნოსტიკური ღირებულება ბაქტერიული ინფექციით გართულების შესაფასებლად არაერთგვაროვანია და ხშირად ურთიერთგამომრიცხავი.

ცნობილია, რომ შემთხვევათა დიდ ნაწილში პოლიტრავმა, ამა თუ იმ დაზიანების კორექციის მიზნით, ქირურგიულ ინტერვენციას თხოულობს. თანმხლები ქირურგიული ჩარევები დამატებით ზრდის მიკრობებით ინფიცირების რისკს და განაპირობებს ორგანიზმში სისტემური ანთებითი რეაქციების განვითარებას. ასევე, პოლიტრავმულ დაზიანებასთან ასოცირებული ანემია, რომლის განვითარების ალბათობა პოლიტრავმული დაზიანების მქონე პაციენტებში მაღალია, ავტორთა მონაცემებით, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტრავმის მართვასა და გამოსავლის პროგნოზირებაში [28, 29]. აღსანიშნავია, რომ პოლიტრავმით ინდუცირებული სეფსისისა და სეპტიკური შოკის დროს ლიტერატურულ წყაროებში ვერ ვნახეთ თანამედროვე მწვავე ანთებითი მარკერების კორელაციური კავშირები ერთმანეთთან, სისხლის საერთო ანალიზის კომპონენტებსა და პერიფერიული სისხლის ისეთ მაჩვენებლებთან, როგორებიცაა: ჟანგბადის და ნახშირორჟანგის პარციალური წნევა, PH, ლეიკოციტების

რაოდენობა, ფრაქციული ოქსიჰემოგლობინი, ჰემატოკრიტი, ფრაქციული მეთემოგლობინი, ფიბრინოგენი, ფრაქციული დიოქსიჰემოგლობინი, ფრაქციული კარბოქსიჰემოგლობინი, ჰემოგლობინის კონცენტრაცია, გლუკოზის, ნატრიუმის, კალიუმის, ქლორის და კალციუმის კონცენტრაციები. რასაც, შესაძლოა, მარკერთა დიაგნოსტიკური ღირებულება გამოეყვლინა.

უდავოა, რომ დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში თანამედროვე მეთოდების გამოყენება დღევანდელი მედიცინის მოთხოვნაა. მაგრამ ასევე ცხადია, რომ თანამედროვე კვლევები, როგორც წესი, დაკავშირებულია გაზრდილ ეკონომიკურ ხარჯებთან, რაც ჩვენი ქვეყნის და მოსახლეობის ეკონომიკური სტატუსის მქონე ქვეყნისათვის ერთობ მნიშვნელოვანი პრობლემა ხდება. ინფექციის მართვის თანამედროვე მეთოდების კორელაციური კავშირების პოვნა დიაგნოსტიკის ისეთ იაფფასიან და რუტინულ კვლევებთან, როგორებიცაა პერიფერიული სისხლის ანალიზის და კოაგულოგრამის კომპონენტები, საშუალებას მოგვცემდა რიგ შემთხვევებში, ნაკლები დანახარჯებით გვემართა ინფექციური გართულებები პოლიტრავმით ავადმყოფებში.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ვფიქრობთ, რომ პოლიტრავმით ავადმყოფებში ინფექციური გართულებების დიაგნოსტიკის ახალი გზების ძიება თანამედროვე მედიცინის ერთობ აქტუალური პრობლემაა და ვიმედოვნებთ, რომ ამ პრობლემების გადაწყვეტა პაციენტებში გართულებათა ადრეული დიაგნოსტიკის და მართვის გაუმჯობესების შესაძლებლობებს მოგვცემს.

კვლევის მიზანი

- ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა პოლიტრავმით ავადმყოფებში სეფსისისა და სეპტიკური შოკის დიაგნოსტიკის მეთოდების გაუმჯობესება, აღნიშნულ მიმე გართულებათა დროულად ამოცნობის და მართვის მიზნით.
- მწვავე ანთების თანამედროვე მარკერების თავისებურებების გამოვლენა სეფსისითა და სეპტიკური შოკით გართულებული პოლიტრავმების დროს.
- მწვავე ანთების თანამედროვე მარკერებსა და რუტინული კვლევების მონაცემთა შორის კორელაციური კავშირების

გამოვლენის გზით ინფექციით გართულების დიაგნოსტიკური შესაძლებლობების გაზრდა და ასევე, ძვირადღირებული თანამედროვე კვლევების შეზღუდული შესაძლებლობების შემთხვევაში, ნაკლები დანახარჯებით დიაგნოსტიკის შესაძლებლობების გამოვლენა სეფსისისა და სეპტიკური შოკის წარმატებით მართვის მიზნით.

დასახული ამოცანები

1. პოლიტრავმით ინდუცირებული სეფსისითა და სეპტიკური შოკით პაციენტთა სისხლში მწვავე ანთების ბიომარკერების: ცერეაქტიული ცილის, პროკალციტონინის და ლაქტატის კონცენტრაციის დინამიკური ცვლილებების შესწავლა და თავისებურებების გამოვლენა.
2. მწვავე ანთების თანამედროვე მარკერების დინამიკური კორელაციური კავშირების დადგენა პოლიტრავმით ინდუცირებული სეფსისისა და სეპტიკური შოკის დიაგნოზის მქონე პაციენტთა პერიფერიული სისხლის საერთო (ლეიკოციტები, ერითროციტები, ჰემოგლობინი, ჰემატოკრიტი, ფრაქციული ოქსიჰემოგლობინი, ფრაქციული დიოქსიჰემოგლობინი, ფრაქციული კარბოქსიჰემოგლობინი, ლიმფოციტები, მონოციტები), სისხლის ბიოქიმიური (გლუკოზა), სისხლის გაზების და ელექტროლიტების (ნატრიუმი, კალიუმი, ქლორი, კალციუმი, PH, ნახშირორჟანგისა და ჟანგბადის პარციალური წნევები) ანალიზების და სისხლის კოაგულოგრაფიის (ფიბრინოგენი) იმ მაჩვენებლებთან, რომელნიც ყველაზე მეტ ცვლილებებს ავლენდნენ.
3. იმ კონცეფციის შექმნა, რომელიც გააუმჯობესებს პოლიტრავმით ინდუცირებული მძიმე ინფექციური გართულებების სეფსისისა და სეპტიკური შოკის ადრეულ დიაგნოსტიკას, მართვასა და გამოსავლის პროგნოზირებას ნაკლები დანახარჯებით.

კვლევის მეცნიერული სიახლე

– მწვავე ანთების თანამედროვე მარკერების – სისხლში პროკალციტონინის, CRP და ლაქტატის სისხლში კონცენტრაციების დინამიკაში შესწავლის გზით გამოვლენილია მათი თავისებურება პოლიტრავმით ინდუცირებული სეფსისისა და სეპტიკური შოკის დროს. რაც ვლინდება შემდეგში: სხვა

წარმოშობის სეფსისებისაგან განსხვავებით, ყველა აღნიშნული მარკერი ხასიათდება ნაკლები დინამიზმით, რაც აიხსნება პოლიტრავმის დროს ძვლებისა და რბილი ქსოვილების ნეკროზული დაზიანებების სიჭარბით და აღნიშნული მიზეზით გამოწვეული აუტოქსოვილოვანი (მიკრობული ენდოტოქსინემიის მსგავსი) ინტოქსიკაციის გავლენით მწვავე ანთების მარკერებზე. რაც რამდენადმე აკნინებს მათ როლს მიკრობული ინტოქსიკაციის ხარისხის შეფასებაში.

– პოლიტრავმით ინდუცირებული სეფსისისა და სეპტიკური შოკის დროს გამოვლენილია დინამიკური კორელაციური კავშირები მწვავე ანთების თანამედროვე მარკერებს (პროკალციტონინის, CRP-ს, ლაქტატის სისხლში კონცენტრაციები) და რუტინული კვლევების (პერიფერიული სისხლის საერთო ანალიზი, სისხლში გაზებისა და ელექტროლიტების განსაზღვრა, სისხლის კოაგულოგრამა) ზოგიერთ მაჩვენებელს შორის. აღნიშნული, კომპლექსური კვლევების დროს ზრდის სეფსისისა და სეპტიკური შოკის დროული დიაგნოსტიკის საშუალებებას. ხოლო თანამედროვე კვლევების ჩატარების ამა თუ იმ მიზეზით (მაგ. მცირე ეკონომიკური სახსრები), შეუძლებლობის შემთხვევაში საშუალებას გვაძლევს გაზრდილი ინფორმაციულობით გამოვიყენოთ რუტინული კვლევები.

– გამოვლენილია ფიბრინოგენის კონცენტრაციის და ლიმფოპენიის პირდაპირი კორელაციური კავშირები მწვავე ანთების თანამედროვე მარკერებთან, რის გამოც, ისინი, ლეიკოციტოზის, ნეიტროფილოზის და ედსის მსგავსად შეიძლება მწვავე ინფექციური ანთების მარკერებად მივიჩნიოთ სეფსისითა და სეპტიკური შოკით გართულებული პოლიტრავმის დროს. ნანახია, რომ პოლიტრავმით ინდუცირებული სეფსისისა და სეპტიკური შოკის დიაგნოზის მქონე პაციენტთა სისხლში ჰიპოფიბრინოგენემია მჭიდრო კორელაციურ კავშირშია SO₂-თან, PCO₂-თან და FHHB-სთან და მნიშვნელოვან მარკერს წარმოადგენს ქსოვილოვანი ჰიპოქსიის შეფასებაში;

კვლევის ძირითადი დებულებები

1. პოლიტრავმით ინდუცირებული სეფსისისა და სეპტიკური შოკის დროს მწვავე ანთების თანამედროვე მარკერების (პროკალციტონინი, CRP რაოდენობრივი და ლაქტატი)

კონცენტრაცია სისხლში იზრდება. ამასთან, CRP რაოდენობრივი ინფექციურ პროცესზე რეაგირების დინამიზმით აღემატება პროკალციტონინს და ლაქტატს, ხოლო პროკალციტონინის სენსიტიურობა რამდენადმე აღემატება ლაქტატისას და CRP რაოდენობრივისას.

2. CRP რაოდენობრივის, პროკალციტონინისა და ლაქტატის კონცენტრაციის ცვლილება პოლიტრავმით ინდუცირებული სეფსისისა და სეპტიკური შოკის დროს გამოირჩევა სპეციფიკურობით: სხვა წარმოშობის სეფსისისა და სეპტიკური შოკისგან განსხვავებით, პოლიტრავმით ინდუცირებული მძიმე ინფექციების დროს, მწვავე ანთების ეს მარკერები ხასიათდება ნაკლები დინამიზმით, რაც პოლიტრავმით განპირობებული ნეკროზული ქსოვილების სიმრავლითა და აუტოქსოვილოვანი ინტოქსიკაციით აიხსნება.

3. პოლიტრავმით გამოწვეული ნეკროზულ-აუტოქსოვილოვანი და ინფექციური ინტოქსიკაციის კომპლექსური გავლენა სისხლში CRP-ს, პროკალციტონინის ლაქტატის კონცენტრაციებზე, ერთგვარად აკნინებს მწვავე ანთების მარკერების როლს ინფექციის დიაგნოსტიკასა და მართვაში, მაგრამ ზრდის მათ მნიშვნელობას ზოგადად ინტოქსიკაციის მართვაში.

4. გამოვლენილი დინამიკური კორელაციური კავშირები მწვავე ანთების თანამედროვე ბიომარკერებსა და რუტინული კვლევების ისეთ მაჩვენებლებს შორის, როგორებიცაა პერიფერიულ სისხლში ფიბრინოგენის კონცენტრაცია, ლეიკოციტების და ლიმფოციტების რაოდენობა, საშუალებას გვაძლევს რიგ შემთხვევებში ძვირადღირებული კვლევები ჩავანაცვლოთ ეკონომიკურად ნაკლებ დანახარჯიანი დიაგნოსტიკური საშუალებებით.

5. სეფსისით გართულებული პოლიტრავმის დროს მკურნალობის მე-5 და მე-10 დღეებში CRP-ს და 15-დან 25 დღემდე პროკალციტონინის მატება, ავადმყოფის კლინიკური გაუმჯობესების პირობებში, უარყოფითი პროგნოზის და წარუმატებელი მკურნალობის მარკერად არ უნდა მივიჩნიოთ.

6. პოლიტრავმით ინდუცირებული სეფსისისა და სეპტიკური შოკით წარმატებით ნამკურნალებ პაციენტებში, მკურნალობის მე-40 – 45-ე დღეებზე, კლინიკური გაუმჯობესების ფონზე,

მწვავე ანთების მარკერების ნორმასთან შედარებით მცირე მატება არ წარმოადგენს ავადმყოფთა სტაციონარული მკურნალობის გაგრძელების ჩვენებას.

7. პოლიტრავმით ინდუცირებული სეფსისისა და სეპტიკური შოკის დიაგნოზის მქონე პაციენტთა სისხლში ჰიპოფიბრინოგენემია მჭიდრო კორელაციურ კავშირშია SO₂-თან, PCO₂-თან და FHHB-თან და მნიშვნელოვან მარკერს წარმოადგენს ქსოვილოვანი ჰიპოქსიის შეფასებაში;

8. მწვავე ანთების მარკერებთან სარწმუნო კორელაციური კავშირის გამო (მცირე კორელაცია პროკალციტონინთან, საშუალო სისხლში ლეიკოციტების და ნეოტროფილების რაოდენობასთან და მაღალ CRP-რაოდენობრივთან) ფიბრონოგენის მნიშვნელობა სცილდება მისი, როგორც კოაგულაციური ფაქტორის ღირებულებას. ჰიპერფიბრინოგენემია სისხლში მწვავე ანთების სხვა მარკერებთან ერთად, შეიძლება, ბაქტერიული ინფექციით გართულების ირიბ, მაგრამ ღირებულ მარკერად ჩაითვალოს პოლიტრავმით ინდუცირებული სეფსისისა და სეპტიკური შოკის ადრეულ დიაგნოსტიკასა და მართვაში.

სტატისტიკური დამუშავება

მიღებული შედეგების სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა SPSS (ვერსია 20.0) პროგრამული პაკეტით. შედეგები მიღებულ იქნა საშუალო სიდიდეების სტანდარტული ცდომილების სახით. სხვაობა ჯგუფებს შორის შეფასებულია სტუდენტის ტ-კრიტერიუმით. ყველა შემთხვევაში სტატისტიკური სარწმუნოება განისაზღვრა $P < 0.05$ მაჩვენებლის მიხედვით. მიღებულ პარამეტრებს შორის დამოკიდებულების გამოვლენის მიზნით ჩატარდა კორელაციური ანალიზი დინამიკაში.

II. ლიტერატურის მიმოხილვა

პოლიტრავმული დაზიანების განმარტება:

პოლიტრავმა წარმოადგენს სხეულის მრავლობითი უბნების დაზიანების შედეგად განვითარებულ სინდრომს, რომლის დროსაც დაზიანების სიმძიმის ქულა (დსქ) 17 ან მეტია. მას ხშირად თან ახლავს ისეთი ორგანოების დისფუნქცია, რომელნიც უშუალოდ არ დაზიანდნენ ტრავმის მიღების მომენტში.

დაზიანების სიმძიმის ქულის (დსქ) გამოთვლა ხდება, სხვადასხვა ანატომიური უბნის დაზიანების ხარისხის ქულების (დსქ) მიხედვით. დაზიანება უნდა მოიცავდეს სხეულის მინიმუმ 2 სხვადასხვა უბანს.

AIS - დაზიანების აბრავირებული მასშტაბი	დაზიანების ხარისხი
1 ქულა	უმნიშვნელო
2 ქულა	საშუალო
3 ქულა	მნიშვნელოვანი
4 ქულა	მძიმე
5 ქულა	კრიტიკული
6 ქულა	სრული დაზიანება

www.trauma.org/archive/scores/AIS

სურათი 1.

დაზიანების ხარისხი ფასდება დაზიანების ხარისხის საერთაშორისო 6-ქულიანი სისტემით (AIS). (სურათი 1).

დაზიანების სიმძიმის ქულის (დსქ) გამოთვლა

მიდამო	დაზიანების აღწერა	დსქ	3 უმაღლესი ქულის კვადრატი
თავი და კისერი	ტვინის შერყევა	3	9
სახე	დაზიანების გარეშე	0	
გულმკერდი	გულმკერდის ყაფაზის კოლაფსი	4	16
მუცლის ღრუ	ღვიძლის დაჟეჟილობა	2	25
	ელენთის სრული გაგლეჯა	5	
მენჯი/კიდურები	ბარძაყის დიაფიზური მოტეხილობა	3	
სხვა	დაზიანების გარეშე	0	
დსქ=3 უმაღლესი ქულის კვადრატის ჯამი=9+16+25			50

www.trauma.org/archive/scores/iss

სურათი 2.

მაგალითად, ტვინის დაჟეჟილობა მიეკუთვნება მნიშვნელოვან დაზიანებას და ფასდება 3 ქულით, აბდომინური სისტემის მხრივ - ელენთის სრული გაგლეჯა მიეკუთვნება კრიტიკულ დაზიანებას და ფასდება 5 ქულით, გულმკერდის სისტემის მხრივ - ყაფაზის კოლაფსი მძიმე დაზიანებად კლასიფიცირდება და ფასდება 4 ქულით. ჯამდება სხეულის ჩამოთვლილი უბნების ყველაზე მაღალი დაზიანების ხარისხის ქულების კვადრატები და მიღებული მანკენებელი წარმოადგენს დაზიანების სიმძიმის ქულას. პოლიტრავმული დაზიანების შემთხვევაში დაზიანების სიმძიმის ქულა 17 ან მასზე მეტია (სურათი 2).

პოლიტრავმული დაზიანების მქონე პაციენტებში მოტეხილობების ინციდენტობის სიხშირე მაღალია [30, 31]. მოტეხილობა მიიჩნევა ძვლის და მის ირგვლივმდებარე რბილი ქსოვილების დაზიანებად, რომელსაც ძალუძს, ორგანიზმში სტრესული რეაქციები, ტკივილი და სისხლდენა გამოიწვიოს [32]. ჭრილობების არსებობის შემთხვევაში, შესაძლოა მოტეხილობის მიდამო დაინფიცირდეს მიკროორგანიზმებით. ასევე არსებობს კომპარტმენტ-სინდრომის (იშემიურ-რეპერფუზიული დაზიანება) განვითარების ალბათობა [33]. საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის არასტაბილურობა ართულებს პაციენტთა მოვლას [34].

პათოფიზიოლოგია: მოტეხილობების გარშემო არსებული დაზიანების არეში ვითარდება ტრავმული ანთება, რაც ინდუცირებულია მკვდარი და იშემიური ქსოვილების არსებობაზე ორგანიზმის საპასუხო რეაქციით. დაზიანების არეში უხვად კონცენტრირდება სისტემური ანთების სხვადასხვა მედიატორები, ციტოკინები და მაკროფაგები. ორგანიზმში, ამ ტიპის მექანიზმები იწვევს ადგილობრივი და სისტემური ანთების რეაქციების განვითარებას [32].

ტკივილის სინდრომი და ორგანიზმის სტრესული რეაქცია წარმოადგენს ნეიროენდოკრინული, ნეიროიმუნოლოგიური და მეტაბოლური პასუხების გამშვებ მექანიზმებს [35]. თუ ამ გამღიზიანებლებს ემატება მოტეხილობებთან ასოცირებული ჰემორაგია, მიკროორგანიზმებით კონტამინაცია და იშემიურ-რეპერფუზიული სინდრომი, შესაძლებელია, განვითარდეს სისტემური ანთებითი რეაქციის სინდრომი [36]. სისტემური ანთებითი რეაქციის სინდრომის ნიშნებია (SIRS): გულისცემის სიხშირე $> 90/წუთში$, სუნთქვის სიხშირე $> 20/წუთში$, ლეიკოციტების რაოდენობა მეტია 12.000-ზე ან ნაკლებია 4.000-ზე, ტემპერატურა ნაკლებია 36.0 გრადუსზე ან მეტია 38.3 გრადუსზე. ორი ან მეტი ნიშნის ერთდროულად არსებობის შემთხვევაში, ეჭვის ქვეშ დგება სეფსისის ან სეპტიკური შოკის არსებობა [19].

აღსანიშნავია, რომ 2016 წლიდან SIRS კრიტერიუმი ნაკლებად გამოიყენება, ვინაიდან მისი მგრძობელობა და სპეციფიკურობა დაბალია. სისტემური ანთებითი რეაქციის სინდრომის არსებობისას ვითარდება ინტენსიური კაპილარული ჟონვა და ქსოვილებში ჟანგბადდამოკიდებული პროცესების ზრდა [37, 38]. აღნიშნული ჰიპერმეტაბოლური მდგომარეობის დროს, იზრდება ორგანიზმის ზოგადი ტემპერატურა. ასეთ შემთხვევაში, თუ დროულად არ მოხდა ჰემოდინამიკური მანევრებლების ნორმალიზება, პროცესი ორგანიზმის გამოფიტვაში გადაიზრდება. განვითარებულ იმუნოსუპრესიაზე სეფსისური გართულების თანდართვა კიდევ უფრო ზრდის უჯრედების დაზიანებისა და ორგანოთა დისფუნქციის ხარისხებს [39].

ქირურგიული ჩარევების ჩასატარებლად ხელსაყრელი დრო: საწყის ეტაპზე პოლიტრავმულ პაციენტებში მკურნალობის პრიორიტეტს წარმოადგენს სასიცოცხლო

ფუნქციების შენარჩუნება და პაციენტის მდგომარეობის დასტაბილურება[40]. არაოპერაციულ ღონისძიებებს მიეკუთვნება ინტუბაცია, შემდგომი ოქიგენოთერაპიით, და ტრანსფუზიული ღონისძიებები, ხოლო ოპერაციულს – სხეულის დრუ სივრცეების დეკომპრესია (დაჭიმული პნევმოთორაქსი, გულის ტამპონადა, ეპიდურული ჰემატომა), სისხლდენის შეჩერება (ჰემოთორაქსი, ჰემოპერიტონეუმი, მენჯის მრავალფრაგმენტოვანი არასტაბილური მოტეხილობების ფიქსაცია, კიდურის ამპუტაცია [40]. თუ პაციენტის მდგომარეობა კრიტიკულად მძიმეა, სისხლდენი და ფართომასშტაბიანი ჩარევების ჩატარება არამიზანშეწონილია. პოლიტრავმული დაზიანების არსებობის შემთხვევაში მაღალია ინფექციური გართულების განვითარების რისკი. საწყის ეტაპზე რეკომენდებულია მაქსიმალურად ნაკლები იმპლანტების გამოყენება, რაც ამცირებს იმპლანტასოცირებული ინფექციების განვითარების ალბათობას [41].

ისეთი პროცედურების პარალელურად, როგორებიცაა სისხლდენის შესაჩერებლად გამოყენებული ტამპონირება, არასტაბილური მენჯის და ლულოვანი ძვლების მოტეხილობის გარეგანი ფიქსაცია, ჭრილობებების პროვიზორული დახურვა, უნდა ხორციელდებოდეს რეანიმაციული ღონისძიებები ჰემოდინამიკური მაჩვენებლების სტაბილიზაციის მიზნით [40]. მას შემდეგ, რაც პაციენტის მდგომარეობა გაუმჯობესდება, შესაძლოა ჩატარდეს სრულფასოვანი ქირურგიული ჩარევები. ამ ტიპის ეტაპობრივი ოპერაციული მკურნალობა პაციენტთა დაახლოებით 1/3-ში ხდება საჭირო [42].

მოტეხილობები, რომელნიც წარმოადგენენ ოპერაციული მკურნალობის ჩატარების აბსოლუტურ ჩვენებას:

1. კიდურის დაკარგვის საფრთხის შემცველი მოტეხილობები (ღია მოტეხილობების ჩათვლით), საჭიროებს პირველად ქირურგიულ დამუშავებას, ფასციოტომიას, მოტეხილობათა რეპოზიციას, სტაბილიზაციასა და სისხლის მიმოქცევის შეძლებისდაგვარად აღდგენას [43].
2. გრძელი ლულოვანი ძვლების მოტეხილობა (განსაკუთრებით, ბარძაყის ძვლის დიაფიზი), მენჯის არასტაბილური მოტეხილობები, ხერხემლის არასტაბილური მოტეხილობები საჭიროებს, სულ მცირე, პროვიზორულ რეპოზიციას და პირველად ფიქსაციას [44].

3. კვლევებით დასტურდება, რომ პირველადი ფიქსაცია არაკეროვანი ოსტეოსინთეზის აპარატით და შემდგომი საბოლოო მკურნალობა, აქვეითებს პაციენტთა ლეტალობისა და ავადობის მაჩვენებლებს [44].

პირველადი ფიქსაციის დადებით მხარეს წარმოადგენს ისეთი გართულებების შემცირება, როგორცაა: ცხიმოვანი ემბოლიზაცია, პნევმონია, სეფსისი და თრომბოზი. აღნიშნული ღონისძიებები მნიშვნელოვნად აუმჯობესებენ პაციენტთა მოვლის შესაძლებლობებს და ტკივილის მართვას. ვინაიდან პოლიტრავმული დაზიანების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში ორგანიზმში მიმდინარეობს იმუნური პროცესების გაძლიერება და წარმოიქმნება ანთებითი რეაქციები, შესაბამისად პოლიტრავმული დაზიანების მქონე პაციენტებში ფართომასშტაბიანი და სისხლმდენი ოპერაციების ჩატარება პირველი 5 დღის განმავლობაში არამიზანშეწონილია. 5 დღის შემდგომ, დადებითი დინამიკის არსებობის შემთხვევაში, 2 კვირის მანძილზე ვითარდება იმუნოსუპრესია. რეკონსტრუქციული ოპერაციების ჩატარება რეკომენდებულია პოლიტრავმული დაზიანების მიღებიდან 3 კვირის შემდეგ [45].

მოტეხილობები განაპირობებენ ორგანიზმში სისტემური რეაქციების წარმოქმნას. აღნიშნული ცვლილებები ვითარდება შემდეგი კომპონენტების ხარჯზე: სისხლდენა (მეტად დამახასიათებელია მენჯის და ბარძაყის ძვლის დიაფიზური მოტეხილობებისთვის); კონტამინაცია (ღია მოტეხილობა ყოველთვის ითვლება დაბინძურებულად) – რის შესამცირებლადაც ხშირად საჭიროა მრავალჯერადი დებრიდმენტი; ნეკროზული და იშემიური ქსოვილების არსებობა (განსაკუთრებით, მაღალი ენერჯის ტრავმის მიღების შემთხვევაში); იშემიურ-რეპერფუზიული სინდრომი (კომპარტმენტ-სინდრომი); ტკივილი (არასტაბილური მოტეხილობები) და მოტეხილობები რომელნიც ართულებენ პაციენტთა მოვლას [36].

საწყის ეტაპზე პოლიტრავმული დაზიანების მკურნალობა მიზნად ისახავს:

- სისხლდენის შეჩერებას;
- დაბინძურებული ჭრილობების გასუფთავებას და იშემიურ-რეპერფუზიული სინდრომის პრევენციას;

- ტკივილის სინდრომის ინტენსივობის შემცირებას;
- პაციენტის მოვლის შესაძლებლობის გაუმჯობესებას [44].

ამ ყველაფრის განხორციელება შესაძლებელია, შემდეგი ღონისძიებებით: კემოსტაზის ჩატარება, ჭრილობების პირველადი ქირურგიული დამუშავება, მოტეხილობის ფიქსაცია და დაჭიმულობის გარეშე დაზიანებული მიდამოს დაფარვა. მოტეხილობათა სტაბილიზაციისთვის მრავალი სხვადასხვა საშუალებაა მოწოდებული და მათი გამოყენება სპეციალიზებული ქირურგის არჩევანს წარმოადგენს.

საფიქსაციო საშუალებების დადებითი და უარყოფითი მხარეები:

ოსტეოსინთეზი ინტრამედულური ღეროს გამოყენებით – წარმოადგენს ლულოვანი ძვლების დიაფიზების მოტეხილობის ფიქსაციის არჩევის მეთოდს, მაგრამ ზრდის ფილტვისმიერი გართულებების განვითარების რისკს [46, 47].

ოსტეოსინთეზი ფირფიტის და ჭანჭიკების გამოყენებით – იძლევა საშუალებას, განხორციელდეს მოტეხილობის არეში დებრიდმენტი, წარმოადგენს მეტად სტაბილურ ფიქსაციას, მაგრამ, მეორე მხრივ, წარმოადგენს ფათომასშტაბიან და სისხლმდენ ინტერვენციას [47-48];

ოსტეოსინთეზი არაკეროვანი გარეგანი ფიქსაციის აპარატით – მინიმალურია ინტერვენციის ხარისხი, ამცირებს კომპარტმენტ-სინდრომის განვითარების რისკს, მაგრამ ფიქსაცია არასაკმარისად სტაბილურია, ხშირად ვითარდება ინფექციები საფიქსაციო ჩხირების/ღეროების შეყვანის ადგილებში და ართულებს დაზიანებულ რბილ ქსოვილებზე მიდგომას [50-51].

საბოლოო ჯამში, ყველა ფიქსაციის მეთოდს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე. ფიქსაციის მეთოდის არჩევის მკაცრი პროტოკოლის შემუშავება ვერ ხერხდება, ვინაიდან პოლიტრავმული დაზიანებების ხასიათი უნიკალურია და მოითხოვს კვალიფიცირებული ექიმის მიერ ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღებას, არსებული ვითარების და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

მენჯის ძვლების მრავლობითი მოტეხილობის დროს, ტიპურია სისხლის მასიური კარგვა. რეანიმაციული ღონისძიებების და ტრანსფუზიების გარდა აუცილებელია, მოტეხილობის პროვიზორული ჩასწორება და პირველადი

ფიქსაცია. მენჯის ძვლების მოტეხილობის რეკონსტრუქცია სასურველია ჩატარდეს პაციენტის მდგომარეობის სტაბილიზაციის შემდგომ. თუ პაციენტის ზოგადი მდგომარეობა არასტაბილურია და სისხლდენის შეჩერება ვერ ხერხდება, უნდა ჩატარდეს ლაპარატომია [52-54]

თავის ტვინის დაზიანების მქონე პაციენტებში, ლულოვანი ძვლების მოტეხილობათა პირველად ფიქსაცია/რეპოზიციას და ჰემოდინამიკური მაჩვენებლების აღდგენას დიდი მნიშვნელობა აქვს [55-56]. მოტეხილობათა სტაბილიზაცია აუმჯობესებს პაციენტის მოვლას და ქსოვილთა ოქსიგენაციის ხარისხს. ამცირებს ტკივილის სინდრომის ინტენსივობას და ანალგეზიური საშუალებების გამოყენების რაოდენობას/სისშირეს [44].

პოლიტრავმული დაზიანების მქონე პაციენტის საწყისი მკურნალობა მოიცავს სიცოცხლის გადასარჩენად მიმართულ ღონისძიებებს. ღონისძიებები უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მარტივი, სწრაფი და უსაფრთხო. მოტეხილობათა პირველად ფიქსაციას აქვს მნიშვნელოვანი როლი, პაციენტის ავადობის და სიკვდილიანობის შემცირებაში [44]. პოლიტრავმული დაზიანების მქონე პაციენტების დიდ ნაწილს, ინფექციური გართულების პრევენციის მიზნით უტარდება ფართო სპექტრის ანტიბიოტიკოთერაპია.

შვეიცარიაში ჩატარებული რეტროსპექტული კვლევით შესწავლილ იქნა 155 პოლიტრავმული დაზიანების დიაგნოზით ჰოსპიტალიზებული პაციენტის სამედიცინო ისტორია (საშუალო ასაკი 38 წელი). მიუხედავად რუტინულად გამოყენებული არასტეროიდული საშუალებების მიღებისა, ორგანიზმის ტემპერატურის მატება (38 გრადუსზე მეტი) აღინიშნა 80 პაციენტში (55%). იმ 90 პაციენტში (58%), რომელნიც იღებდნენ ანტიბიოტიკებს (საშუალო ხანგრძლივობა – 2 დღე), ინფექციური გართულება ლაბორატორიულად მანიფესტირდა 18 მათგანში (12%). ამ 18 პაციენტიდან - 16 პაციენტს (89%) აღენიშნებოდა ცხელება. მრავლობითი ანალიზით დადასტურდა, რომ ცხელება ავლენს უფრო ძლიერ დადებით კორელაციას ინფექციურ გართულებებთან, ვიდრე ღია მოტეხილობა, ქირურგიული ჩარევა და მუცლის ღრუში შემაჯავლი ტრავმა. შესაბამისად, ცხელება პოლიტრავმული დაზიანების მქონე ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მოთავსებული

პაციენტისთვის საყურადღებო ნიშანია და ხშირად დაასოციირებული ანთებითი პროცესის არსებობასთან [57].

მიკროორგანიზმთა რეზისტენტობის მატება ანტიბიოტიკების მიმართ, კიდევ უფრო ართულებს ინფექციური პათოლოგიების მართვას. ანტიბიოტიკები მედიცინაში გამოიყენება როგორც ბაქტერიული ინფექციების სამკურნალო საშუალება. ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობა ნიშნავს პათოგენის მგრძობელობის დაქვეითებას სამკურნალწამლო საშუალების მიმართ. რეზისტენტობა არა ადამიანის ან ცხოველის, არამედ ბაქტერიის მახასიათებელი ნიშანია. რეზისტენტული ხასიათის ბაქტერიული ინფექციების მართვა რთულია [58].

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის დებულებით, მიუხედავად ანტიბიოტიკების ევოლუციისა, თუ არ შემცირდება მათი არარაციონალური გამოყენება, პრობლემის მასშტაბი კვლავ მზარდი ტენდენციის იქნება. ასევე მნიშვნელოვანია ინფექციის გავრცელების მინიმალიზაცია ისეთი ღონისძიებებით, როგორცაა: ვაქცინაცია, ხელების ბანა, დაცული სექსი და კვების ჰიგიენის წესების დაცვა [59-60].

ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მატულობს და რეზისტენტობის ახალ-ახალი მუქანიზმების ჩართვა კიდევ უფრო ართულებს ინფექციური პათოლოგიების მკურნალობას [61].

მსოფლიოს იმ ქვეყნებში, სადაც ანტიბიოტიკების შეძენა შესაძლებელია რეცეპტის გარეშე, რეზისტენტობის მაჩვენებელი კიდევ უფრო სწრაფად იზრდება. მსგავსი სიტუაციაა იმ ქვეყნებში, სადაც ექიმები ანტიბიოტიკების რეცეპტს წერენ შემუშავებული ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პროტოკოლების გათვალისწინების გარეშე [61].

მსგავსი ტენდენციებით სვლის შემთხვევაში, ანტიბიოტიკები ძალას დაკარგავენ და მსოფლიო დაუბრუნდება ანტიბიოტიკების გამოგონებამდე არსებულ ეპოქას, როდესაც ბანალურ ინფექციასაც კი, შეეძლო პაციენტის მიყვანა ლეტალურ გამოსავლამდე [61].

- ანტიბიოტიკების მიმართ მიკროორგანიზმთა რეზისტენტობის მატება წარმოადგენს მსოფლიო მასშტაბის უდიდეს საფრთხეს;

- ანტიბიოტიკების მიმართ მიკროორგანიზმთა რეზისტენტობის მატებამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ნებისმიერი ქვეყნის, ასაკის და სქესის მოქალაქეზე;
- ანტიბიოტიკების მიმართ მიკროორგანიზმთა რეზისტენტობის კანონზომიერი პროცესია ბუნებაში, მაგრამ ანტიბიოტიკების არარაციონალურმა გამოყენებამ საკვებ ნივთიერებებში, ცხოველებსა და ადამიანებში, პროცესი დააჩქარა;
- ისეთი ინფექციების მკურნალობა, როგორებიცაა: პნევმონია, ტუბერკულოზი, გონორეა და სალმონელოზი, რთულდება, ვინაიდან ის ანტიბიოტიკები, რაც აქამდე მათ სამკურნალოდ გამოიყენებოდა, ეფექტურობას კარგავს;
- ანტიბიოტიკების მიმართ მიკროორგანიზმთა რეზისტენტობა იწვევს ჰოსპიტალიზაციის ხანგრძლივობის, სამედიცინო ხარჯების და ლეტალობის მაჩვენებლების ზრდას.

თანამედროვე მსოფლიოში, სხეულის სხვადასხვა უბნების მრავლობითი ტრავმული დაზიანება წარმოადგენს ინვალიდობის და ლეტალობის გამომწვევ ერთ-ერთ ძირითად მიზეზს [1, 2, 3, 4].

მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად 180 000 ადამიანზე მეტი იღუპება, ყოველ 3 წუთში – 1 ადამიანი. 2014 წელს 2.5 მილიონი ადამიანი მოთავსდა სტაციონარში ტრავმული დაზიანების დიაგნოზით, რაც ქვეყნისთვის დიდი ეკონომიკური ზარალის მომტანი იყო. მხოლოდ 2013 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული მონაცემებით ზარალი შეადგენდა 671 მილიარდ დოლარს [5]. თანამედროვე მსოფლიოში სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების სიჩქარის და შენობათა სიმაღლის ზრდამ განაპირობა მაღალი ენერჯის ტრავმათა ინციდენტობის პროპორციული მატება [6]. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, იცვლება ტრავმულ დაზიანებათა ინციდენტობა და თავისებურებები [7]. ცნობილია, რომ ადამიანთა სიცოცხლის პირველ ნახევარში (1-დან 44-წლამდე), ლეტალობის განმაპირობებელ წამყვან მიზეზს ტრავმული დაზიანება წარმოადგენს [5]. მისი გამომწვევი ძირითადი მიზეზებია სხვადასხვა ტიპის შეღწევადი და ბლაგვი დაზიანება, კერძოდ: ავტოსაგზაო შემთხვევები, ცეცხლსასროლი

იარაღით ან ბასრი საგნით მიყენებული ჭრილობები, სიმაღლიდან ვარდნა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ 65 წელს გადაცილებულ პაციენტებში პოლიტრავმული დაზიანება მეტად სახიფათოა და მის მიმდინარეობას ხშირად ამძიმებს თანმხლები ქრონიკული დაავადებების არსებობა [8, 9]. სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში, ერთი და იმავე სიმძიმის ტრავმულ დაზიანებას აქვს შესაძლო გართულებათა განვითარების სხვადასხვა ალბათობა და მანიფესტაციის ხარისხი [10].

პოლიტრავმული დაზიანების დროს, სიკვდილიანობის მაჩვენებლის 20% გვიან პერიოდზე მოდის, რაც ძირითადად განპირობებულია სეფსის/სეპტიკური შოკით და მულტიორგანული უკმარისობით [11]. გასათვალისწინებელია, რომ გადარჩენილ პაციენტთა მნიშვნელოვან ნაწილს აღენიშნება უნარშეზღუდვის გარკვეული დონე, რაც სიცოცხლის ხარისხს აქვეითებს. მსგავსი მდგომარეობები არამხოლოდ პაციენტისთვისაა ზარალის მომტანი, არამედ მისი ოჯახის წევრებისა და საზოგადოებისთვისაც [12].

აღსანიშნავია, რომ ანტიბიოტიკების მიმართ მიკროორგანიზმთა რეზისტენტობის პროგრესულმა მატებამ, კიდევ უფრო გაართულა ინფექციური პროცესების განვითარების პრევენცია, ადრეული დიაგნოსტიკა და მართვა [13]. ასევე იმატა ისეთი ქრონიკული დაავადებების სისშირემ, როგორებიცაა: შაქრიანი დიაბეტი, იმუნოდეფიციტური მდგომარეობები, ღვიძლისა და სანაღვლე გზების, გულ-სისხლძარღვთა და შარდ-სასქესო სისტემების ქრონიკული დაავადებები და სხვა [14]. ეს ყველაფერი უფრო მეტად ასუსტებს ორგანიზმის იმუნურ სტატუსს, შესაბამისად, მსგავსი ტიპის პაციენტებში იზრდება ინფექციური გართულებების ინციდენტობა და მანიფესტაციის ხარისხი [15].

პოლიტრავმული დაზიანების გვიან პერიოდში, ლეტალობის მაჩვენებელი ძირითადად განპირობებულია ცენტრალური ნერვული სისტემის პროგრესირებადი დაზიანებით, სეფსისითა და სეპტიკური შოკით [16].

სეფსისი არის სიცოცხლისთვის საშიში მულტიორგანული დაზიანება, რომელიც გამოწვეულია ინფექციის მიმართ ცოცხალი ორგანიზმის საპასუხო რეაქციების დარღვევით [17]. სეპტიკური შოკი წარმოადგენს

სეფსისის გართულებას, რომელიც ხასიათდება ჰემოდინამიკის დარღვევით, უჯრედულ-მეტაბოლური დისფუნქციით და ლეტალობის მაღალი მაჩვენებლით [17]. მსგავსად გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების და ინსულტის შემთხვევებისა, სეფსისი/სეპტიკური შოკი წარმოადგენენ სიცოცხლისთვის საშიშ გადაუდებელ მდგომარეობებს და ყოველწლიურად აუარესებენ მილიონობით ადამიანის ჯანმრთელობას. მათი სწრაფი დიაგნოსტიკა და მკურნალობის დროული დაწყება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს პაციენტის მდგომარეობას, რაც ზეგავლენას ახდენს დაავადების საბოლოო გამოსავალზე [18].

ანტიბიოტიკოთერაპიის განვითარებამდე ტრავმული დაზიანებით ინდუცირებული სეფსისი და სეპტიკური შოკი განიხილებოდა, როგორც ლეტალობის 100%-იანი მაჩვენებლის მქონე გამოუვალი მდგომარეობები [19]. სამკურნალო საშუალებების და მედიკამენტების ევოლუციამ, გარკვეული პერიოდის მანძილზე აღნიშნულ პრობლემას აქტუალობა შეუსუსტა. მიკროორგანიზმთა მხრიდან ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობის პროგრესულმა მატებამ კვლავ გაართულა ინფექციური გართულებების მკურნალობა და გაზარდა მასთან ასოცირებული ავადობის, ლეტალობის და ჰოსპიტალიზაციის დღეების მაჩვენებლები [18].

წლების განმავლობაში პათოლოგიის მიმდინარეობის შესაფასებლად გამოიყენებოდა სისხლის კულტურებისა და ლეიკოციტების რაოდენობის ანალიზი, რასაც კლინიკურ საქმიანობაში მცირე ღირებულება გააჩნდა. პროკალციტონინი ჰორმონულად არაქტიური გლიკოპროტეინია, რომლის დონეც მატულობს კრიტიკულად მძიმე პაციენტებში [63]. სეფსისის, ჰიპოქსიისა და ქსოვილების ჰიპოპერფუზიის შემთხვევაში ასევე მატულობს სისხლის ლაქტატის დონე [64-65]. ასევე არსებობს კვლევები, რომელთა მიხედვითაც, სისხლის ლაქტატის დონის მატება ყოველთვის არ ასოცირდება ჰიპოქსიასთან. ამ ორი ბიომარკერის დონის მონიტორინგი და მათი კორექციის დადგენა სხვა ფაქტორებთან დამხმარე როლს ასრულებს, ტრავმული დაზიანების მქონე პაციენტებში მძიმე ინფექციური პროცესების ვერიფიკაციასა და საბოლოო გამოსავლის პროგნოზირებაში. აღსანიშნავია, რომ ამ ორი ბიომარკერის გამოყენების ჭეშმარიტი ღირებულება კვლავ დაუზუსტებელია.

ლაქტატი პირველად გამოყოფილ იქნა ამჟავებული რძიდან მე-18 საუკუნეში. 1918 წელს მეცნიერებმა დაადგინეს, რომ გაზრდილი მეტაბოლური აციდოზი ასოცირებული იყო სისხლის მიმოქცევის დარღვევასა და შოკურ მდგომარეობასთან. 1970-1980 წლებში აღწერეს ლაქტატური აციდოზის სინდრომი იმ სახით, რომლითაც სადღეისოდაა ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ მისი აღმოჩენიდან მრავალმა წელმა განვლო, ლაქტატის როლი ჰიპოქსიური პრობლემის პროგნოზირებასა და პათოლოგიის მართვაში ბოლო პერიოდამდე არაა შესწავლილი [67]. ლაქტატის დონის მიხედვით პაციენტის მდგომარეობაზე მსჯელობისთვის მნიშვნელოვანია იმ მექანიზმების ცოდნა, რაც მის მატებას და მის შემდგომ კლირენსს იწვევს. ნორმალური ოქსიგენაციის და პერფუზიის შემთხვევაში, ჭარბობს აერობული პროცესები და პირუვატი ოქსიდაციური დეკარბოქსილაციით გარდაიქმნება აცეტილ კოენზიმ-A-დ. ოქსიგენაციური პროცესების შეფერხებისას, იმისთვის რომ მცირე რაოდენობით ენერჯიის წარმოქმნა მაინც განხორციელდეს, ორგანიზმში აქტიურდება ანაერობული პროცესები [67]. მსგავს სიტუაციებში პირუვატი გარდაიქმნება ლაქტატად და წარმოიქმნება მცირე ოდენობით ატფ (ადენოზინტრიფოსფორმევა). რიგ შემთხვევებში ლაქტატის დონე მატულობს, როდესაც უანგბადის რაოდენობა საკმარისია, მაგრამ მისი უტილიზაცია ვერ ხერხდება. ლაქტატის დონის მატებისას, კლინიციისტი უნდა ცდილობდეს დაადგინოს შესაძლო გამომწვევი მიზეზები და ლაქტატი არ უნდა ჩათვალოს მხოლოდ როგორც ოქსიგენაციური პრობლემების ბიოპროდუქტად, არამედ როგორც გაძლიერებული უჯრედული მეტაბოლიზმის ინდიკატორად. პოლიტრავმული დაზიანების და სეფსისის/სეპტიკური შოკის მქონე პაციენტებში ლაქტატის დონის მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება, რაც განპირობებულია ანემიური და ინფექციური პროცესების თანხვედრით. ლაქტატის დონის დადგენა საწყის ეტაპზე, წარმოადგენს მნიშვნელოვან დონისძიებას იმისთვის, რომ მოხდეს მისი დონის ცვლილებებზე დინამიკაში დაკვირვება [68]. პოლიტრავმული დაზიანება და თანმხლები ქირურგიული ინტერვენციები განაპირობებენ ანემიის არსებობისა და ოქსიგენაციის დარღვევის მაღალ სისშირეს, მსგავსი ტიპის პაციენტებში.

ლაქტატის დონე ტრავმული დაზიანების მქონე პაციენტებში:

ერთ-ერთმა კვლევამ რეტროსპექტულად შეისწავლა პოლიტრავმული დაზიანების დიაგნოზით ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მოთავსებული 76 პაციენტი. ყველა ის პაციენტი, რომელთა სისხლში ლაქტატის დონე ნორმალიზდა (<20 მმოლი/ლ) 24 საათის მანძილზე გადარჩა. იმ 22 პაციენტიდან, რომელთა სისხლში ლაქტატის დონის ნორმალიზება ვერ მოხერხდა 48 საათის მანძილზე, მხოლოდ სამი გადარჩა (13.6%). ავტორის დასკვნით, პოლიტრავმული დაზიანების შემთხვევაში ლაქტატის ნორმალიზაციამდე გასული დრო, შესაძლოა, გამოყენებულ იქნას როგორც პროგნოზის ინდიკატორი [69].

გადაუდებელი განყოფილების ექიმები და სამედიცინო პერსონალი, დიდ ყურადღებას აქცევენ ე. წ. „ოქროს საათს“. ეს ტერმინი გულისხმობს კრიტიკულ დროს ტრავმული დაზიანებიდან ჰემოდინამიკური მაჩვენებლების აღდგენამდე და მოიცავს ლაქტატის ნორმალიზების დროს [70].

ექიმმა ბლოუმ და მისმა კოლეგებმა, შემოიღეს ტერმინი „ვერცხლის დღე“. ამ ტერმინის შემოსაღებად ჩატარებული კვლევა იყო შემდეგნაირი: რეტროსპექტული ანალიზის გზით შეისწავლეს ის პაციენტები, რომელნიც გადარჩნენ პირველი 24 საათის მანძილზე და დაზიანების სიმძიმის ქულა (დსქ) დაუდგინდათ 20-ზე მეტი. შემოსვლისას იზომებოდა ლაქტატის დონე და ხდებოდა მასზე დაკვირვება დინამიკაში. აღნიშნულ პაციენტებს ჩაუტარდათ აგრესიული ღონისძიებები იმისთვის, რომ ლაქტატის დონე ნორმალიზებულიყო 2.5 მმოლ/ლ-ზე ქვემოთ. ყველა პაციენტი ვისთანაც, სისხლში ლაქტატის დონე წარმატებით იმართა 24 საათის მანძილზე გადარჩა. ლაქტატის დონის ნორმალიზებას, რაც მეტი დრო სჭირდებოდა, მით მეტად მატულობდა მულტიორგანული დაზიანებისა და ლეტალობის მაჩვენებლები. იმ პაციენტებში, რომელთა ლაქტატის დონე არ ნორმალიზდა 24 საათის მანძილზე, სიკვდილიანობის მაჩვენებელი 43 პროცენტი იყო. კვლევის ავტორებმა დაასკვნეს, რომ პოლიტრავმული დაზიანების მქონე პაციენტებში ლაქტატის დონე და მისი კლირენსის სიჩქარე პროგნოზის საიმედო ინდიკატორია [71].

სადღეისოდ პოლიტრავმულ პაციენტებში რუტინული გამოკვლევები მოიცავს: ჰემოგლობინის, ნატრიუმის, გლუკოზის, ქლორის, სისხლის შარდოვანას, PH, ნახშირორჟანგის და ჟანგბადის პარციალური წნევის, ბიკარბონატის და ლაქტატის გამოკვლევას. ჩამოთვლილთაგან, გადაუდებელი დეპარტამენტების პაციენტების მართვაში გამოიყენება მხოლოდ: ჰემოგლობინის, გლუკოზის, სისხლის გაზების და ლაქტატის დონეები [72].

მითები ლაქტატის შესახებ:

ლაქტატის დონის დასადგენად აუცილებელია არტერიული სისხლი. მრავალმა სხვადასხვა კვლევამ დაადასტურა, რომ ლაქტატის დონე ატარებს მინიმენდოვან ინფორმაციას პოლიტრავმული დაზიანების მქონე პაციენტის მდგომარეობის შეფასებისთვის [73].

მრავალი სხვადასხვა ლიტერატურული მონაცემი ამტკიცებს, რომ ლაქტატის დონის დასადგენად გამოყენებულ უნდა იქნეს არტერიული სისხლი. შესწავლილ იქნა ლაქტატის დონის ცვლილება ერთდროულად არტერიულ და ვენურ სისხლში. კვლევის მეშვეობით ავტორები ცდილობდნენ, დაედგინათ ლაქტატის კორელაცია სისხლძარღვთა სისტემის სხვადასხვა ნაწილში. აღსანიშნავია, რომ არტერიული სისხლის აღება საჭიროებს მეტ გამოცდილებას და ამ ტიპის ნიმუში უფრო რთული მისაღებია და მის მოსაპოვებლად ზოგჯერ რამდენიმე მცდელობაა საჭირო. პაციენტისთვის მსგავსი პროცედურა მეტად მტკივნეულია და ხშირად ნათელ ცნობიერებაზე მყოფი პაციენტი უარს ამბობს განმეორებით მცდელობებზე. ჩხვლეტა არტერიულ სისხლძარღვში იწვევს მეტ გართულებებს: სისხლდენას, ჰემატომის წარმოქმნას, არტერიულ-ვენური ფისტულების გაჩენას და სხვა [74]. კვლევამ შეისწავლა 375 პაციენტი. არტერიული და ვენური სისხლიდან ხდებოდა ლაქტატის დონის ერთდროული განსაზღვრა.

ლაქტატის დონის საშუალო მაჩვენებელი პოლიტრავმული დაზიანების მქონე პაციენტებში იყო 3.11 მმოლი/ლ-ზე, ხოლო ვენური 3.43 მმოლი/ლ-ზე, რაც არსებით განსხვავებას არ აჩვენებდა ბიომარკერის დონის შესწავლისას. არტერიულ და ვენურ ლაქტატს შორის კორელაციის კოეფიციენტი მაჩვენებელი იყო 0.94, რაც ძალზე სარწმუნო

მაჩვენებელია. ვენურ სისხლში ლაქტატის დონე, დამატებით უფრო ინფორმაციული იყო საშუალო და მნიშვნელოვანი დაზიანებებისთვის. ლაქტატის დონის 2.0 მმოლ/ლ-ზე მეტად მატება მიუთითებდა დაზიანების სიმძიმის ქულის 13-ზე მეტ ნიშნულზე, ჰოსპიტალიზაციისა და სიკვდილიანობის უფრო მაღალ მაჩვენებელზე. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ როგორც არტერიული, ასევე ვენური ლაქტატის დონე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელია პოლიტრავმული დაზიანების მქონე პაციენტებში [75].

ლაქტატი და სეფსისი

ყოველწლიურად, მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში სეფსისის დიაგნოზი დგინდება დაახლოებით 1.7 მილიონ მოსახლეში, აქედან 270, 000 პაციენტს აღენიშნება ლეტალური გამოსავალი. ინტრა-ჰოსპიტალური ლეტალობის 1/3 სეფსისისმიერი გართულებებითაა განპირობებული და შესაბამისად, ფინანსური ზარალიც დიდია [76]. სეფსისი წარმოადგენს იმ სერიოზულ ნოზოლოგიას, რომელის სამედიცინო პერსონალისთვის ერთ-ერთი ურთულესი გამოწვევაა.

ახალი სქემები, რომელთა მიხედვითაც ხორციელდება ინტენსიური ინსულინო- და სტეროიდთერაპია, ასევე აქტივირებული პროტეინ-ც ინფუზია, გადაუდებელი დეპარტამენტის პაციენტებში სეფსისის მენეჯმენტს აუმჯობესებს. კვლევები ადასტურებს ლაქტატის ღირებულებას, როგორც დიაგნოსტიკის, ასევე მკურნალობისთვის [77]. სეფსისისგან გამოჯანმრთელების კამპანიის მიხედვით, ლაქტატის დონე წარმოადგენს იმ კრიტიკულ პარამეტრს, რომლის მიხედვითაც დგინდება სეპტიკური შოკით ინდუცირებული ჰიპოპერფუზია და იწყება თერაპიული ღონისძიებები [78].

ერთ-ერთ კვლევაში ჩატარებული ანალიზით, სადაც განხილულ იქნა 20-ზე მეტი ჰემოდინამიკური მაჩვენებელი (მაგალითად ფილტვის არტერიული წნევა, სისხლის მოცულობის ინდექსი და სხვა), ლაქტატის დონეს გააჩნდა ყველაზე მაღალი კორელაციური კავშირი – დაავადების საბოლოო გამოსავალთან [79]. ძველი ლიტერატურის მიხედვით

ხდებოდა ჰემოდინამიკური მაჩვენებლების აღდგენა ფილტვის არტერიული წნევის, ჟანგბადის მიწოდების ინდექსისა და სისტემური ვასკულური რეზისტენტობის მიხედვით, ხოლო თანამედროვე ლიტერატურით რეკომენდებულია ვიხელმძღვანელოთ: საშუალო არტერიული წნევის და ცენტრალური ვენური წნევის მაჩვენებლებით, სისხლში ლაქტატის დონეზე დინამიკაში დაკვირვებით [80, 81].

ასევე დასტურდება, რომ ლაქტატის დონით შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ ჰემოდინამიკურად სტაბილურ და ნორმოტენზიურ პაციენტებშიც (გართულებების ადრეული გამოვლენის მიზნით) [82, 83].

ერთ-ერთმა კვლევამ შეისწავლა 1278-სგან შემდგარი კოჰორტა და დაადგინა, რომ ლაქტატის დონის მატება პირდაპირპროპორციულად ზრდიდა ლეტალობის მაჩვენებელს: სისხლში ლაქტატის კონცენტრაცია 2.5 მმოლ/ლ-ზე ნაკლები – ლეტალობა 4.9%, სისხლში ლაქტატის კონცენტრაცია 4.0 მმოლ/ლ-ზე მეტი – ლეტალობა 28.4%. როგორც ტრავმული დაზიანების მქონე პაციენტებში, ისე სეპტიკური შოკისა და სეფსისის მქონე პაციენტებში, ლაქტატის დონისა და მისი კლირენსის დადგენა, წარმოადგენს მნიშვნელოვან პროგნოზულ ფაქტორს დაავადების საბოლოო გამოსავლისათვის [84].

სხვადასხვა კვლებმა დაადგინა, რომ სეფსისის მქონე პაციენტებში ლაქტატის დონე საწყის ეტაპზე ცუდი და კარგი გამოსავლის შემთხვევაში არ განსხვავდებოდა, მაგრამ ლაქტატის კლირენსის დროში იყო მნიშვნელოვანი სხვაობა [85, 86]. ნგუენმა და მისმა გუნდმა შეისწავლა სეფსისის და გახანგძლივებული სეპტიკური შოკის მქონე 111 პაციენტის შემთხვევა. კვლევაში ლაქტატის კლირენსი იყო განმარტებული, როგორც სისხლში ლაქტატის დონის შემცირების ფარდობა მის საწყის დონესთან. ყველა პაციენტზე ხდებოდა დაკვირვება 72 საათის მანძილზე და მათ უტარდებოდათ მკურნალობა სეფსისისა და სეპტიკური შოკის მართვის საერთაშორისო პროტოკოლის მიხედვით. კვლევამ აჩვენა, რომ რაც უფრო სწრაფად ხდება ლაქტატის კლირენსი, უკუპროპორციულად კლებულობს სიკვდილიანობის მაჩვენებელი. ლაქტატის კლირენსის 10%-ით გაუმჯობესების შემთხვევაში, სიკვდილიანობა მცირდებოდა 11%-ით [87]. აღნიშნული კვლევები

აჩვენებს, რომ ლაქტის არამხოლოდ დონეა ინფორმაციული არამედ – მისი კლირენსის მაჩვენებელი.

ჩვენ მიერ განხორციელებული ლიტერატურული მიმოხილვის მიხედვით: პოლიტრავმული დაზიანების და სეპტიკური შოკის მქონე პაციენტებში, ლაქტატის დონის დადგენა ინფორმაციულია ადრეული დიაგნოსტიკისთვის, რისკების დადგენისა და მკურნალობისთვის. ლაქტატის დონეზე დინამიკაში დაკვირვება და მისი კლირენსის განსაზღვრა იმ ინდიკატორს წარმოადგენს, რომელსაც მსგავსი პაციენტების მართვაში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია.

ჩვენი კვლევისთვის ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია სხვადასხვა ქრონიკული და იმუნოდეფიციტური დაავადებები. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მსგავსი დაავადებები მსოფლიო მასშტაბის მქონე მზარდ და სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ისეთი დაავადებები, როგორებიცაა გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, სიმსუქნე, დიაბეტი, სიმსივნეები, ფილტვის დაავადებები, დეპრესია, ზრდიან ავადობის, ლეტალობის, ფინანსური ზარალის მაჩვენებლებს და აქვეითებენ მოსახლეობის პროდუქტიულობას. პრობლემას უფრო მეტად ისეთი მაგნე ჩვევების არსებობა ამძიმებს, როგორიცაა: მწვევლობა, არასწორი კვება, ფიზიკური აქტივობის სიმცირე და სხვა [88].

გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიები წარმოადგენს მოწინავე პრობლემას და შეადგენს არაგადამდებ დაავადებათა სიკვდილიანობის დაახლოებით 50%-ს [89].

ხშირია ისეთი მდგომარეობები, როდესაც რამდენიმე ნოზოლოგია ერთად გვხვდება და აღწერილია ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთ ინდივიდში 6 და მეტი დაავადება არსებობს ერთდროულად [90].

ჯანდაცვის სისტემის რეკომენდაციით, პრევენციული ღონისძიებები წარმოადგენს ამ პრობლემის მთავარ შემაკაველელ მექანიზმს, ვინაიდან აღნიშნული მდგომარეობის უმეტესობა შეუქცევადი ხასიათისაა და მათი სრულად განკურნება შეუძლებელია.


გასათვალისწინებელია, რომ პოლიტრავმულ დაზიანებას ახასიათებს სისხლის მიმოქცევის მნიშვნელოვანი დარღვევების განვითარების მაღალი მაჩვენებელი [91, 92]. პოლიტრავმული დაზიანებით ინდუცირებულ სეფსისის/სეპტიკურ შოკს კიდევ

უფრო მძიმე ჰემოდინამიკური ცვლილებების განვითარება ძალუძს. შესაბამისად გულ-სისხლძარღვთა სისტემის დარღვევების მექანიზმებისა და მათი კორექციის გზების ცოდნას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს პოლიტრამით ინდუცირებული სეპტიკური შოკის არსებობის შემთხვევაში.

სეპტიკური შოკი იწვევს ქსოვილოვანი პერფუზიის და უჯრედული მეტაბოლიზმის მნიშვნელოვან დარღვევებს [93, 94]. სეპტიკური შოკის მიმდინარეობისას განარჩევენ ადრეულ ფაზას, რომელიც მოიცავს დაბალ სისტემურ ვასკულურ რეზისტენტობას, გულის გაზრდილ წუთმოდცულობას და თანმხლები ჰიპოტენზიის მიუხედავად – თბილ პერიფერიას.

სეპტიკური შოკის ე.წ. „თბილი ფაზა“ პროგრესირების შემთხვევაში გადაიზრდება ჰიპოდინამიკურ ე.წ. „ცივ ფაზაში“, რომელიც მოიცავს ცივ პერიფერიას, გაზრდილ სისტემურ ვასკულურ რეზისტენტობას, ძაფისებრ პულსსა და გულის დაქვეითებულ წუთმოდცულობას. პათოლოგიური პროცესის მსგავსი კლინიკური მახასიათებლებით ზრდას მოსდევს დეტალური გამოსავალი [95]. სეპტიკური შოკის „ცივ ფაზაში“ გამოხატულია შედარებითი ჰიპოვოლემია, რაც სითხის მოცულობის ადეკვატური აღდგენის შემდგომ ხდება ჰიპერდინამიკური. მიუხედავად იმისა, რომ იზრდება გულის წუთმოდცულობა და ნორმალური დარტყმითი მოცულობა ნორმალიზდება, ვითარდება მიოკარდიუმის დისფუნქცია, რაც გამოიხატება განდევნის ფრაქციის შემცირებით. ვინაიდან ისეთი ტრადიციული პარამეტრები, როგორებიცაა: განდევნის ფრაქცია, კარდიული და დარტყმითი მოცულობის ინდექსი ხშირად არაზუსტია, შესაძლოა მოხდეს მიოკარდიუმის კუმშვადობის ფუნქციის დაქვეითება და მისი პრედატვირთვის პოსტდატვირთვის ცვლილებებით შენიღბვა [96]. მიოკარდიუმის დაზიანების ხარისხის დასადგენად საჭიროა დატვირთვისგან დამოუკიდებლად შეფასდეს მარცხენა პარკუჭის სისტოლური ფუნქცია. პრედატვირთვის და პოსტდატვირთვის ცვლილებები სისტოლის ბოლოს არსებულ წნევა/მოცულობის შეფარდებაზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ ახდენს [97]. ამ პარამეტრებს შორის წრფივი დამოკიდებულება გაზრდილი კუმშვადობის პირობებში მარცხნივ გადაინაცვლებს, ხოლო დაქვეითებული კუმშვადობის პირობებში – მარჯვნივ. სეპტიკური შოკის არსებობის პირობებში, პაციენტებს აღენიშნებათ

ვენტრიკულური დილატაციის თანდართვით განდევნის ფრაქციის მკვეთრი შემცირება, რაც გამოიხატება საბოლოო სისტოლური და დიასტოლური მოცულობების ზრდით [98]. სრულად გამოჯანმრთელებულ პაციენტებში ცვლილებების ნორმალიზება ხდება 7-10 დღის განმავლობაში. სეპტიკური შოკის დიაგნოზის მქონე პაციენტებში, ვლინდება მაღალი განდევნის ფრაქციის და დაბალი საბოლოო დიასტოლური მოცულობის მაჩვენებელი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ვენტრიკულური დილატაცია და მიოკარდიუმის დისფუნქცია ადაპტაციურ მექანიზმებს წარმოადგენენ. ასეთ შემთხვევებში მარცხენა პარკუჭის მწვავე დილატაცია, წნევის ცვლილებების გარეშე, მიოკარდიუმის წელვადობის გაზრდას იწვევს. მიუხედავად გულის კუმშვადობის ფუნქციის მკვეთრი დაქვეითებისა, მსგავსი მექანიზმი ფრენკ-სტარლინგის კანონით გულის ადეკვატური დარტყმითი მოცულობის და კარდიალური ინდექსების შენარჩუნების შესაძლებლობას იძლევა.



სურათი 3.

კარდიალური დისფუნქციის პათოფიზიოლოგია კომპლექსურია და სხვადასხვა ფაქტორის მონაწილეობას გულისხმობს. მიუხედავად ამისა, ეფექტური თერაპიული სამიზნეების განსაზღვრის მიზნით, ინდივიდუალური ხელშემწყობი ფაქტორების და მექანიზმების განსაზღვრაა საჭირო. ციტოკინები, როგორცაა ინტერლეიკინ-1 და სიმსივნის ნეკროზის ფაქტორი ალფა (TNF α), მიიჩნევიან მიოკარდიუმის

დეპრესანტ მოციურკულირე ფაქტორებად, რომლებიც სეფსისით ინდუცირებული კარდიალური დისფუნქციის მექანიზმებში მონაწილეობენ. TNF α -ინდუცირებული კარდიალური

დისფუნქციის მექანიზმში ჩართულია კალციუმის ჰომეოსტაზის ცვლილებები და NO-ს პროდუქცია [99]. სეპტიკური მოდელების ბოლოდროინდელ კვლევებში აღმოჩენდა, რომ I κ B α /NF- κ B სასიგნალო გზა მიოკარდიულ შესაბამის აქტივობას და TNF- α -ს ექსპრესიას ერთმანეთთან აკავშირებს. კალპაინი აინდუცირებს მიოკარდიული NF- κ B -ს აქტივაციას, TNF- α -ს ექსპრესიას და მიოკარდიულ დისფუნქციას, I κ B α ცილის გახლეჩის გზით. კალპაინის ინჰიბიტორების ადმინისტრირება ხელს უშლის მიოკარდიული I κ B α -ს LPS-ით ინდუცირებულ დეგრადაციას, NF- κ B-ს აქტივაციას და TNF- α -ს ექსპრესიას და საბოლოოდ მიოკარდიუმის ფუნქციონირებას აუმჯობესებს.

კალპაინ/კალპასტატიინის სისტემა შეიძლება სეპტიკური შოკის პოტენციური თერაპიული სამიზნე იყოს [100]. მეორე მხრივ, ციტოკინები შესაძლოა, იწვევენ სეფსისის საწყის ფაზაში მიოკარდიული დისფუნქციის განვითარებას, მაგრამ მათი ზემოქმედება ხანგრძლივი ვერ იქნება, რადგან IL-1-ს და TNF α -ს პლაზმური კონცენტრაციები სეფსისის დასაწყისიდან 48 საათის განმავლობაში ნორმალურ მაჩვენებლებს უბრუნდება. სხვა ციტოკინები, როგორცაა IL-2, შესაძლოა IL-1-ს და TNF α -ს გამოთავისუფლებაში მონაწილეობს. პაციენტებს, რომელთაც ანტიკანცერული IL-2 იმუნოთერაპია უტარდებათ, მიოკარდიული დისფუნქცია, მიოკარდიტი და მიოკარდიული ნეკროზი აღენიშნებათ [101]. IL-6 სეფსისის მარკერი უფროა, ვიდრე მედიატორი და სეპტიკური შოკის დროს ლეტალობის პროგნოზულ ფაქტორს წარმოადგენს. IFN- γ -ს იზოლირებულად მოქმედებისას სუსტი დეპრესორული ეფექტი აქვს, მაგრამ როცა TNF- α -ს, IL-სა და ანთების სხვა ფაქტორებთან სინერგიულად მოქმედებს, ამ უკანასკნელთა ეფექტებს აძლიერებს, როგორც *in vivo*, ისე *in vitro* [101].

ადრენერგული ნერვული სისტემის ჭარბი აქტივაციის, სეპტიკური შოკის დიაგნოზის მქონე პაციენტები, საკმარისი რაოდენობით ეგზოგენურ კატექოლამინებსაც იღებენ. ადრენერგული შტორმი ძალზე საზიანოა გულის

ფუნქციონირებისთვის. სეპტიკური შოკის დროს, β_1 -რეცეპტორების რაოდენობის შემცირება და ადენილატციკლაზის აქტივობის დაქვეითება შეინიშნება. სეფსისის დროს მცირდება β_1 -რეცეპტორების რაოდენობა ფოსფორილირებითა და ინტერნალიზაციით [102]. კვლევებმა აჩვენა, რომ სეფსისის შემთხვევაში, cAMP -ის დონე β -ადრენერგული სტიმულაციის დროს მცირდება, რაც მიოკარდიუმის მუშაობის შესუსტებას იწვევს [103]. β -ადრენორეცეპტორები ცვლის ტრანსდუქციის გზებს, რაც G_s პროტეინის დაქვეითებულ ექსპრესიას და G_i პროტეინის გაზრდილ ინჰიბიტორულ მოქმედებას განაპირობებს.

კარდიომიოციტების TNF- α -სთან პრეინკუბაცია, β -ადრენორეცეპტორების მონაწილეობით, ბლოკავს პულსაციის ამპლიტუდას და მიტოქონდრიუმში ჟანგბადის მოხმარების ზრდას განაპირობებს. გარდა ამისა, გამოვლინდა, რომ ციტოკინებიც თრგუნავს კარდიომიოციტებში კატექოლამინების საპასუხოდ უჯრედშიდა ციკლური ადენოზინ მონოფოსფატის (cAMP) აკუმულირებას [104]. გახანგრძლივებულ ადრენერგულ სტიმულაციას თავისთავად შეუძლია კარდიომიოციტების მიერ ციტოკინების პროდუქციის ინიციაცია გამოიწვიოს. NO -ს გაზრდილი პროდუქცია ხელს უწყობს მიოკარდიული დისფუნქციის განვითარებასა და β -ადრენერგული სტიმულაციის მიმართ მიოკარდიული მგრძობელობის დაქვეითებას [104].

სეპტიკური შოკის დროს მნიშვნელოვნად მომატებული მოცირკულირე ენდოთელინი, შეიძლება ჩართული იყოს მიოკარდიული დისფუნქციის მექანიზმში. In vivo კვლევებით დამტკიცებულია, რომ ენდოთელინის ზემოქმედება გულზე მოიცავს კორონარული არტერიების კონსტრიქციას, გულის წუთმოცულობის შემცირებას და არითმოგენეზს. ცხოველურ სეპტიკურ მოდელზე მოპოვებული შედეგები მიუთითებს, რომ მიოკარდიუმის ენდოთელინის რეცეპტორების ანტაგონიზმი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს კარდიალურ ფუნქციას და ენდოთელინით ამ რეცეპტორების სტიმულირება მიოკარდიუმის ფუნქციონირებას აუარესებს [106].

დადასტურებულია, რომ კორონარული სისხლის ნაკადი სეპტიკური შოკის მქონე პაციენტებში დარღვეულია, რაც მიოკარდიული ლაქტატის პროდუქციის ზრდით არის განპირობებული. დღეისათვის აღიარებულია, რომ იშემიური მოვლენები სეფსისით ინდუცირებულ კარდიალურ დისფუნქციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ [107].

რიგ კვლევებში შესწავლილი იქნა კალციუმის როლი სეფსისთან ასოცირებულ მიოკარდიულ დისფუნქციაში. მიოკარდიუმის შეკუმშვაში კალციუმს კრიტიკული როლი ეკისრება. ყველა კონტრაქტილური გზა, რომელშიც კალციუმია ჩართული, შეიძლება უკავშირდებოდეს მიოკარდიულ დისფუნქციას. ნაჩვენებია კალციუმის ნაკადის მაქსიმალური შემცირება, ენდოტოქსემიის დროს. სეფსისთან ასოცირებულ გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური დარღვევების დროს მოშლილია კალციუმის შეწოვა, სარკოპლაზმური რეტიკულუმიდან კალციუმის გამოთავისუფლება და ქვეითდება კალციუმის არხების მგრძნობელობა.

მიოციტები და ენდოთელური უჯრედები ექსპრესირებს NOS-ის კონსტიტუციურ ფორმებს. სეფსისის პირობებში ინდუცირებული NOS-ის (iNOS) ექსპრესია, დიდი რაოდენობით NO-ს პროდუქციას იწვევს. iNOS-ის ექსპრესია ასოცირებულია TNF- α , IL-1, ანგიოტენზინ II და სხვა ციტოკინების სისტემურ პროდუქციასთან. კვლევებმა აჩვენა, რომ iNOS –ს ექსპრესია მნიშვნელოვნად გაზრდილია ინტაქტურ, მოცულობით გადატვირთულ გულში. iNOS-ს ექსპრესია და NO-ს პროდუქცია ასევე შეიძლება ინდუცირებული იყოს ex vivo კულტივირებული ნეონატალური ვირთაგვების ვენტრიკულური მიოციტების სტატიკური გაჭიმვით [108]. ეს მონაცემები მიუთითებს კარდიომიოციტებში მექანოსენსიტიური სასიგნალო გზის მონაწილეობაზე, რომელიც მოცირკულირე ზრდის ფაქტორებისა და ციტოკინებისგან დამოუკიდებლად მოქმედებს. მართლაც, კარდიომიოციტებს შეუძლიათ ფიზიკური ძალების ბიოქიმიურ სიგნალებად გარდაქმნა და შესაბამისი პასუხების გენერირება, რასაც შედეგად კუმშვითი ფუნქციის მწვავე ცვლილებები და კარდიომიოციტების ზომის, ფორმის და

გენების ექსპრესიის ხანგრძლივი, სტრუქტურული ცვლილებები მოჰყვება.

სეფსისის დროს, მიოკარდიული დისფუნქციის პათოგენეზში, NO-ს როლი რამდენიმე სხვადასხვა პოტენციურ მექანიზმს გულისხმობს. NO უშუალოდ თრგუნავს მიოკარდიულ კუმშვადობას. NO ასტიმულირებს ხსნად ფერმენტ გუანილატ ციკლაზას, რომელიც გუანოზინ ტრიფოსფატს (GTP), 3',5'-ციკლურ გუანოზინ მონოფოსფატად გარდაქმნის. კარდიულ მიოციტებში cGMP თრგუნავს კალციუმის ნელი შემაჯავალი ნაკადის, β -ადრენერგული სტიმულირებით განპირობებულ ზრდას და ამცირებს კუმშვადი აპარატის კალციუმისადმი აფინურობას. NO ფოსფოდიესთერაზას მეშვეობით, ასევე ამცირებს cAMP-ს და ცვლის პროტეინკინაზას აქტივობას და L ტიპის კალციუმის არსებს. NO ადენოზინტრიფოსფატის პროდუქციის დათრგუნვის მეშვეობით, იწვევს მიოკარდიუმის კუმშვადობის დარღვევას და მიოკარდიუმში მიტოქონდრიული რესპირაციის დათრგუნვას [109]. პროანთებითი ციტოკინების კარდიოდეპრესიულ აქტივობაში, როგორც ჩანს, ჩართულია iNOS, როგორც ადრეულ სტადიაზე β -ადრენორეცეპტორ-დამოუკიდებელი მექანიზმით, ისე გვიან სტადიაზე, iNOS-დამოკიდებული β -ადრენერგული სიგნალის ტრანსდუქციის დეფექტის გამო. NO-სა და მეორე თავისუფალ რადიკალ, სუპეროქსიდ ანიონს შორის ურთიერთქმედების შედეგად მძლავრი ოქსიდანტის – პეროქსინიტრიტის წარმოქმნა შეიძლება მეორადად განაპირობებდეს NO-ს უარყოფით გავლენას მიოკარდიუმის მუშაობაზე. პეროქსინიტრიტს ძლიერი ციტოტოქსიკურობა ახასიათებს. ნაჩვენები იქნა, რომ ის ნივთიერებები, რომლებიც პეროქსინიტრიტის დეკომპოზიციას აკატალიზებს, მიოკარდიუმის დისფუნქციის და ანთების პრევენციას ახდენს ენდოტოქსემიურ ვირთაგეგებში. მაღალი კონცენტრაციებით NO კარდიომიოციტების აპოპტოზს იწვევს [110].

იმედისმომცემმა ადრეულმა კლინიკურმა კვლევებმა აჩვენა, რომ სეპტიკურ პაციენტებში NOS-ის არასელექტიური ინჰიბიტორის, 546C88-ის მიერ NOS-ის, როგორც კონსტიტუციური, ისე ინდუციბელური იზოფორმების

ინჰიბირება, ვაზომოტორული ტონუსის და გაზრდილი SVR-ის ბალანსს აღადგენს და შედეგად, სისხლის წნევას ინარჩუნებს, ამდენად სეპტიკური შოკის მქონე პაციენტებში ნორეპინეფრინის თერაპიის აუცილებლობას ხსნის ან ამცირებს [11]. სამწუხაროდ, მომდევნო კლინიკური კვლევები, რომლებშიც იგივე აგენტი უფრო ხანგრძლივი პერიოდით გამოიყენებოდა, შეწყვეტილი იქნა სამკურნალო ჯგუფში სიკვდილიანობის მნიშვნელოვანი ზრდის გამო. მკვლევართა მონაცემებით, 546C88 ჯგუფში აღინიშნებოდა კარდიოვასკულური სიკვდილიანობის წილის ზრდა და მულტიორგანული უკმარისობით გამოწვეული სიკვდილიანობის წილის შემცირება. გაუგებარი იყო, რატომ აჩვენა აღნიშნულმა კლინიკურმა კვლევამ ასე აშკარად საზიანო ეფექტი კარდიოვასკულურ ფუნქციაზე, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, სეფსისის დროს კარდიულ ფუნქციაზე NO-ს ზემოქმედება უფრო კომპლექსურია, ვიდრე, უბრალოდ, საზიანო, როგორც პირველად ვარაუდობდნენ [112]. ექსპერიმენტულ მოდელებზე ჩატარებული კვლევები მიუთითებს როგორც დადებით, ისე საზიანო ეფექტებზე. NO მნიშვნელოვან როლს თამაშობს კორონარულ ვაზომოტორიკაში და ფიზიოლოგიურ პირობებში ზემოქმედებს კორონარული სისხლის ნაკადის რეგულაციაზე. უფრო მეტიც, სეპტიკური შოკის მქონე ადამიანებში მიოკარდიუმის პერფუზია ნორმალურია ან გაზრდილი, შესაძლოა იმიტომ, რომ კორონარულ სისხლძარღვებში eNOS-ის მიერ NO-ს ბიოსინთეზი სასიკეთო გავლენას ახდენს, კერძოდ ეწინააღმდეგება ვაზოკონსტრიქციას, რომელიც ინდუცირებულია ანთებითი პროცესების დროს წარმოქმნილი სხვა ვაზომოტორული ნივთიერებების, მაგ: ენდოთელინის მიერ. მიიჩნევა, რომ iNOS-ის აქტივაციის შედეგად NO-ს ჭარბი სინთეზი მარცხენა პარკუჭს დიასტოლის დროს ავსების უნარს უნარჩუნებს, ანუ ადეკვატური რელაქსაციის შენარჩუნებით ხელს უწყობს დიასტოლურ ფუნქციას და კორონარული ვაზოდილატაციით გამოწვეულ მიოკარდიულ პერფუზიას ზრდის, როგორც ამას ადგილი აქვს მიოკარდიუმის იშემიის დაწყების წინ [113]. მართალია, NOS-ის დათრგუნვას სისტოლური კარდიალური ფუნქციის და ვაზომოტორული ტონუსის შესაძლო გაუმიჯობესება მოსდევს, მაგრამ ამავე დროს

NO-ს სასარგებლო ზემოქმედება დიასტოლურ ფუნქციასა და მიოკარდიულ პერფუზიაზე იკარგება. iNOS-ის სელექციური დათრგუნვა უფრო პერსპექტიული ჩანს, მაგრამ iNOS-ის ექსპრესიასა და მიოკარდიუმის კუმშვადობის დაქვეითებას შორის არსებული კავშირის პირდაპირი დამადასტურებელი მონაცემები არ არსებობს; უფრო მეტიც, NO-ს ინდუციბელურ პროდუქციას შეიძლება სასიკეთო ეფექტი ჰქონდეს მიოკარდიუმის მუშაობაზე; ენდოტოქსინით ინდუცირებული სეფსისის დროს მიოკარდიული ჰიპერაქტიურობა L-არგინინის ზემოქმედებით, რევერსიას განიცდის. ამიტომ, აღნიშნულ მოდელში NO-ს კარდიოპროტექტორული მოქმედება აქვს [114]. მიოკარდიული eNOS მნიშვნელოვან დამცავ როლს ასრულებს ენდოტოქსინით ინდუცირებულ მიოკარდიულ დისფუნქციასა და სიკვდილიანობაში. ამის დამადასტურებელი მონაცემები კარდიომიოციტ-სპეციფიკური eNOS-ის ჭარბი ექსპრესიის (NOS3TG) მქონე თაგვებზე ჩატარებული კვლევის შედეგად იქნა მოპოვებული. კარდიომიოციტებში ენდოტოქსინი იწვევს სარკოპლაზმური რეტიკულუმიდან Ca^{2+} -ის გამოთავისუფლებისა და უჯრედული კუმშვადობის უფრო მკვეთრად გამოსატულ დაზიანებას, ვიდრე NOS3TG კარდიომიოციტებში; ნაწილობრივ, ამის მიზეზი ენდოტოქსემიის დროს NOS3TG კარდიომიოციტებში სარკოპლაზმურ რეტიკულუმში კალციუმის (Ca^{2+}) უფრო დიდი მარაგი და კალციუმის მიმართ მიოფილამენტების უფრო მაღალი სენსიტიურობაა [115]. ენდოტოქსინი ზრდის ქანგბადის რეაქტიული ფორმების პროდუქციას. ჭარბი NO ოქსიდაციურ სტრესს ამსუბუქებს, რაც ნაწილობრივ ენდოტოქსინის შეყვანიდან მცირე ხანში კარდიომიოციტებში ქსანთინოქსიდაზას (XO) აქტივობის დათრგუნვით მიიღწევა. მიოკარდიუმის ფუნქციასა და გადარჩენაზე კარდიომიოციტ NOS3-ის დამცავი ზემოქმედება პოლიმიკრობული სეფსისის ვირთავის მოდელზე ჩატარებული კვლევითაც დადასტურდა [116]. აღნიშნული შედეგები მიუთითებს, რომ მიოკარდიუმის კუმშვადობის გაძლიერებაზე (მაგ. კარდიალური NO-ს გაზრდით) ორიენტირებულ მკურნალობას მძიმე სეპტიკური შოკის კარდიოგენური ფორმის მქონე პაციენტებში, სიკვდილიანობის შემცირება შეუძლია.

NO-ს შესაძლო კარდიოდეპრესანტული ზემოქმედება	NO-ს შესაძლო კარდიოპროტექტორული ზემოქმედება
<p>პროტენკინაზას აქტივობისა და შემდგომ L ტიპის კალციუმის არხის ცვლილებები</p> <p>კალციუმის მიმართ მიოფობრილების რეაქტიულობის შემცირება</p> <p>ფოსფოდიესთერაზას მეშვეობით cAMP-ის შემცირება</p> <p>მიტოქონდრიული სუნთქვის პირდაპირი ინჰიბირება და ამის გამო მიოკარდიუმში ადენოზინ ტრიფოსფატის პროდუქციის დათრგუნვა</p> <p>ჟანგბადის რეაქტიულ ფორმებთან ურთიერთქმედებით და პეროქსინიტრიტის წარმოქმნით უჯრედული დაზიანების სტიმულაცია</p> <p>კარდიომიოციტებში აპოპტოზის ჩართვა</p>	<p>ვაზოდილატატორული ეფექტის შედეგად მიოკარდიული პერფუზიის გაზრდა</p> <p>თავისუფალი რადიკალების შედეგად იშემია-რეპერფუზიული დაზიანების შემცირება შემდეგი გზებით:</p> <p>თრომბოციტების აგრეგაციის შემცირება</p> <p>ენდოთელურ უჯრედებზე ლეიკოციტების ადჰეზიის შემცირება</p> <p>უჯრედული მემბრანების სტაბილიზაცია.</p> <p>მონაწილეობა ვენტრიკულურ დილატაციაში, რაც ფრანკ-სტარლინგის მექანიზმის ამუშავების საშუალებას იძლევა.</p> <p>NO-ს ანტიარითმიული თვისებები</p> <p>მაკროფაგების აქტივაცია, რაც ბაქტერიულ ლიზისს იწვევს.</p>

სურათი 4.

დებატები თემაზე, თუ რამდენად სასიკეთო ან საზიანოა NO-ს პროდუქციის დათრგუნვა და NOS-ის რომელი იზოფორმა უნდა იქცეს სამიზნედ, ჯერ კიდევ გრძელდება. შესაძლოა, NOS-ის ამა თუ იმ იზოფორმის ექსპრესირება დაზიანების ტიპზე იყოს დამოკიდებული. NOS-ის ჭეშმარიტად სელექციური ინჰიბიტორების აქტიური გამოყენებით NOS იზოფორმების უფრო მიზნობრივ და სელექციურ დათრგუნვას შესაძლოა სასარგებლო შედეგი მოჰყვეს სეფსისთან ასოცირებული მულტიორგანული დისფუნქციის მკურნალობაში.

სეფსისი ინფექციაზე სისტემური ანთებითი პასუხია, რომელიც შეიძლება სეპტიკურ შოკში გადაიზარდოს. ამ

უკანასკნელს ახასიათებს პერსისტირებადი ჰიპოტენზია, რასაც საფუძვლად უდევს სისხლძარღვთა რეზისტენტობის მაკონტროლებელი მექანიზმების მოშლა. სეფსისის დროს ჰიპოტენზია და ვაზო-ოკლუზია ქსოვილთა ადეკვატურ სისხლმომარაგებას აფერხებს, რაც ვლინდება პოლიორგანული უკმარისობით, შეუქცევადი პროგრესირების დროს კი მთავრდება ლეტალური გამოსავლით [117].

სეფსისს კლინიკურად ახასიათებს მძიმე მიკროვასკულური დისფუნქცია, რომელიც მიუხედავად სითხის მოცულობის აღდგენის და ინფექციის მეურნალობისა პერსისტირებს. ვაზოპრესორების საპასუხოდ ჰემოდინამიკური მაჩვენებლების ნორმალიზაციის შემდეგაც კი, მულტიორგანულ უკმარისობამდე მივლივართ. ექსპერიმენტთა შედეგები აშკარად მიუთითებს, რომ მიკროცირკულაციის მოშლას სეფსისის პათოგენეზში ცენტრალური ადგილი უჭირავს [118]. მიკროცირკულაციის მოშლის მექანიზმები განსხვავდება იმ მექანიზმებისგან, რომლებიც სისტემური ჰემოდინამიკური ცვლილებების განვითარებას უდევს საფუძვლად. არსებობს მოსაზრება, რომ სეფსისის დროს განვითარებული მიკროცირკულატორული დისფუნქცია მჭიდროდ უკავშირდება: ვაზოკონსტრიქტორებისა და ვაზოდილატატორების მიმართ არტერიოლების დაქვეითებულ მგრძობელობას, არტერიოლების გლუვკუნთოვანი უჯრედების ადრენერგული მგრძობელობისა და ტონუსის დაკარგვას, კაპილართა მომატებულ განვლადობას, რომელიც მიკროვასკულური ენდოთელური ბარიერის დარღვევით ვლინდება [119]. ენდოთელიუმის ზედაპირის ანტიადჰეზიური ფუნქციის დაკარგვა, კოაგულოპათიას და კაპილარული განვლადობის დარღვევებს ავითარებს [120].

ენდოთელიუმი სეფსისით გამოწვეული პათოლოგიური მოვლენების ძირითადი სამიზნეა. სეპტიკური შოკის პათოგენეზის დიდი ნაწილი ენდოთელური უჯრედების დაზიანებით აიხსნება. სისხლძარღვთა ენდოთელური უჯრედები ერთერთი პირველთაგანია ორგანიზმის იმ უჯრედებს შორის, რომელიც მოცირკულირე ბაქტერიულ მოლეკულებთან კონტაქტში შედის. ენდოთელურ უჯრედებს გააჩნია მექანიზმები, რომელთა მეშვეობით ისინი ბაქტერიული პათოგენების სტრუქტურულ ნიმუშებს ცნობენ და შემდგომ

ანთებითი მედიატორების, მათ შორის, ციტოკინების, ქემოკინებისა და კომპლემენტის სისტემის პროდუქტების ექსპრესიას იწვევენ. ამ მედიატორების საპასუხოდ ენდოთელიუმი განიცდის სტრუქტურულ ცვლილებებს, როგორცაა შეშუპება, დეფორმაცია და აპოპტოზი [121].

ამ მექანიზმებით ირღვევა ენდოთელიუმის ბარიერული ფუნქცია. მძიმე სეფსისის დროს ენდოთელიუმის მომატებული განვლადობა კარდიოვასკულური ცვლილებების განვითარებული ნიშანია, რომლებიც მაღალი ავადობისა და ლეტალობის მნიშვნელოვანი ხელშემწყობია. ხშირად, ამ პროცესის გამანადგურებელი შედეგებია სითხის ექსტრავაზაცია, სისტემური სისხლძარღვოვანი ტონუსის მკვეთრი დაქვეითება და მიკროცირკულაციის კოლაფსი, რასაც დისტრიბუციულ შოკამდე, ფილტვებისა და თირკმლების მწვავე უკმარისობამდე მივყავართ [122].

სეფსისი კრიტიკულ ზემოქმედებას ახდენს ენდოთელიუმის მიერ რეგულირებულ სისხლძარღვის კედლის განვლადობაზე. ლიპოპოლისაქარიდები (LPS) იწვევენ ენდოთელური უჯრედების ციტოქინების რეკონსტრუირებას, რასაც სისხლძარღვთა კედლის მომატებული განვლადობა და კაპილარული ქონვა მოჰყვება. მწვავე ანთების ლოკალურ უბნებზე LPS-ის აღნიშნულ ზემოქმედებას განაპირობებს ენდოგენური პროანთებითი ციტოკინები: ინტერლეიკინ-1 (IL-1) და სიმსივნის ნეკროზის ფაქტორი- α (TNF α) [123]. არსებობს იმის დამადასტურებელი მონაცემები, რომ ენდოთელური განვლადობის LPS -ინდუცირებული ზრდა განპირობებულია უჯრედშორისი კავშირების წარმოქმნილი ადჰეზიური ცილების ფერმენტული გახლეჩვით [124]. უფრო მეტიც, ციტოკინებზე ენდოთელური უჯრედების პასუხი ხშირად შეუღლებულია უჯრედშიდა კალციუმის ზრდასთან, რაც უჯრედების შეკუმშვასა და სეპარაციას უკავშირდება. გარდა ამისა, ოქსიდაციური სტრესის გავლენით გააქტივებული რიგი ენდოთელური უჯრედები წარმოქმნის უანგბადის რეაქტიულ ნაერთებს (ROS), რომლებიც ანადგურებს სხვა ენდოთელურ უჯრედებს. In vitro კვლევებმა გამოავლინა სეფსისთან დაკავშირებული ფაქტორების: LPS და TNF α , ზემოქმედების საპასუხოდ ენდოთელური უჯრედების აპოპტოზური სიკვდილი

[125] ამის მიუხედავად, ენდოთელური უჯრედები ენდოტოქსინის ზემოქმედებისადმი ნაწილობრივ რეზისტენტულები არიან და სხვადასხვა მკვლევარმა ვერ შეძლო სეფსისის დროს ენდოთელური უჯრედების აპოპტოზის სარწმუნო დამადასტურებელი მონაცემების მოპოვება [126]. ყველა ზემოთმოყვანილი ცვლილება უჯრედულ დონეზე არის ენდოთელური ბარიერის რღვევა და ინტერსტიციულ არეში სითხისა და ცილების ექსტრავაზაცია, რაც კაპილარულ ჟონვადაა ცნობილი. ვასკულურ ჟონვას ჰიპოვოლემია მოჰყვება.

კლინიკურ კვლევებში შეისწავლეს შრატის დონე კრიტიკულად ავადმყოფ პაციენტებში და გამოიკვლიეს ანთებით მედიატორებსა და დაავადების სიმძიმის ინდექსებს შორის პოტენციური კორელაცია, ასევე სეფსისთან ასოცირებული ანთებითი მედიატორების ზემოქმედება ფილტვების ენდოთელიუმის მიერ Ang2-ის *in vitro* პროდუქციაზე. შრატის Ang2-ის დონე მნიშვნელოვნად იყო გაზრდილი მძიმე სეფსისის მქონე პაციენტებში, იმათთან შედარებით, ვისაც სისტემური ანთებითი პასუხის სინდრომი ან სეფსისი არ აღენიშნებოდა და დაავადების სიმძიმესთან კორელირებდა [127]. შრატის Ang2-სა და შრატის TNF α -ს შორის გამოვლენილი ძლიერი კორელაცია მიუთითებს, რომ შესაძლოა სეფსისის დროს Ang2-ს პროდუქციის რეგულირებაში TNF α მონაწილეობდეს. სხვადასხვა კლინიკურმა კვლევებმა გამოავლინა იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ მძიმე სეფსისის მქონე პაციენტებში Ang1 და Ang2 ავადობისა და ლეტალობის ახალი ინფორმაციული ბიომარკერებია [128]. რუტინული სადიაგნოსტიკო და /პროგნოზული ტესტის სახით მოცირკულირე Ang2-ის გამოყენების მიზანშეწონილობის დასაბუთება დამატებით ფართო კლინიკურ კვლევებს მოითხოვს.

სხვადასხვა ტიპის უჯრედის, მათ შორის თრომბოციტების მიერ გამომუშავებული ნივთიერებების უკმარისობა შეიძლება იწვევდეს ვასკულური განვლადობის ცვლილებას, რასაც ვასკულური ჟონვა და ენდოთელიუმის მთლიანობის დარღვევა მოჰყვება. ნივთიერება S1P შეიძლება თერაპიულ სამიზნე მოლეკულად იქნეს გამოყენებული, რადგან ის ჩართულია სეფსისის განვითარებისა და პროგრესირებასთან დაკავშირებულ ბევრ პროცესში, როგორცაა ვასკულური

მთლიანობის რეგულაცია და სისხლძარღვოვანი ტონუსი და ციტოკინების სეკრეცია. S1P-ის გადამტანის, აპოლიპოპროტეინ M (ApoM) პლაზმური კონცენტრაციები მკვეთრად დაქვეითებული იყო სეპტიკურ პაციენტებში, ხოლო დაქვეითების ხარისხი დაავადების სიმძიმეს ასახავდა [129].

ვასკულური განვლადობის მეორე მძლავრი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს კაპილარული ჟონვის სინდრომს, ვასკულური ენდოთელური ზრდის ფაქტორია (VEGF). სეფსისი ასოცირდება VEGF-ის მოციროკულირე დონის დრო-დამოკიდებულ ზრდასთან სეფსისის ცხოველურ და ადამიანის მოდელში. VEGF-ის ადენოვირუსით გამოწვეული ჭარბი ექსპრესია LPS-ის ტოქსიკურ ეფექტს აძლიერებს. სეპტიკურ პაციენტებში VEGF-ის მომატებული დონე დაავადების სიმძიმესა და ლეტალობასთან კორელირებდა. სხვა კვლევამ კი ხაინტერესო რამ გამოავლინა: მძიმე სეფსისის დროს VEGF-ის დონე მომატებული იყო, მაგრამ დაბალი იყო ლეტალური დასასრულის მქონე შემთხვევებში. VEGF-ის დაბალი კონცენტრაციები მძიმე ჰემატოლოგიურ დისფუნქციასთან იყო ასოცირებული, რაც შესაძლოა, მძიმე სეფსისის დროს VEGF-ის პროდუქციის დარღვევაზე მიუთითებდეს [130]. ძვლის ტვინიდან წარმოებული ადამიანის ენდოთელიუმის წინამორბედი უჯრედების (EPCs) მობილიზაცია და დიფერენციაცია დაზიანებული ენდოთელიუმის აღდგენის მექანიზმია. EPCs დიფერენცირდება, როგორც მოციროკულირე უჯრედები, რომლებსაც ვასკულური ენდოთელური უჯრედების მსგავსი უჯრედული ზედაპირული მარკერები აქვს, რომლებიც დაზიანების ადგილას ენდოთელიუმთან ადჰეზიას ახდენს და ვასკულოგენეზში მონაწილეობს. ფენოტიპური და ბიოლოგიური თვისებების მიხედვით ჰეტეროგენულობის მიუხედავად, EPCs კრიტიკული როლს ასრულებს ვასკულური ჰომეოსტაზის შენარჩუნებაში და მაკრო- და მიკროვასკულური აღდგენის პროცესში, როგორც ფიზიოლოგიურ, ისე პათოლოგიურ პირობებში. კლინიკური კვლევებით გამოვლინდა პერიფერიულ სისხლში EPCs-ის ზრდა დიაგნოზის ადრეულ სტადიაზეც და დემონსტრირებული იქნა, რომ სეპტიკურ პაციენტებში მოციროკულირე EPCs-ის რაოდენობა ორგანოების დისფუნქციის უკუპროპორციულია. მძიმე სეფსისი ენდოთელიუმის

წინამორბედი უჯრედების სისტემის სერიოზულ დაზიანებასთან ასოცირდება. ეს EPCs გამოისახება მომატებული რაოდენობით, პროანგიოგენური მედიატორების გაზრდილი კონცენტრაციებით და ამ უჯრედების დაქვეითებული პროლიფერაციით [131].

ახლახან ნაჩვენებია იქნა, რომ ენდოთელური გლიკოკალიქსი ჩართულია სეფსისით ინდუცირებულ მიკროცირკულატორულ დისფუნქციაში.

გლიკოკალიქსი სისხლძარღვთა სანათურის მხარეზე არსებული სტრუქტურაა, რომელიც პროტეოგლიკანებისა და გლიკოზამინოგლიკანებისაგან შედგება. ის იცავს ენდოთელიუმს პათოგენური შეტევებისგან და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ვასკულურ ბარიერულ ფუნქციონირებაში, როგორც გამყოფი ზღვარი სისხლსა და ენდოთელიუმს შორის. ინტაქტური გლიკოკალიქსი მონაწილეობს სისხლის ნაკადით ენდოთელური უჯრედებზე განხორციელებულ საზიარო სტრესში, ხელს უწყობს ერთროციტების დინებას, აფერხებს ლეიკოციტებისა და თრომბოციტების ენდოთელიუმთან ადჰეზიას, ახდენს ცილების ტრანსვასკულურ გაჟონვას. მისი მოწყვლადობის გამო ენდოთელური გლიკოკალიქსი ადვილად განიცდის ცვლილებებს ჰიპოქსიის, TNF α -ს ზემოქმედების, დაჟანგული ლიპოპროტეინების ზემოქმედებით და სხვა არაფიზიოლოგიურ პირობებში. ენდოთელიუმიდან გლიკოკალიქსის ჩამოშლამ შეიძლება ხელი შეუწყოს სეპტიკურ პაციენტებში მიკროვასკულური დისფუნქციისა და შეშუპების განვითარებას. გლიკოკალიქსის ზომა მნიშვნელოვნად მცირდება სეფსისის დროს და შესაძლებელია მისი დეგრადაციის გვერდითი პროდუქტების სისხლში აღმოჩენა. კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ სეპტიკურ პაციენტებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ჩამოშლილი გლიკოკალიქსის შემადგენელ ნივთიერებათა პლაზმური დონე დაავადების სიმძიმესა და სიკვდილიანობასთან კორელირებს. ჰიალურონიდაზას ადმინისტრირება, რომელიც ნაწილობრივ შლის გლიკოკალიქსის შრეს, მიკროცირკულატორული პერფუზიის სეფსისით გამოწვეული ცვლილებების იმიტაციას იძლევა [132].

სეფსისის დროს მიკროცირკულატორული ცვლილებების ხასიათის თაობაზე მონაცემები ცხოველურ მოდელებში იქნა მოპოვებული ინტრავიტალური მიკროსკოპიისა და ლაზერული

დოპლეროგრაფიის გამოყენებით. აღმოჩენილია სისხლის დინების გაზრდილ ჰეტეროგენურობასთან ერთად პერფუზირებული კაპილარების რაოდენობის შემცირება და არაპერფუზირებული კაპილარების რაოდენობის მატება.

აღნიშნული ცვლილებები კაპილარებში შემდეგ ადამიანებშიც იქნა ნანახი [134]. პერფუზირებული კაპილარების რაოდენობის შემცირება და არაპერფუზირებული კაპილარების წილის ზრდა სისხლის ნაკადის გარეშე ან წყვეტილი ნაკადით გამოვლენილი იქნა იმ პაციენტებშიც კი, ვისაც სითხის მოცულობა აღდგენილი ჰქონდა და ადეკვატური არტერიული სისხლის ოქსიგენაცია და გულის წუთმოცულობა აღენიშნებოდა [135]. საყურადღებოა, რომ ეს დინამიკური პროცესია, რადგან კაპილარებში, რომლებშიც სისხლის ნაკადი დროის მოცემულ მონაკვეთში შეწყვეტილია, რამდენიმე წუთის შემდეგ შეიძლება პერფუზია აღდგეს [136].

მიკროცირკულატორული პერფუზია სეფსისის დროს მნიშვნელოვნადაა დარღვეული რამდენიმე ხელშემწყობი ფაქტორის გამო: ერთროციტების დეფორმაბელურობის დაქვეითება გაზრდილ ვისკოზურობასთან ერთად; დაქვეითებული დეფორმაბელურობისა და გაზრდილი აგრეგაციის უნარის მქონე გააქტივებული ნეიტროფილების დონის მომატება ადჰეზიური მოლეკულების ჭარბი პროდუქციის გამო; სისხლის შემადგებელი ფაქტორების კასკადის გააქტივება ფიბრინის ჩალაგებით და მიკროთრომბების ფორმირებით; აზოტის ოქსიდის მიერ ვასკულური აუტორეგულატორული მექანიზმების დისფუნქცია და გაძლიერებული ფუნქციური არტერიოვენოზური შუნტირება მიკროცირკულაციაში [136]. ეს ფაქტორები იწვევს ქსოვილთა დიზოქსიას ჟანგბადის მიკროცირკულატორული მომარაგების დარღვევიდან (და/ან მიტოქონდრიული დისფუნქციიდან) და სეფსისის პროგრესირებიდან ორგანოთა მრავლობით უკმარისობამდე [137].

სისხლის მიკროცირკულაციური დინება დამოკიდებულია ერთროციტების დეფორმაციის უნარზე: სისხლის წითელი უჯრედების (RBCs) უნარზე, შეიცვალოს ფორმა და კაპილარებს შორის პენეტრირდეს. სხვადასხვა კვლევებმა აჩვენა, რომ RBC შეცვლილი მოფროლოგია და რეოლოგია (აგრეგაცია და დეფორმაბელურობა) სეპტიკური შოკის, როგორც ცხოველურ

მოდელში ისე სეფსისის მქონე პაციენტებში [138]. შოკის რეფრაქტორული სტადიის დროს თითქმის ყველა ერთროციტი დაკბილული კიდების მქონე სფეროს ფორმას ღებულობს. სეპტიკური შოკის მქონე პაციენტების სისხლის ნაცხის ოპტიკური მიკროსკოპით გასინჯვით შეინიშნებოდა არანორმალური ერთროციტების გაზრდილი რაოდენობა, მათ შორის ექინოციტური და სფეროექინოციტური ტრანსფორმაციები, რომლებიც ასოცირებული იყო მომატებულ აგრეგაციასთან, დაქვეითებულ დეფორმაბელურობასთან სტომატოციტურ ერთროციტებში და ექინოციტების შემცველი სისხლის ჭარბი ვისკოზურობა [139]. ერთროციტების დეფორმაბელურობის ცვლილებას შესაძლოა რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდეს, ესენია: უჯრედშიდა კალციუმის გაზრდილი რაოდენობა, ატფ-ის შემცირებული კონცენტრაცია, აზოტის ოქსიდის ზეგავლენა ერთროციტების მემბრანის დენადობაზე და ერთროციტების მემბრანაში სიალის მჟავის შემცველობის კლება [140]. ჟანგბადის რეაქტიული ფორმების (ROS) ჭარბი პროდუქცია, ანტიოქსიდანტური დაცვის დაქვეითება და ოქსიდაციური სტრესის განვითარება, რაც ანთებითი პროცესების დამახასიათებელია, ასევე ხელს უწყობს ერთროციტების დეფორმაბელურობის ცვლილებას [141-142]. სუპეროქსიდ ანიონს შეუძლია ერთროციტების მემბრანული ცილების (bend 3 და სპექტრინის) დეგრადაცია გამოიწვიოს ახალი ცილების bend-ების წარმოქმნით. მემბრანული ცილების აღნიშნულმა რეორგანიზაციამ შესაძლოა, ერთროციტების დეფორმაბელურობის შემცირება განაპირობოს [143].

ერთროციტების დეფორმაბელურობის ზემოთაღნიშნული ცვლილებები აზიანებს ერთროციტების მიერ მიკროცირკულაციის მოდულირების უნარს, ეს უკანასკნელი ჟანგბადის ტრანსპორტთან ერთად ერთროციტების მნიშვნელოვან დამატებით ფუნქციად არის მიჩნეული. ნიშანდობლივია, რომ ერთროციტები ჟანგბადის დეფიციტის მქონე გარემოში პერფუზიას ისეთი ვაზოდილატატორების გამოთავისუფლებით არეგულირებენ, როგორცაა აზოტის მჟავა (NO) და ატფ [144]. სეპტიკურ პაციენტებში ერთროციტების რეოლოგია და მიკროცირკულაცია ცოტა მკვლევარს თუ აქვს შესწავლილი. ერთროციტების რეოლოგიური ცვლილებები

სეფსისის დროს იწვევს მიკროვასკულური ნაკადის შემცირებას, ლოკალური შემდგომი ქსოვილოვანი იშემიის განვითარებით და საბოლოოდ მულტიორგანული უკმარისობით. ერთროციტების დეფორმაბელურობის გაუარესება სეპტიკურ პაციენტებში პროგნოზულად მძიმე გამოსავალთან არის ასოცირებული [145, 146].

დაქვეითებული დეფორმაბელურობის გარდა, მძიმე სეფსისისთვის ძალზე დამახასიათებელია ერთროციტების რაოდენობის შემცირება და ანემიის განვითარება. ანემიის ეტიოლოგია ამ შემთხვევაში მულტიფაქტორულია და მოიცავს შეცვლილ ერთროპოეზს (ერთროიდიული წინამორბედი უჯრედების აპოპტოზი და ერთროპოიეტინის შემცირებული კონცენტრაცია მოცემული ჰემატოკრიტისთვის) . ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, სავარაუდოდ, მოცირკულირე სისხლიდან ერთროციტების გაძლიერებული კლირენსია [147, 148]. ციტოზოლური Ca^{2+} -ის ჭარბი აქტივობა (რაც შეიძლება PGE2-ით გააქტივებული, Ca^{2+} -ისთვის განვლადი კათიონური არხების გავლით უჯრედში კალციუმის შესვლით იყოს განპირობებული) ჩართავს ერთროციტების სუიციდურ სიკვდილს (ერიპტოზს), რომელსაც ერთროციტების შეჭმუხვნა და უჯრედის მემბრანული ფოსფოლიპიდების დეზორგანიზაცია ახასიათებს, რასაც ერთროციტების ზედაპირზე ფოსფატიდილსერინის ექსპოზიცია მოჰყვება [149]. ასეთ ერთროციტებს სისხლძარღვის კედლებთან ადჰეზია შეუძლიათ, ან შესაძლოა მათი შთანთქმა ფოსფატიდილსერინის რეცეპტორებით აღჭურვილი მაკროფაგების მიერ. ერიპტოზული ერთროციტების სისხლძარღვის კედლებთან ადჰეზიამ შეიძლება მიკროცირკულაციის დარღვევა გამოიწვიოს [150]. ცერამიდების ფორმირება, უჯრედული Ca^{2+} -ის აკუმულირების მსგავსად ასტიმულირებს ერიპტოზს. ცერამიდების პროდუქცია შესაძლებელია მჟავა სფინგომიელინაზას მიერ მემბრანული სფინგომიელინიდან [151]. სფინგომიელინაზა ფერმენტია, რომელსაც თრომბოციტების აქტივაციის ფაქტორი ასტიმულირებს. შესაძლოა, ის ასრულებდეს იმ მნიშვნელოვანი პათოფიზიოლოგიური მექანიზმის როლს, რომელსაც სეფსისის დროს ანემიასა და მიკროცირკულაციის დარღვევასთან მივყავართ [152].

რეოლოგიური თვისებების მხრივ მიკროცირკულაციას ჰეტეროგენურობა ახასიათებს სხვადასხვა ორგანოსა და ქსოვილში. სისხლის დინების ჰეტეროგენურობა უზრუნველყოფს ჟანგბადის ადეკვატურ მიწოდებას ქსოვილების მეტაბოლურ მოთხოვნათა შესაბამისად. მეორე მხრივ, ეს ცალკეულ მიკროცირკულაციურ ერთეულებს უფრო მგრძობიარეს ხდის სეფსისის დროს ჰიპოქსიით მიყენებული დაზიანებების მიმართ. ამას გარდა, თითქმის ყველა სისხლძარღვის ზედაპირების კაპილარული pO₂ და ჰემოგლობინით გაჯერება არტერიულ სიდიდეებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირებულია. მიკროვასკულური ჰემატოკრიტი სისტემურ ჰემატოკრიტზე უფრო დაბალია. ამ შემცირების მიზეზი ფერეუსის ეფექტია, რომელიც სისხლძარღვის ცენტრის ახლოს ერთროციტების აქსიალურ მიგრაციას განაპირობებს და შედეგად ერთროციტებისა და პლაზმური სინქარების დიფერენციაციას იწვევს [153, 154]. ყველა ზემოაღნიშნული თავისებურების გამო მიკროცირკულაციის იოლად დაზიანებადი სეგმენტები ჰიპოქსიური დაზიანებისკენ უფრო მიდრეკილი ხდება. შესაძლო პათოფიზიოლოგიური მექანიზმი, რომელიც სეფსისისათვის დამახასიათებელ ნიშანს – ქსოვილების მიერ ჟანგბადის ექსტრაქციის დარღვევას უდევს საფუძვლად, ორგანოთა სისხლძარღვოვან ქსელში იოლად დაზიანებადი მიკროცირკულატორული ერთეულების გათიშვაა, რაც არტერიულიდან ვენურ სისტემაში ჟანგბადის ტრანსპორტირებისას შუნტის წარმოქმნას უწყობს ხელს და ამით მიკროცირკულაცია ჰიპოქსემიური რჩება. მიკროვასკულური ცვლილებები უშუალოდ აზიანებს ქსოვილთა ოქსიგენაციას, რაზეც ლაქტატისა და NADH დონეები მიუთითებს [155, 156].

სეფსისის დროს მიკროვასკულური დისფუნქციის პათოგენეზში ასევე შესაძლოა გადამწყვეტ როლს ასრულებდეს კოაგულაციის გააქტიურება, რაც განაპირობებს მიკროვასკულატურაში თრომბინის დეპონირებასა და პერფუზირებული კაპილარების რაოდენობის შემცირებას. TNF and IL-1 ზემოქმედებს ენდოთელურ უჯრედებზე და თრგუნავს თრომბომოდულინის, ანტითრომბინ-III, ქსოვილოვანი პლაზმინოგენის აქტივატორის (PA) და ჰეპარინ სულფატის

პროდუქციას, რაც იწვევს პლაზმინის ფორმირებასა და ფიბრინოლიზის ბლოკირებას. მაშინ, როდესაც სეფსისის დროს ვასკულური ენდოთელიუმი ზიანდება, ენდოთელური თრომბოზოიდული დონე მნიშვნელოვნად მცირდება, ასევე ქვეითდება ორგანიზმის უნარი, C- ცილა ანტითრომბული, პროფიბრინოლიზური და ანთების საწინააღმდეგო თვისებების მქონე აქტივირებულ C ცილად (APC) გარდაქმნას. APC-ს ძირითადი ეფექტი Va და VIII ფაქტორების ინაქტივაციის გზით თრომბინის პროდუქციის შემცირებაა. რიგმა კვლევებმა აჩვენა, რომ C ცილის დონე მძიმე ინფექციის მქონე პაციენტებში მნიშვნელოვნად დაქვეითებულია [157]. ასევე გამოვლინდა, რომ C ცილის ღრმა უკმარისობა სეპტიკურ პაციენტებში ადრეულ სიკვდილიანობასთანაა ასოცირებული, რასაც მეტწილად რეფრაქტული შოკი და პოლიორგანული უკმარისობა იწვევს [158]. იმის დადასტურება, რომ მძიმე სეფსისის მქონე ავადმყოფებში APC-ს ეგზოგენური ადმინისტრირება გამოსავალს აუქმობს, ვერ მოხერხდა [159].

აქტივირებული ენდოთელური უჯრედები კოაგულაციის მექანიზმზე ალტერნატიული გზითაც მოქმედებენ. ისინი გამოიმუშავენ ვილენბრანტის ფაქტორს, რომელსაც გადამწყვეტი გავლენა აქვს თრომბოციტების ადჰეზიასა და აქტივაციაზე და აგრეთვე ახდენენ უჯრედულ მემბრანაზე E და P სელექტინების მსგავსი აგლუტინაციური ცილების ჭარბ ექსპრესიას, რაც თრომბოციტებისა და მონოციტების ენდოთელიუმთან ადჰეზიას ასტიმულირებს [160].

ზემოაღწერილ დარღვევათა შედეგია მიკროთრომბების ფორმირება, რომელთაც კაპილარების მიკროცირკულაციისა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოების პერფუზიის შეცვლა შეუძლიათ. ეს ცვლილებები, რომლებსაც კლინიციისტები დისემინირებულ ინტრავასკულურ კოაგულაციას (DIC) უწოდებენ, ჩვეულებრივ ასოცირებულია პოლიორგანულ დისფუნქციასთან და მნიშვნელოვანი პროგნოზული ფაქტორია [161, 162]. აქ უნდა ვახსენოთ NO-ს ანტითრომბული როლიც. სისხლძარღვის სანათურში გამოთავისუფლებული NO თრომბოციტების აგრეგაციისა და ადჰეზიის მძლავრი ინჰიბიტორია. NO ასევე თრგუნავს სისხლძარღვის კედელთან ლეიკოციტების ადჰეზიას, ხელს უშლის ლეიკოციტის

ადჰეზიური მოლეკულის CD11/CD18 უნარს, ადჰეზიური კავშირი წარმოქმნას ენდოთელური უჯრედის ზედაპირთან, ან თრგუნავს ლეიკოციტებზე CD11/CD18 ექსპრესიას. NO ამცირებს ქსოვილოვანი ფაქტორის (TF) პროდუქციას და მის ჭარბ ექსპრესიას ენდოთელიუმზე [163, 164].

სეფსისის დროს ელექტრული კომუნიკაცია ენდოთელურ უჯრედებს შორის შეიძლება შეიცვალოს. ნორმალურ პირობებში, ქსოვილების ადეკვატური, მეტაბოლიზმის შესაბამისი პერფუზია ხორციელდება უკუკავშირის გზით პერივასკულური ნერვების მეშვეობით და ენდოთელურ უჯრედებს შორის ინფორმაციის ტრანსმისიით, რაც კაპილარულ ქსელსა და არტერიოლებს შორის ელექტრულ კომუნიკაციას უზრუნველყოფს – ე. წ. კონდუქტორული ვაზომოტორული რეაქცია [165]. არტერიოლებში მემბრანათა ელექტრული ცვლილებები შეკავშირებულია პასუხებთან კაპილარულ სეგმენტებში. კაპილარებში ელექტრული სიგნალის გატარების გზა, როგორც ჩანს ენდოთელიუმზე გადის, ხოლო არტერიოლების ქსელში – ენდოთელიუმის ან გლუგუკუნთოვანი უჯრედების შრეებზე. ეს შეკავშირება შესაძლებლობას უქმნის ენდოთელიუმს ან გლუგ კუნთში აღმოცენებულ ელექტრულ იმპულსებს, ძლიერი ვაზომოტორული რეაქცია გამოიწვიოს სისხლძარღვის მთელი, შედარებით გრძელი სეგმენტის გასწვრივ და კოორდინირებული ვაზოდილატაცია ან ვაზოკონსტრიქცია უზრუნველყოს [166]. ვარაუდობენ, რომ სისხლძარღვოვანი უჯრედების კომუნიკაცია ერთერთ გადაწყვეტ როლს თამაშობს მიკროვასკულური სისხლის ნაკადის კონტროლის კოორდინირებაში [167].

ეს მონაცემები გვკარნახობს, რომ მიკროვასკულური დისფუნქციის განვითარებაში მრავალი მექანიზმი ჩართული. ზემოაღნიშნული მიკროცირკულაციური ცვლილებები იწვევს მიკროვასკულური ქსელის სამივე ფუნქციური ელემენტის: არტერიოლების, კაპილარებისა და ვენულების დაზიანებას. არტერიოლები ვაზოკონსტრიქტორების მიმართ პიპორეაქტიულია და კატექოლამინების მომატებული კონცენტრაციის მიუხედავად დილატაციას განიცდის, პერფუზირებული კაპილარების რაოდენობა მცირდება, ხოლო ვენულებში ადგილი აქვს ობსტრუქციას სეკვესტრირებული ნეიტროფილებით [168, 169].

სეფსისის დროს მიკროცირკულაციის დაზიანება სამ სტადიად ხდება:

1. კომპენსირებული ანუ ადრეული შექცევადი სტადია;
2. პროგრესირებადი ანუ გარდამავალი სტადია;
3. რეფრაქტორული ანუ შეუქცევადი სტადია.

პირველ სტადიას ინტრავასკულური სისხლის მოცულობის შემცირების საპასუხოდ პრეკაპილარული არტერიოლებისა და პოსტკაპილარული ვენულების ვაზოკონსტრიქცია ახასიათებს. ეს რეაქცია დაკავშირებულია სიმპათიკური ნერვული სისტემის გააქტივებასთან და სისტემური სისხლის წნევის შენარჩუნებას ემსახურება. ინტრავასკულურად სითხის შემოდინებასა და გადინებას განაპირობებს მიკროვასკულურ და ინტერსტიციულ სივრცეებს შორის ჰიდროსტატიკური და ონკოზური წნევის გრადიენტები. პრეკაპილარული ვაზოკონსტრიქცია მიკროვასკულურ ჰიდროსტატიკურ სისხლის წნევას ამცირებს და ინტერსტიციალური სივრციდან მიკროვასკულურ სივრცეში ცილებისგან თავისუფალი სითხის შემოდინებას უწყობს ხელს. ეს მოვლენა ცნობილია, როგორც „ტრანსკაპილარული შევსება“ [170]. სითხე ექსტრავასკულური სივრციდან ინტრავასკულურში წაინაცვლებს. სეპტიკური შოკის შეუქცევად ფაზაში გადასვლის ნიშანი ენდოგენური კონსტრიქტორების მიმართ ვაზომოტორული რეაქტიულობის დაკარგვაა. სიმპატიკური ნერვული სისტემის პერსისტული აქტივაციისა და მოცირკულირე ვაზოკონსტრიქტორების მაღალი კონცენტრაციების მიუხედავად ადგილი აქვს პრეკაპილარული სფინქტერების პათოლოგიურ ვაზოდილატაციას [171].

პლაზმური ალბუმინის კონცენტრაციის დაქვეითება, როგორც ჩანს, სეფსისის დროს პაციენტის მდგომარეობის გაუარესებას ასახავს. ჰიპოალბუმინემია განპირობებულია ექსტრავასკულურ სივრცეში ალბუმინის რედისტრიბუციით და ტრანსკაპილარული შევსებისა და სითხის გადასხმით გამოწვეული განზავებით, ასევე ღვიძლის მიერ ალბუმინის პროდუქციის შემცირებით (ამ უკანასკნელის მიზეზი ღვიძლის მიერ უპირატესად მწვავე ფაზის ცილების – გლობულინების, ფიბრინოგენისა და ჰაპტოგლობინის სინთეზზე გადართვაა) [172, 173]. მიუხედავად ამისა, შრატის ალბუმინის დონის შემცირებას

ინტრავასკულური კოლოიდ-ოსმოსური წნევის ცვლილება და შეშუპების განვითარება ყოველთვის არ მოჰყვება, რადგან შემცირებული ალბუმინი მწვავე ფაზის ცილებით კომპენსირდება [174].

აშკარაა, რომ სეფსისით ინდუცირებული მიკროვასკულური ცვლილებები, უჯრედულ მეტაბოლურ ცვლილებებთან და კერძოდ მიტოქონდრიულ დისფუნქციასთან ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობს მძიმე სეფსისის დროს პოლიორგანული უკმარისობისა და ლეტალური გამოსავლის განვითარებაში. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მეტაბოლურ ცვლილებათა კავშირი სისტემურ ცვლადებთან (მაჩვენებლებთან) და გამოსავალთან ჯერ კიდევ არ არის ზუსტად განსაზღვრული. ზოგიერთი კლინიკური კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ მიკროცირკულატორული ცვლილებები მძიმე სეფსისის დროს გამოსავლის უფრო ძლიერი პროგნოზული ფაქტორია, ვიდრე სისტემური ჰემოდინამიკური მაჩვენებლები [175]. პაციენტის გადარჩენის შანსი მნიშვნელოვნად კლებულობს პერფუზირებული მიკროსისხლძარღვების წილის მკვეთრ შემცირებასთან ერთად [176]. სეფსისის ადრეულ პერიოდზე ფოკუსირებული მულტივარიაბელური ანალიზის თანახმად პერფუზირებული მიკროსისხლძარღვების წილი და ლაქტატის დონე პაციენტის გადარჩენის შანსის დამოუკიდებელი პროგნოზული ფაქტორებია. ლეტალური გამოსავლის მქონე პაციენტების შემთხვევაში ადრეული მიკროცირკულატორული ინდექსების უფრო გამოსატული დაზიანება (სისხლის ნაკადის შემცირებული სიჩქარე და ჰეტეროგენური პერფუზია) აღინიშნებოდა [177]. იგივე ადრეული ინდექსების, სისხლის ნაკადის სიჩქარისა და ჰეტეროგენულობის დარღვევა უფრო მკვეთრად იყო გამოსატული სისტემური კარდიოვასკულური დისფუნქციის სიმძიმის ზრდასთან ერთად (დაქვეითებული არტერიული წნევა ან ვაზოპრესორების გაზრდილი საჭიროება) [178]. სხვა კვლევებში პერფუზირებული კაპილარების წილი, ასევე ჰეტეროგენური ინდექსი, მაგრამ არა სისხლის ნაკადის სიჩქარე პერფუზირებულ კაპილარებში, ასოცირებული იყო დაავადების გამოსავალთან. უფრო მეტიც, მიკროცირკულატორული ცვლილებები სწრაფად უმჯობესდებოდა იმ პაციენტებში, ვინც ცოცხალი გადარჩა და

დარღვეული რჩებოდა ლეტალური გამოსავლის მქონე პაციენტებში [179, 180].

ჩატარებულ კლინიკურ კვლევაში (ორთოგონალური პოლარიზაციის სპექტრული ვიზუალიზაციის ტექნიკის გამოყენებით) მიკროცირკულაციის მოშლა ერთადერთი დისკრიმინაციული ფაქტორი იყო სეპტიკური შოკის მქონე იმ პაციენტებს შორის, ვინც გადარჩა ან ვინც დაიღუპა მულტიორგანული უკმარისობით; ჰემოდინამიკური მაჩვენებლები ორივე ჯგუფში ერთნაირი იყო. ორგანოთა უკმარისობა გამოწვეული იყო მიკროცირკულაციის დარღვევისა და მიტოქონდრიული დისფუნქციის ერთობლიობით, რაც დიზოქსიას განაპირობებდა. ცნობილია, რომ სეფსისის დროს ჭარბად წარმოქნილი NO მიტოქონდრიულ სუნთქვას თრგუნავს, რაც NO-ს ზემოქმედების დროისა და დათრგუნული მიტოქონდრიული კომპლექსის მიხედვით შექცევით ან შეუქცევად ხასიათს ღებულობს [181].

ვაზოპლევია – პერსისტული და შეუქცევადი ჰიპოტენზია, სეპტიკური შოკისთვის დამახასიათებელი კარდიოვასკულური ცვლილებების პათოგენეზში საკვანძო ასპექტად და პაციენტთა ლეტალობის საკვანძო ფაქტორად მიიჩნევა. ეს ვაზოდილატატორული შოკის ფორმაა, რომელსაც გულის გაზრდილი წუთმოცულობისა და სითხის მოცულობის ადეკვატური აღდგენის მიუხედავად, დაქვეითებული სისტემური არტერიული წნევა ახასიათებს; ამ დროს აღინიშნება სისტემური ვასკულური რეზისტენტობის მკვეთრი დაქვეითება, რაც ვაზოკონსტრიქტორების მიმართ ვასკულური ჰიპორეაქტიულობის შედეგია. ამ უკანასკნელის დროს შეუძლებელი ხდება სისხლის არტერიული წნევის გაზრდა ვაზოპრესორების მაღალი ინფუზიის მიუხედავად [182, 183]. ვასკულურ ჰიპორეაქტიულობას კლინიკურად ის ადასტურებს, რომ სეპტიკური შოკის მქონე პაციენტებში სითხის მოცულობის აღდგენის შემდეგ, ენდოგენური და ეგზოგენური კატექოლამინების მომატებული კონცენტრაციებისა და რენინ-ანგიოტენზინის სისტემის მაქსიმალური აქტივაციის მიუხედავად ჰიპოტენზია პერსისტირებს [184]. ვასკულურ ჰიპორეაქტიულობასთან ასოცირებული პერსისტული და შეუქცევადი ჰიპოტენზია მძიმე სეფსისის დროს სიკვდილიანობის მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი

პროგნოზული ფაქტორია. სისხლძარღვთა ტონუსზე კონტროლის დაკარგვა კომპლექსური, მულტიფაქტორული მექანიზმით ხდება და ვაზოკონსტრიქტორებსა და ვაზოდilatატორებს შორის მკვეთრად დარღვეულ ბალანსს გულისხმობს [185].

ვასკულური რეზისტენტობის საკვანძო მოდულატორი აზოტის ოქსიდია (NO). ფიქრობენ, რომ NO კრიტიკულ როლს თამაშობს სეფსისის პათოგენეზში. სეპტიკური შოკის დროს NO-სა და პეროქსინიტრატის (ONOO-) ჭარბი რაოდენობა სხვა ფაქტორებთან ერთად ჰიპოტენზიის გვიანი ფაზის, ვაზოპლეგიის, უჯრედული სუნთქვის დათრგუნვის, აპოპტოზის, ლაქტატაციდოზის და მულტიორგანული დაზიანების მედიატორებია. NO პროდუცირდება L-არგინინისგან აზოტის ოქსიდის სინთაზას (NOS) მიერ [186, 187].

NO-ს პროდუქცია შეიძლება მოკლე პერიოდის მანძილზე მკვეთრად გაიზარდოს, რაც ანთებით პროცესის ნაწილია. აზოტის ოქსიდის სინთაზას ინდუციბელური ფორმა (iNOS) საჭიროებისამებრ ექსპრესირდება და მის აქტივაციას რამდენიმე საათი სჭირდება; დროის ხანგრძლივობა ორგანოსა და სახეობაზე დამოკიდებული [188].

iNOS-ს აქტივაციის შედეგად NO-ს ჭარბი პროდუქცია აღმოჩენილ იქნა, როგორც სეფსისის ცხოველურ მოდელებში, ისე სეპტიკურ პაციენტებში. iNOS ის მიერ NO-ს მომატებული სინთეზი გავლენას ახდენს როგორც სეფსისის დროს ჰიპოტენზიასთან ასოცირებული ვასკულური რელაქსაციის, ისე ვაზოპრესორი კატექოლამინების მიმართ დაბალი რეაქტიულობის განვითარებაზე [189].

ვასკულური NO გლუვკუნთოვან უჯრედებში ხსნადი გუანიდილ ციკლაზას სტიმულირებითა და ციკლური გუანოზინ მონოფოსფატის (cGMP) გაზრდით ყველა ტიპის სისხლძარღვების დილატაციას იწვევს [190]. NO-ს ვაზოდilatატორული ეფექტი ფართოდ არის შესწავლილი. მაგალითად, ენდოტოქსემიური ვირთაგვების იზოლირებულ სისხლძარღვებში ნორეპინეფრინის მიმართ ვასკულური რეაქტიულობა მკვეთრად იყო შეცვლილი. თუმცა NOS ინჰიბიტორები, როგორცაა NG-მონომეთილ-L-არგინინი (LNMMMA) ან მეთილენის ლურჯი, ნორეპინეფრინის მიმართ

ვასკულურ რეაქტიულობას მთლიანად აღადგენს, ენდოთელიუმის არსებობა-არარსებობისგან დამოუკიდებლად [191].

iNOS-ს დათრგუნვასა და NO სკავენგირებაზე ორიენტირებულმა კვლევებმა სეფსისის ცხოველურ მოდელებში დაავადების გამოსავლის გაუმჯობესება აჩვენა. მიუხედავად ამისა, iNOS-დეფიციტურ ვირთაგვებზე ჩატარებულმა სხვა კვლევებმა და NOS-ს ინჰიბიტორების გამოყენებით ჩატარებულმა კლინიკურმა კვლევებმა სამკურნალო ჯგუფებში გაუმჯობესება ვერ გვიჩვენა და ზოგიერთ შემთხვევაში გაზრდილი სიკვდილიანობაც კი გამოავლინა და კვლევამ სეფსისის დროს iNOS-ის სელექციური ინჰიბირების დადებითი ეფექტი აჩვენა [192]. აღნიშნული ინჰიბირება სეპტიკურ ვირთაგვებში ენდოთელიუმ-დამოკიდებულ ვაზოდილატაციასთან ასოცირებულ მნიშვნელოვანი ვასკულური ფუნქციის შენარჩუნებას განაპირობებდა და ხელს უშლიდა ჰიპოტენზიის განვითარებას და ამცირებდა მეტაბოლური დარღვევების სიმძიმეს. ცხოველებზე in vivo კვლევებმა აჩვენა, რომ iNOS-ის სელექციური ინჰიბირება სეფსისით ინდუცირებულ თირკმლის მწვავე დაზიანებას ამსუბუქებს [193].

iNOS-ის კონსტიტუციური ფორმების ფუნქციური სტატუსი სეფსისით ინდუცირებულ ვასკულურ ცვლილებებში ბოლომდე გარკვეული არ არის. ექსპერიმენტულმა კვლევებმა გამოავლინა კონსტიტუციური NOS-ის აქტივობის შემცირება, რაც ენდოტოქსემიასა და ექსპერიმენტული სეფსისის დროს ენდოთელიუმდამოკიდებული რელაქსაციის დარღვევას მოჰყვება, შესაძლოა, კონსტიტუციური NOS-ის mRNA-ს ნახევარ-სიცოცხლის ციკლინებით ან ჰიპოქსიით ინდუცირებული შემოკლების შედეგად ან კალციუმის მობილიზაციის ცვლილების შედეგად. სხვა კვლევებმა აჩვენა ენდოთელიური – NO-ს ჭარბი პროდუქცია დაუყოვნებლივ ენდოტოქსინის ადმინისტრირების შემდეგ. აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგების თანახმად, ცეკალური ლიგაციის და პერფორაციის ფონზე განვითარებული სეფსისის დროს NO-ს ჭარბი პროდუქცია არა iNOS-ის, არამედ eNOS-ის გააქტივების შედეგი იყო [194].

iNOS დონე სეფსისის გვიან სტადიებზე ქვეითდება, შესაბამისად, შეისწავლეს NO-ს წყაროების სავარაუდო როლი, კერძოდ, nNOS-ს როლი და აღმოაჩინეს, რომ სეფსისის დროს ვასკულურ ქსოვილში ადგილი აქვს როგორც nNOS-ს, ისე სხნადი გუანილატ ციკლაზას ჭარბ ექსპრესიას; ეს ცილა ფიზიკურად ურთიერთქმედებს და nNOS-ს დაბლოკვა ციკლური გუანოზინ მონოფოსფატის პროდუქციას თრგუნავს. nNOS-ს იზოენზიმის სელექციური დათრგუნვა ადადგენს ვაზოკონსტრიქტორების მიმართ რეაქტიულობას [195]. nNOS-ს დელეცია ხელს უშლის სეპტიკური ვირთაგვების ჩონჩხის კუნთში ვაზოდილატაციის განვითარებას. ცხვრის სეფსისის მოდელში nNOS-ის დათრგუნვა მნიშვნელოვნად აქვეითებს მძიმე ჰიპოტენზიას, რომელიც რეზისტენტულია სითხის მოცულობის აგრესიული აღდგენის მიმართ და აუმჯობესებს დაზიანებულ მიოკარდიულ კუმშვადობას. ამიტომ, nNOS-ის (და შესაძლოა სხნადი გუანილატ ციკლაზას) ინჰიბირება შეიძლება ღირებულ ალტერნატივას წარმოადგენდეს სეფსისის გვიან სტადიებზე ვაზოპრესორული აგენტების ეფექტიანობის აღსადგენად და ვასკულური დისფუნქციის შესამსუბუქებლად [196]. თუმცა, სეფსისის ცხოველურ მოდელზე ჩატარებულ მეორე კვლევაში nNOS-ის უკმარისობამ და დათრგუნვამ ლეტალობა გაზარდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ nNOS შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ინფექციისა და სეფსისის დროს პაციენტის გადარჩენის, ბაქტერიების ელიმინაციისა და ციტოკინური პასუხის რეგულაციისთვის [197].

ვაზოპრესინის უკმარისობა სეპტიკური შოკის დროს განვითარებული კარდიოვასკულური დისფუნქციის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ვაზოპრესინი ენდოგენური ჰორმონია, რომელიც არსებით როლს თამაშობს როგორც ოსმოსურ, ისე კარდიოვასკულური ჰომეოსტაზში. ვაზოპრესინი ვაზოკონსტრიქციას იწვევს და სისხლის წნევას ზრდის [198]. არგინინ ვაზოპრესინი ასევე აქვეითებს აზოტის ოქსიდით განპირობებულ ვაზოდილატაციას. მოცირკულირე ვაზოპრესინის დონე სეპტიკური შოკის საწყის ფაზაში თითქმის ყოველთვის გაზრდილია და შემდგომ მნიშვნელოვნად მცირდება შორს წასული სეპტიკური შოკის მქონე პაციენტებში, რაც

ვაზოპრესინის ბარორეცეპტორების მონაწილეობით ვაზოპრესინის სეკრეციის დარღვევაზე მიუთითებს [199].

ვაზოპრესინის შედარებითი უკმარისობა სეპტიკური შოკის გვიან სტადიაში პაციენტთა დაახლოებით ერთ მესამედს აღენიშნება და სეპტიკური შოკის მქონე პაციენტები ეგზოგენური ვაზოპრესინის სისხლძარღვის შემავიწროებელი ზემოქმედების მიმართ მაღალი მგრძობელობით გამოირჩევიან [200]. მკვლევართა ერთი ჯგუფი არგინინ ვაზოპრესინს სეპტიკური შოკის ჰემოდინამიკური ცვლილებების კორექციისთვის მნიშვნელოვან დამატებით თერაპიულ საშუალებად გვთავაზობს. მიუხედავად ამისა, ფართო მასშტაბის, ორმაგად ბრმა, რანდომიზირებულ კლინიკურ კვლევაში კატექოლამინურ ვაზოპრესორებთან ერთად მცირე დოზით ვაზოპრესინის გამოყენებას სეპტიკური შოკის მქონე პაციენტებში სიკვდილიანობის მნიშვნელოვანი კლება არ მოჰყოლია [201].

ენდოთელინ-1 ძალიან ძლიერი ვაზოკონსტრიქტორული ფაქტის მქონე პეპტიდია. ის ძირითადად ენდოთელური უჯრედების მიერ პროდუცირდება მაგრამ აღმოჩნდა, რომ მას სხვა უჯრედებიც გამოიმუშავენს, მაგ. ვასკულური გლუკუნთოვანი უჯრედები, ლორწოვანი გარსის ეპითელური უჯრედები, მაკროფაგები, პოხიერი უჯრედები, მიოკარდიული უჯრედები, ტრაქეის ეპითელური უჯრედები, თირკმლის მედულარული უჯრედები, ზოგიერთი ნერვული უჯრედები და კუფერის უჯრედები [202]. სეპტიკური შოკის დროს მოცირკულირე ენდოთელინის რაოდენობა მნიშვნელოვნად გაზრდილია და, როგორც ჩანს, სეფსისით ავადობასთან კორელირებს. მოცირკულირე ენდოთელინის დიდი რაოდენობა სხვადასხვა ორგანოს – გულის, ფილტვების, ღვიძლის, ნაწლავების, თირკმლების – პათოფიზიოლოგიურ დარღვევებს უკავშირდება [203].

ოქსიდაციური სტრესი მძიმე სეფსისის დროს ერთ-ერთი ის ფაქტორია, რომელიც ენდოთელურ დისფუნქციას და ვაზოკონსტრიქტორების მიმართ ვასკულურ ჰიპორეაქტიულობას იწვევს [204]. ჟანგბადის რეაქტიული ფორმები (ROS) სინთეზირდება სხვადასხვა ტიპის უჯრედის მიერ, მათ შორისაა VSMCs, ენდოთელური უჯრედები და მონონუკლეარული უჯრედები. ROS-ის ძირითადი წყაროა მიტოქონდრიები, NADPH

ოქსიდაზა, ციტოქრომ P450, ციკლოქსიგენაზა და ქსანტინ ოქსიდაზა ისევე, როგორც შესაბამისი კოფაქტორების L-არგინინის ან ტეტრაჰიდრობიოპტერინის უკმარისობის პირობებში NOS-ის დაშლა [205]. NO ადვილად ურთიერთქმედებს სუპეროქსიდთან პეროქსინიტრიტის (ONOO⁻) წარმოქმნით. NO-სა და სუპეროქსიდის ჭარბი პროდუქცია დიდი რაოდენობით პეროქსინიტრიტის ფორმირებას იწვევს, რაც დნმ-სა და უჯრედული მემბრანების დაზიანებით მთავრდება.

პეროქსინიტრიტის წარმოქმნა დემონსტრირებულ იქნა LPS-ის, როგორც შოკის გამომწვევის გამოყენებით, რასაც დროის იგივე პერიოდი დასჭირდა, რაც გლუვ კუნთებსა და აორტაში iNOS-ის ექსპრესიას [206]. პეროქსინიტრიტის მიერ ადრენორეცეპტორების ინაქტივაცია კატექოლამინების მიმართ კარდიოვასკულური ჰიპორეაქტიულობისა და სისტემური ჰიპოტენზიის შესაძლო მექანიზმია სეფსისის დროს. ნაჩვენები იქნა, რომ პეროქსინიტრიტის სკავენჯირება (მისგან გაწმენდა) აორტისა და მიკროვასკულატურის კუმშვით პასუხს აუმაჯობებს და სეფსისის დროს ვასკულური დისფუნქციის განვითარებისგან იცავს. ენდოტოქსიური შოკის მოდელში ნაჩვენები იქნა, რომ პეროქსინიტრიტის სინთეზის ინჰიბიტორები და ნიკოტინამიდ ადენინ დინუკლეოტიდ ფოსფატის (NADPH) გენეტიკური დათრგუნვა აორტაში პეროქსინიტრიტის რაოდენობას ამცირებს და ვასკულური ჰიპორეაქტიულობის შექცევას იწვევს [207]. კვლევებმა აჩვენა, რომ ვასკულურ რეაქტიულობაზე პეროქსინიტრიტის დამაზიანებელი ზემოქმედების საბოლოო მომენტი უკავშირდება ცილა პოლიADP-რიბოზა პოლიმერაზას (PARP), რომელიც ბევრ უჯრედულ პროცესში მონაწილეობს, როგორცაა დნმ-ს აღდგენა და აპოპტოზი. ამ დამაზიანებელი ექსპერიმენტული შედეგების მიუხედავად, პეროქსინიტრიტის ინჰიბირების ეფექტის შემფასებელი კლინიკური კვლევა დღემდე არ არსებობს [208].

სხვა მექანიზმი, რომელიც ვასკულური ჰიპორეაქტიულობის განვითარებაშია ჩართული, შეიძლება ოქსიდაციის შედეგად კატექოლამინების ინაქტივაცია იყოს. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ სეპტიკურ პაციენტებში ეგზოგენური ნორეპინეფრინის (NE)

მიმართ ჰიპორექტიულობა იმ ფაქტით შეიძლება აიხსნას, რომ აღნიშნული ვაზოკონსტრიქტორი ადვილად დეაქტივირდება სუპეროქსიდ ანიონის *in vivo* პროდუქციის დროს [209].

გულსისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური დარღვევების მექანიზმების ცოდნა და მათი კორექცია წარმოადგენს პოლიტრავმით ინდუცირებული სეფსისისა და სეპტიკური შოკის მართვის ერთ-ერთ საკვანძო ელემენტს. ესოდენ მიიმე ტიპის კომბინირებული პათოლოგიური დაზიანების წარმატებული მკურნალობისთვის, მნიშვნელოვანია ყოველი ელემენტის სწორი და დროული მენეჯმენტი.

ინფექციების შესახებ არსებული ინფორმაცია, ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან ელემენტს. მათი თავისებურებების ცოდნა წარმოადგენს წარმატებული მკურნალობის საწინდარს. თავის მხრივ, ინფექციური გართულება წარმოადგენს ტრავმული დაზიანების მქონე პაციენტის სიკვდილის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს [210]. ეს განპირობებულია მასპინძელი ორგანიზმის და მისი დაზიანების თავისებურებით. პოლიტრავმული დაზიანების დიაგნოზით ჰოსპიტალიზებული პაციენტები მიდრეკილი არიან ჰოსპიტალური ინფექციების განვითარებისადმი, ვინაიდან მათ აღენიშნებათ ჭრილობები და მრავლობითი ინტერვენციული მოწყობილობები. ასეთ პაციენტებში სისხლის მასიური კარგვა დიდ როლს თამაშობს პათოლოგიის მანიფესტირების თავისებურებაში [211].

ტრანსპორტის გადაადგილების სიჩქარის ზრდამ, ურბანიზაციის მატებამ და სოციალური გარემოს ცვლილებებმა განაპირობა ტრავმულ დაზიანებათა მაღალი ინციდენტობის მანვენებელი. განსაკუთრებით იმატა მაღალი ენერჯის მქონე ტრავმათა სიხშირემ [6]. ამ ტიპის დაზიანებებით ძირითადად ზარალდება მოსახლეობის მაღალი შრომისუნარიანობის მქონე ჯგუფი: 15-44 წლის ასაკი. მაგალითად ინდოეთში ტრავმულ დაზიანებათა სიხშირე ძალიან მაღალია და შეადგენს მსოფლიო მონაცემების 6%-ს, რაც განპირობებულია ავტოსაგზაო შემთხვევებით, კრიმინალური და ძალადობრივი დაზიანებებით [5].

ინფექციები ტრავმული დაზიანების მქონე პაციენტებში:

პოლიტრავმული დაზიანების მქონე პაციენტთა სიკვდილის გამომწვევ მიზეზთა შორის ინფექციურ გართულებას მეორე

ადგილი უკავია და მცირედ ჩამორჩება კრანიალურ დაზიანებებით განპირობებულ ლეტალობას [212]. ასეთი სტატისტიკა განაპირობა მკურნალობის მეთოდებისა და სამედიცინო აპარატურის ევოლუციამ. მიუხედავად ამისა, ტრავმული დაზიანების მქონე პაციენტის ლეტალობის მაჩვენებელი ინფექციური გართულების შემთხვევაში 5-ჯერ მატულობს [213].

მასპინძელი ორგანიზმის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ტრავმული დაზიანების მქონე პაციენტთა ინფექციებისადმი მიდრეკილებას: გერიატრიული და პედიატრიული ასაკი, იმუნოდეფიციტური მდგომარეობები, დიაბეტი, კვების დარღვევა და თანმხლები დაავადებების არსებობა [214, 215]. ტრავმასთან ასოცირებული ფაქტორებია: დაზიანების მექანიზმი, დაზიანების სიძიმიე, დაზიანებულ ორგანოთა რაოდენობა, დაზიანებული მიდამოს დაბინძურების ხარისხი, ორგანიზმში უცხო სხეულების არსებობა (მაგ: ტყვიის ნაწილაკები), შოკური მდგომარეობის არსებობა და სისხლის ტრანსფუზია [216]. ისეთი ფაქტორები როგორცაა ხერხემლის, გულმკერდის და კიდურების დაზიანება, მრავლობითი დაზიანება და ჰიპოტენზიური მდგომარეობა, კიდევ უფრო მეტად შესაძლებელს ხდის ინფექციური გართულების განვითარებას [217, 218].

ტრავმული დაზიანება ორგანიზმს აცილებს ბუნებრივ ბარიერებს, რაც გულისხმობს კანის და სხვა რბილი ქსოვილების მთლიანობის დარღვევას. ბლავი დაზიანებები, რომელნიც იწვევენ ქსოვილთა ადგილობრივ ნეკროსს და ჰემატომის ფორმირებას, წარმოქმნიან ბაქტერიული ინფექციის განვითარებისათვის ხელსაყრელი ნიადაგს. მრავლობითი ინვაზიური მოწყობილობების მონტაჟი, რაც ესეოდენ მნიშვნელოვანია პოლიტრავმული დაზიანების მქონე პაციენტის სამართავად, თავის მხრივ, განაპირობებს კონტამინაციას [211]. გადაუდებელ დეპარტამენტში, სიცოცხლის გადასარჩენად აუცილებელი ღონისძიებები ტარდება სწრაფად, ხშირად ასეპტიკის და ანტისეპტიკის წესების უგულვებელყოფით.

ასევე აღსანიშნავია, რომ ის ბაქტერიები, რომელნიც ჯანსაღ პაციენტებში არ ავლენენ პათოგნომურობას, შოკური მდგომარეობის არსებობისას ორგანიზმის დაქვეითებული

რეაქტიულობის ფონზე ხშირად იწვევენ ინფექციური პროცესის განვითარებას [219].

ტრავმული დაზიანების მქონე პაციენტების ინფექციური გართულების პათოგენები: პოლიტრავმული დაზიანება ხშირად იწვევს ორგანიზმის რეაქტიულობის ცვლილებებს. ტრავმული დაზიანების დროს, ბაქტერიების განადგურების, ფაგოციტოზის, ოფსონინაციისა და ციტოკინების წარმოქმნის პროცესები მნიშვნელოვნად იცვლება. ორგანიზმის ჰიპერრეაქტიულობა, განაპირობებს სისტემური ანთებითი რეაქციის წარმოქმნას და ასოცირებული გართულებების განვითარებას, რასაც ხშირად ორგანიზმი ლეტალურ გამოსავლამდე მიჰყავს. გარდა ამისა, ტრავმული დაზიანების თანმხლები ჰიპოპერფუზია, განაპირობებს ქსოვილებში ჟანგბადის მიწოდების შეფერხებას, ბაქტერიის გასანადგურებლად საჭირო ფაქტორების და ანტისეპტულების მიმოქცევის დარღვევას [220].

პოლიტრავმული დაზიანების მქონე პაციენტებში ინფექციის გამომწვევი ძირითადი პათოგენები:

პოლიტრავმული დაზიანების პოლიმორფულიდან გამომდინარე, ინფექციური გართულებების მიმდინარეობა სხვადასხვაგვარია. ინფექციის წყარო შესაძლოა გახდეს როგორც ტრავმული დაზიანების მიღებისას არსებული გარემო, ასევე ნოზოკომური ინფექცია. ასევე შესაძლებელია ინფექციური გართულება გამოიწვიოს პაციენტის ენდოგენურმა ფლორამ (მაგალითად: ნაწლავების და სხვა ღრუ ორგანოების ერთდროულმა დაზიანებამ). სტატისტიკის მიხედვით, ძირითად გამომწვევს ნოზოკომური ინფექციები წარმოადგენენ [221, 222].

ნოზოკომური ინფექციები:

პოლიტრავმული დაზიანების არსებობისას, ყველა ასაკობრივ ჯგუფში დომინირებს პნევმონიური გართულება, რასაც გულ-სისხლძარღვთა სისტემის და შარდ-სასქესო სისტემის ინფექციები მოსდევს [223, 224]. პნევმონიის განვითარების მაღალი რისკის ჯგუფის მქონე პაციენტებში აღინიშნება: დაზიანების სიმძიმის ქულა > 20 , თავის ქალის ტრავმა, გადაუდებელი საჭიროებით ჩატარებული ინტუბაცია, დაბალი სისტოლური სისხლის წნევა და ბლაგი დაზიანება. გულ-სისხლძარღვთა და შარდ-სასქესო სისტემების ინფექციების

უმეტესობა გამოწვეულია ინვაზიური მოწყობილობების მონტაჟით (მაგ.: კათეტერი). ასევე გასათვალისწინებელია ცენტრალური ნერვული სისტემის ინფექციები: მენინგიტი, ვენტრიკულიტი, ტვინის აბსცესი – განპირობებული დახურული დაზიანებით, კრანოტომიის პროცედურით და მონიტორინგისთვის საჭირო მოწყობილობების მონტაჟით.

სინუსიტი ხშირად გვხვდება ჰოსპიტალიზაციის მეორე კვირაში და განპირობებულია: ცხვირის ღრუს ტამპონებით, ინტრანაზალური კვებით, თავის ტრავმული დაზიანებით და იწვევს ცხელებას, რაც მეტად ხშირია ინტენსიური თერაპიის განყოფილების პაციენტებში. ასევე მაღალია პოსტტრავმული ემპიემის ინციდენტობის სიხშირე.

მაღალ რისკვაქტორებს მიეკუთვნება: თავის/გულმკერდის ძლიერი დაზიანება, საინტუბაციო მილის არსებობა, ღიაფრაგმის კედლის დაზიანება, რეზუდუალური პნევმოთორაქსი, ჰემოთორაქსი, ფილტვის დაუქვილობა და პნევმონია [215]. ოსტეომიელიტი შეიძლება განვითარდეს როგორც ტრავმული დაზიანების დროს მომხდარი კონტამინაციით, ასევე შესაძლოა იყოს იმპლანტასოცირებული [225, 226].

მკურნალობის წარმატებით განსახორციელებლად მნიშვნელოვანია გამომწვევი მიზეზის დადგენა. ანტიბაქტერიული საშუალებების გამოყენებიდან, რამდენიმე საათის მანძილზე შესაძლოა მიკრობულ კულტურათა სტერილიზაცია დაიწყოს. პათოგენის იდენტიფიცირება დამოკიდებულია ანტიმიკრობული პრეპარატების ინიცირებამდე კულტურის მოპოვებაზე. პათოგენის იდენტიფიკაცია ანტიბაქტერიული საშუალებების შემცირებას ხდის შესაძლებელს და ამცირებს წამლისმიერ გვერდით ეფექტებს, ხარჯებს და ამცირებს მიკროორგანიზმთა რეზისტენტობის განვითარებას. ეს ყველაფერი პაციენტისთვის უკეთეს გამოსავალს განაპირობებს. მინუსი ის არის, რომ კულტურების მოსაპოვებლად ანტიმიკრობული საშუალებების გამოყენების დაწყების დროის გადაწვევის გამო, იზრდება ლეტალობის რისკი სეპტიკური გართულების მქონე პაციენტებში. მიკრობული კულტურები უნდა მოპოვებულ იქნას სხეულის სითხეებიდან (ჭრილობები, ცერებროსპინალური სითხე, სისხლის და ა.შ.). გადაწყვეტილება თუ კერძოდ საიდან სჯობს კულტურების

მოპოვება, მიღებული უნდა იქნას მკურნალი გუნდის მიერ. თუ სეფსისის წყარო აშკარაა, არ არის აუცილებელი ყველა მიდამოდან იქნას მოპოვებული კულტურა. კულტურათა მოპოვების მიზნით, 45 წუთით ანტიბაქტერიული მკურნალობის გადადება დასაშვებ დროდაა მიჩნეული [227].

პოლიტრავმულ პაციენტებში, მდგომარეობის თავისებურებიდან გამომდინარე (სისხლის და ლიმფის ელემენტების სწრაფი კარგვა), აგრესიული სითხის აღმდგენი ღონისძიებები მნიშვნელოვანია. ეს ყველაფერი ზეგავლენას ახდენს ანტიმიკრობული საშუალებების ეფექტურ მოქმედებაზე. შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი ინტრავასკულური კათეტერების დაყენება. ინტრავასკულური წვდომის კათეტერიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას, როგორც სწრაფი ინფუზიების დაწყების შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, თუ ი/ვ კათეტერიზაცია პრობლემურია [228]. გარდა ამისა, ზოგიერთი ანტიბაქტერიული საშუალების ინტრამუსკულარული ინიექციებიც გამართლებულია, მაგალითად ბეტა-ლაქტამების შემთხვევაში (იმიპენემი, ცილასტატინი, ცეფეპემი, ცეფტრიაქსონი, ერტაპენემი).

სეპტიკური შოკი გამოწვეულია გრამ-უარყოფითი და გრამ-დადებითი ბაქტერიებით ან მათი კომბინაციით. ზოგიერთი სპეციფიური მდგომარეობა პაციენტს აყენებს რეზისტენტული ან ატიპური პათოგენების წინაშე. მაგალითად, ნეიტროპენიული პაციენტები, რეზისტენტული გრამ-უარყოფითი ბაცილით და სოკოს ნაირსახეობებით დასასნებოვანებლად განსაკუთრებით მაღალი რისკის ჯგუფს წარმოადგენენ. ნოზოკომური ინფექციის მქონე პაციენტები მიდრეკილნი არიან ვანკომიცინ-რეზისტენტული ენტეროკოკით და მეთიცილინ-რეზისტენტული სტაფილოკ აურეუსით გამოწვეული სეფსისადმი.

სეფსისის და სეპტიკური შოკის მქონე პაციენტებში სწორი ემპირიული თერაპიის დაწყების შეფერხება, გამოიხატება ავადობის და ლეტალობის მნიშვნელოვან ზრდაში [229]. ემპირიული ანტიმიკრობული თერაპიის შერჩევა დამოკიდებულია პაციენტის ისტორიაზე, კლინიკურ სტატუსსა და ადგილობრივი ეპიდემიოლოგიური ფაქტორების კომპლექსურობაზე. პაციენტის მხრივი ძირითადი ფაქტორები მოიცავს სხვადასხვა ორგანოების ქრონიკულ უკმარისობას, გამოყენებულ მედიკამენტებს, ინფექციის წარმოშობის ადგილის

მდებარეობას (გულმკერდი, მუცელი, ძვალ-სახსროვანი სისტემა), თანმხლები დაავადებების არსებობას და იმუნო-დეფიციტური მდგომარეობების არსებობას. დამატებით, მნიშვნელოვანია პაციენტის მდებარეობა დაზიანების მიღების დროს (გარემოს დაბინძურების სხვადასხვა ტიპის გათვალისწინებით) და პათოგენების პრევალენტობის გათვალისწინებით. წამლების გვერდითი ეფექტებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს.

პოლიტრავმით ინდუცირებული სეფსისისა და სეპტიკური შოკის ოპტიმალური ემპირიული ანტიმიკრობული მკურნალობა, წარმოადგენს დადებითი გამოსავლის განმაპირობებელ ცენტრალურ ფაქტორს. აღნიშნული გართულების მქონე პაციენტებში ანტიმიკრობული რეჟიმის არჩევანი კომპლექსურია. უნდა შეფასდეს და გამოყენებული იქნას მრავლობითი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს შესაბამის ანტიმიკრობულ რეჟიმს თითოეულ სამედიცინო ცენტრში და თითოეული პაციენტის შემთხვევაში:

- ასაკი და პაციენტთა თანმხლები დაავადებები, მათ შორის, ქრონიკული დაავადებები და ორგანოთა დისფუნქცია (მაგ.: ღვიძლის ან თირკმლის ქრონიკული უკმარისობა), სხვადასხვა ინვაზიური მოწყობილობების არსებობა;
- ინფექციის პირველადი კერის ანატომიური მდებარეობა, ტიპური პათოგენის პროფილის გათვალისწინებით;
- გავრცელებული პათოგენების რეზისტენტობა;
- იმუნოდეფიციტური მდგომარეობის არსებობა;
- საზოგადოებაში, საავადმყოფოს სხვადასხვა განყოფილებაში არსებული პათოგენების გათვალისწინებით.

მკურნალმა ექიმმა უნდა შეაფასოს ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტული პათოგენებით გამოწვეული ინფექციის განვითარების შესაძლებლობის რისკ-ფაქტორები, მათ შორის ანამნეზში არსებული ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაცია, ბოლოს ჩატარებული ანტიმიკრობული მკურნალობა და წინამდებარე მკურნალობის შედეგები. სეპტიკური შოკის წარმოშობა შეიძლება უშუალოდ უკავშირდებოდეს უწინ ჩატარებული მკურნალობებით გამოწვეულ ორგანიზმების გაზრდილ რეზისტენტობას.

პოლიტრავმით ინდუცირებული სეფსისისა და სეპტიკური შოკის დიაგნოზის მქონე პაციენტების დიდ ნაწილს აქვს

იმუნოდეფიციტური მდგომარეობა, შესაბამისად, ანტიბიოტიკოთერაპიის ემპირიული რეჟიმი უნდა იყოს საკმარისად ფართო იმისთვის, რომ ყველა შესაძლო პათოგენის დაფარვა განხორციელდეს. ყველაზე ხშირად გამოიყენება ფართო სპექტრის კარბაპენემი ან ფართო სპექტრის პენიცილინი ბეტა-ლაქტამაზას ინჰიბიტორთან კომბინაციაში (მაგ.: ტიკარცილინი/კლავულანატი ან პიპერაცილინი/ტაზობაქტამი). ასევე, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მესამე ან უფრო მაღალი თაობის ცეფალოსპორინები. კონკრეტული რეჟიმი უნდა განისაზღვროს ადგილობრივი მიკრობიოლოგიური ფლორის ცოდნისა და ინფექციის შეჭრის კერის მდებარეობის მიხედვით.

ემპირიული მკურნალობის სათანადოდ ფართო სპექტრით უზრუნველსაყოფად, ხშირად საჭიროა სხვადასხვა მედიკამენტებით თერაპია. ემპირიულ რეჟიმზე გრამ-უარყოფითი აგენტის დამატება რეკომენდებულია, განსაკუთრებით მრავლობით მედიკამენტზე რეზისტენტული პათოგენების მქონე ინფექციის განვითარების მაღალი რისკის მქონე პაციენტებისათვის [230]. მეთიცილინ-რეზისტენტული-სტაფილოკოკ-აურეუსით (მრსა) ინფიცირების რისკის ფაქტორების არსებობისას, შესაძლოა გამოყენებულ იქნას ტეიკოპლანი, ვანკომიცინი და სხვა მრსა საწინააღმდეგო აგენტი. ლეგიონელების ნაირსახეობის არსებობისას საჭიროა დამატებულ იქნას ფლუოროქინოლინი და მაკროლიდების ჯგუფის პრეპარატი.

მკურნალობის ტაქტიკის შერჩევისას, გასათვალისწინებელია სოკოვანი დაავადებების არსებობა. სოკოვანი დაავადებების განვითარების რისკფაქტორებია: ხანგრძლივი ფართო სპექტრის ანტიბიოტიკოთერაპია, ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაცია რენიმაციულ განყოფილებებში, ანამნეზში არსებული სოკოვანი დაავადებები, იმუნოდეფიციტური მდგომარეობები, ნეკროზული პანკრეატიტის არსებობა, ინვაზიური ხელსაწყოებით ხანგრძლივი მკურნალობა, პარენტერალური კვება და გადატანილი მასშტაბური ოპერაციები [231]. ანტისოკოვანი აგენტის შერჩევითვის უნდა გავითვალისწინოთ ავადმყოფობის სიმძიმე და ანამნეზში გამოყენებული ანტიფუნგიდური პრეპარატები. ექოკანდინის ემპირიული გამოყენება (მიფაუნგიინი, ანიდულაფუნგიინი ან კასპოფუნგიინი) სასურველია მძიმე ავადმყოფობის მქონე

პაციენტებში, განსაკუთრებით, სეპტიკური შოკის შემთხვევაში თუ მათ ბოლო პერიოდში მკურნალობდნენ სხვა ანტიფუნგური აგენტებით [231]. ტრიაზოლების გამოყენება მისაღებია ჰემოდინამიკურად სტაბილურ და ნაკლებად დაავადებულ პაციენტებში. ამფოტერიცინ ბე-ს ლიპოსომური ფორმულირებები წარმოადგენენ ექინოკანდინების ჯგუფით მკურნალობის ალტერნატივას იმ პაციენტებში, რომელთაც აქვთ აღნიშნული პრეპარატის მიმართ აუტანლობა [232]. სოკოვანი დაავადებების საწინააღმდეგო წამლებისადმი, ლოკალური რეზისტენტობის ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს მკურნალობის ტაქტიკის შერჩევაში მანამ, სანამ პათოგენის იდენტიფიცირება მოხდება. სწრაფ დიაგნოსტიკას ბეტა-დე-გლუკანის ან პოლიმერიზაციის სწრაფი ჯაჭვური რეაქციის შეფასებას აქვს დამხმარე როლი, სოკოვანი დაავადების მკურნალობის მოდელირებაში.

უმაღლესი ემპირიული დაფარვის მიღება შესაძლებელია სპეციფიკური ანტიბიოტიკოგრამების გამოყენებით. ინფექციონისტების კონსულტაციის ადრეული ჩართულობა მკურნალობის პროცესში აუმჯობესებს დაავადების გამოსავალს (მაგ.: სტაფილოკოკ აურეუსით ინფიცირების დროს) [233].

პოლიტრავმით ინდუცირებული სეფსისის ან სეპტიკური შოკის მქონე პაციენტებს ზოგადი ემპირიული ფართო სპექტრის ანტიმიკრობული თერაპია უგრძელდებათ იქამდე, სანამ არ განხორციელდება გამომწვევის ვერიფიკაცია და ანტიბიოტიკებისადმი მისი მგრძობელობის განსაზღვრა. ანტიმიკრობული საშუალებების შეზღუდვა წარმოადგენს მნიშვნელოვან სტრატეგიას, როგორც რეზისტენტობის, ისე ხარჯების შესამცირებლად, მაგრამ საწყის ეტაპზე არამიზანშეწონილია. სპექტრის დაფარვა უნდა შეიზღუდოს არაეფექტური ანტიბიოტიკების ჩანაცვლებით უფრო სპეციფიური სამკურნალო საშუალებებით [234].

პათოგენის გამოვლენის შემთხვევაში, მკურნალობა უნდა გაგრძელდეს ყველაზე სპეციფიური აგენტის გამოყენებით (რომლის მიმართაც პათოგენს მაღალი მგრძობელობა ახასიათებს). აღსანიშნავია, რომ შემთხვევათა ერთ მესამედში ზუსტი გამომწვევი მიკროორგანიზმების იდენტიფიცირება ვერ ხერხდება [234]. თუ პათოგენის არსებობა არ ვლინდება, ანტიბაქტერიული მკურნალობა უნდა შეწყდეს, რათა შემცირდეს მიკროორგანიზმთა რეზისტენტობის განვითარება

წამლების მიმართ და თავიდან აცილებული იქნას წამლების გვერდითი ეფექტები. ანტიმიკრობული თერაპიის გაგრძელების შემცირების ან შეწყვეტის გადაწყვეტილება კლინიკური ინფორმაციის საფუძველზე უნდა იქნას მიღებული.

ანტიმიკრობული საშუალებების ფარმაკოკინეტიკის ადრეულ ოპტიმიზაციას, შეუძლია გააუმჯობესოს მძიმე ინფექციით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის შედეგები. უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტრავმით ინდუცირებული სეფსისისა და სეპტიკური შოკის დიაგნოზის მქონე პაციენტები განსხვავდებიან სტანდარტული ინფექციების მქონე პაციენტებისგან, რომელთა მართვაც სტანდარტული სქემით შეიძლება განხორციელდეს. ეს განსხვავებები მოიცავს: იმუნტეტის დისფუნქციას, ღვიძლის და თირკმელების უკმარისობას და რეზისტენტული მიკროფლორის არსებობის მაღალ მაჩვენებელს. სითხეების სწრაფი ინფუზიის შედეგად ექსტრაცელულური სითხის მატების გამო იზრდება დისტრიბუცია ყველა ანტიბაქტერიული მედიკამენტის შემთხვევაში. შესაბამისად, პოლიტრავმით ინდუცირებული სეფსისისა და სეპტიკური შოკის მქონე პაციენტებში, ანტიმიკრობული დოზირების სწორად შერჩევა წარმოადგენს შედეგების გაუმჯობესების საკვანძო ნაწილს [235]. ამ ტიპის პაციენტებში ანტიმიკრობული თერაპია ყოველთვის უნდა იქნას დანიშნული თითოეული აგენტის მიმართ სრული და დიდი დოზით.

ანტიმიკრობული საშუალებების ეფექტურ გამოყენებას სხვადასხვა პლაზმური კონცენტრაციები აქვს. ოპტიმალური პლაზმური კონცენტრაციის მიუღწევლობა ამცირებს ამინოგლიკოზიდების ეფექტურობას. ინფექციის მკურნალობის წარმატება ასევე დამოკიდებულია ფლუოროქინოლონების მაღალ პლაზმურ კონცენტრაციაზე (მაგ.: ნოზოკომური პნევმონია). იგივეა ამინოგლიკოზიდების შემთხვევაშიც, (ნოზოკომური პნევმონია, გრამ-უარყოფითი ბაქტერიემია და სხვა სერიოზული ინფექციები) [236].

ამინოგლიკოზიდებისა და ფლუოროქინოლონების დოზირების სტრატეგია მდგომრეობს წამლის პლაზმური კონცენტრაციის ოპტიმიზაციის მიღწევაში. ამინოგლიკოზიდების შემთხვევაში ყოველდღიური დოზირება (5-7 მგ/კგ ყოველდღიურად – გენტამიცინის ეკვივალენტურად). აღნიშნული

პრეპარტის დღეში ერთხელ ადმინისტრირებით მცირდება თირკმელებზე წამლის ტოქსიკური ზემოქმედება. პაციენტებს, რომელთაც აღენიშნებათ თირკმელების მსუბუქად გამოხატული უკმარისობა, მაინც ენიშნებათ ამინოგლიკოზიდების – ფლუოროქინოლონების დღეში ერთი ინფუზია, მაგრამ აქვთ უფრო ხანგრძლივი პაუზა (3 დღემდე), სამკურნალო კურსის შემდგომ ეტაპზე გადასვლამდე. იმ პაციენტებში, ვისაც მწვავე ნეფროზული უკმარისობა აღენიშნება, ეს პრეპარატი არ გამოიყენება, ვინაიდან მსგავს შემთხვევებში ორგანიზმიდან სამკურნალწამლო საშუალების გამოყოფის პერიოდი 7 დღეს აღემატება. წამლების თერაპიული კონცენტრაციის დღიური მონიტორინგი მნიშვნელოვანია თირკმელებზე ტოქსიკური ეფექტის შესამცირებლად. ფლუოროქინოლონების შემთხვევაში არატოქსიკური დოზირების მიღწევა (მაგ.: ლევოფლოქსაცინი 750 მგ დღეში ერთხელ), საკმარისია მედიკამენტის მაღალი ეფექტურობისათვის [235].

ვანკომიცინი არის ანტიბიოტიკი, რომლის ეფექტურობა პლაზმურ კონცენტრაციაზე ნაწილობრივად დამოკიდებული. დღეში 15-20 მგ /კგ-ზე წარმოადგენს ხანგრძლივი ინფუზიის დოზირების ნორმას, რაც საკმარისია მისი ეფექტური ფარმაკოდინამიკისათვის და ქსოვილებში შეღწევადობისათვის [236, 237]. პოლიტრავმით ინდუცირებული სეფსისისა და სეპტიკური შოკისთვის, დღეში 25-30 მგ / კგ ინტრავენური ინფუზიის მიზანშეწონილი სწრაფი და ეფექტური პლაზმური კონცენტრაციის მისაღწევად. დღეში ერთი გრამი ვანკომიცინი ხშირად ვერ აღწევს სასურველ თერაპიულ კონცენტრაციას. ფაქტია, რომ ანტიმიკრობული პრეპარატების უმრავლესობის დაბალი დოზირება (ტეიკოპლანინი, ვანკომიცინი და კოლისტინი) პოლიტრავმულ პაციენტებში არაეფექტურია, ექსტრაცელულური სითხის მოცულობის გაზრდის გამო [238, 239]. თერაპიული კონცენტრაციის სწრაფი აკუმულაციის მისაღწევად, ბეტა-ლაქტამების შემთხვევაშიც დატვირთვითი დოზირებაა სასურველი [240].

თავდაპირველად, თერაპიული ეფექტის მისაღწევად ბეტა-ლაქტამების დოზირება შეიძლება განხორციელდეს ბოლუსურად, მაგრამ შემდგომ ეტაპზე მკურნალობა უნდა გაგრძელდეს ნელი ინფუზიის სახით, განსხვავებით ადრე მოწოდებული 30 წუთიანი სქემისაგან [241]. გარდა ამისა,

ზოგიერთმა მეტა-ანალიზმა აჩვენა, რომ ბეტა-ლაქტამების ნელი ინფუზიები სწრაფზე უფრო ეფექტურია რეზისტენტულ მიკროორგანიზმთა წინააღმდეგ [242, 243].

პოლიტრავმით ინდუცირებული სეპტიკური გართულების მქონე პაციენტებში ანტიმიკრობული პრეპარატების ფარმაკოკინეტიკა შეცვლილია, შესაბამისად, მისი ოპტიმიზაცია ძალიან რთულია. ეს დაკავშირებულია გულის გაზრდილ წუთმოცულობასთან, არასტაბილურ ჰემოდინამიკურ მანვენებლებთან, გაზრდილ ექსტრაცელულურ მოცულობასთან, წამლის კლირენსის შეცვლასა (დაკავშირებულია ღვიძლის და თირკმელების უკმარისობასთან) და წამლის შებოჭვის უნარის შემცირებასთან – შრატის ალბუმინის რაოდენობის შემცირების გამო. ამასთანავე, პოლიტრავმით ინდუცირებული სეფსისის საწყის ეტაპზე თირკმლისმიერი კლირენსის შეცვლა ამცირებს სისხლში ალბუმინის დონეს [244]. ეს ფაქტორები კრიტიკულად დაავადებულ პაციენტებში დოზირების ოპტიმიზაციას აძნელებს. ხშირია როგორც წამლის არასაკმარისი დოზირება, ამასთანავე თავის ტვინსა და თირკმელებზე წამლის ტოქსიკური ზემოქმედებაც [235, 245]. აღნიშნული პრობლემების გამო ძალზე მნიშვნელოვანია მედიკამენტების კონცენტრაციის მონიტორინგი პოლიტრავმით ინდუცირებული სეფსისით დაავადებულ პაციენტებში.

ფართომედიკამენტოზური საწყისი მკურნალობა საჭიროა იმისთვის, რომ სავარაუდო პათოგენების სრული სპექტრის გადაფარვა განხორციელდეს. მკურნალობის აღნიშნული სტანდარტი არ წარმოადგენს დავის საგანს და გამართლებულია სხვადასხვა ლიტერატურით.

კომბინირებული თერაპია ნიშნავს, რომ ხორციელდება ორი ან მეტი ანტიბიოტიკის ორი ერთდროული გამოყენება (ჩვეულებრივ, ბეტა-ლაქტამის გამოყენება ფლუოროქინოლონთან, ამინოგლიკოზიდთან ან მაკროლიდთან კომბინაციაში), რაც მიზანმიმართული შეიძლება იყოს მხოლოდ ერთ პათოგენზე, რომელსაც ახასიათებს მგრძობელობა ორივეს მიმართ. აღნიშნული ღონისძიებით ხორციელდება პათოგენის სწრაფი ერადიკაცია.

პოლიტრავმით ინდუცირებული სეპტიკური შოკის მქონე პაციენტებში საწყისი კომბინირებული თერაპიის კურსი ამცირებს ლეტალობას. მეტა-რეგრესიული კვლევა იძლევა

რეკომენდაციას კომბინირებული თერაპიის გამოყენებაზე იმ პაციენტებში, რომელთა ლეტალობის რისკი 25%-ზე მეტია [246, 247]. ჩატარებული კვლევის მიხედვით, კარბაპენემის გამოყენებისას იმ პაციენტებში, რომლებსაც რეზისტენტული მიკროორგანიზმებით გამოწვეული სეფსისის განვითარების დაბალი რისკი აქვთ, ფლუოროქინოლონების დამატებამ არ გამოავლინა გამოსავალის გაუმჯობესება [248]. სხვადასხვა კვლევის გათვალისწინებით, სეპტიკური შოკის მსგავსი მძიმე გართულების მქონე პაციენტებში კომბინირებული თერაპიის რამდენიმედღიანი კურსი ეფექტური ღონისძიებაა [246].

პროსპექტულ კვლევაზე დაფუძნებული ნაშრომები იძლევა რეკომენდაციას, რომ განხორციელდეს კომბინირებული თერაპია გამომწვევის მიმართ [249], მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, ინიციალურ ეტაპზე გამომწვევი პათოგენის დადგენა ვერ ხერხდება. შესაბამისად გამოვლენილი პათოგენის ერადიკაცია ეფექტურია, თუ კი ის ზუსტადაა ვერიფიცირებული თუ მისი მკურნალობა სწორად და პროლონგირებულად ხორციელდება. გარდა ამისა, წამლებისადმი მულტირეზისტენტული პათოგენების შესახებ ინდივიდუალურმა ნაშრომებმა და მეტა-ანალიზის მეშვეობით მიღებულმა მონაცემებმა სხვადასხვა შედეგი აჩვენა, რაც განპირობებული იყო კლინიკური სცენარის და პათოგენის თავისებურებებით [249, 250, 251, 252 და 253]. ცხოველებზე ჩატარებულმა ცდებმა და კლინიკურმა გამოცდილებამ გამოავლინა პენიცილინისა და კლინდამიცინის ეფექტურობა, სტრეპტოკოკულური ტოქსიკური შოკის სინდრომის შემთხვევაში, რადგან კლინდამიცინი წარმოადგენს პიროგენული ეგზოტოქსინის სუპერ ანტიგენის ინჰიბიტორს [254].

პოლიტრავმით ინდუცირებული სეპტიკური შოკის კომბინირებული ემპირიული თერაპია წარმოადგენს გრამ-უარყოფითი ინფექციური კულტურების შემთხვევაში მკურნალობის ეფექტურ ღონისძიებას, რაც გრძელდება საბოლოო, მიზანმიმართული ანტიბიოტიკოთერაპიით. კვლევები ცხადყოფს, რომ სეპტიკური შოკის არარსებობისას, ნეიტროპენიულ პაციენტებში ფართო კომბინირებული თერაპია სოკოვანი ინფექციების საწინააღმდეგო მკურნალობასთან ერთად სასარგებლოა [255]. რიგი საერთაშორისო ექსპერტული ჯგუფების რეკომენდაციების მიხედვითაც, კომბინირებული

თერაპია ნეიტროპენიულ პაციენტებში არასაკმარისად ეფექტურია [255]. ვინაიდან ნეიტროპენიულ პაციენტებში სოკოვანი ინფექციის განვითარების მაღალი რისკის გამო, ანტიმიკრობული სპექტრის გაფართოება არასასურველია და მიულტიმედიკამენტოზური თერაპია ნაჩვენებია არ არის.

ანტიმიკრობული თერაპიის ადრეული დეესკალაციის ეფექტები კარგად არ არის შესწავლილი. გარკვეულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ანტიმიკრობული საშუალებების სწორი და ადრეული მინიმიზაცია ასოცირებულია პოლიტრამით ინდუცირებული სეფსისისა და სეპტიკური შოკის მიმდინარეობის უკეთეს მსვლელობასთან [234, 256]; აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთმა კვლევამ აჩვენა დეესკალაციის შედეგად, სუპერინფექციის განვითარების და ჰოსპიტალიზაციის დღეების გაზრდილი მაჩვენებლები [256]. კვლევების უმეტესობის მიხედვით, ანტიბაქტერიული მკურნალობის დეესკალაცია ამცირებს რეზისტენტობას, რაც სასარგებლოა არამხოლოდ დაწესებულებისათვის, არამედ ინდუალურად პაციენტებისთვისაც [257].

დეესკალაციის გეგმის შემუშავება ხდება: კლინიკური სურათის, ბიომარკერების დონეების (ძირითადად, პროკალციტონინზე) და კომბინირებული თერაპიის ხანგრძლივობის გათვალისწინებით. მონაცემები სამკურნალო საშუალებების დეესკალაციის გაიდლაინების შესაქმნელად არასაკმარისია.

ანტიმიკრობული საშუალებების გახანგრძლივებული არასაჭირო გამოყენება საზიანოა საზოგადოებისა და ინდივიდუალური პაციენტისათვის. პაციენტებში ხანგრძლივი ანტიბიოტიკოთერაპია ასოცირდება სპეციფიკურ დაავადებებთან, როგორებიცაა კლოსტრიდიული კოლიტი, და ასევე გაზრდილ ლეტალობასთან [258].

პაციენტისმიერი ფაქტორები გავლენას ახდენენ ანტიბიოტიკოთერაპიის შერჩევაზე, მაგრამ მკურნალობის ხანგრძლივობა 10 დღის განმავლობაში არასაკმარისია სერიოზულ ინფექციების ერადიკაციისათვის [36]. თანამედროვე მონაცემებით რეკომენდებულია: სერიოზული ინფექციების მკურნალობა შესაძლოა განხორციელდეს მოკლევადიანი კურსით, განსაკუთრებით მაშინ თუ გამოვლენილია და მოცილებული ინფექციის გამომწვევი წყარო [259, 260]. სოიერის

კვლევის მიხედვით, რაც ეფუძნებოდა ინტრააბდომინური სეფსისის მქონე პაციენტების ქვეჯგუფის შესწავლას, არ გამოვლინდა საბოლოო გამოსავლის ცვლილება თერაპიული კურსის ხანგრძლივობის მიხედვით [259]. აღნიშნულ სიტუაციებში, სადაც სეფსისი განპირობებული იყო არადრენირებადი კერებით, ნელი კლინიკური გაუმჯობესებით, ანტიბიოტიკრეზისტენტული სტაფილოკოკ აურეუსით, კანდიდოზით [232], ვირუსული ინფექციებით ან იმუნოდეციფიტით [255], 3-5 დღიანი მკურნალობის და 10 დღიანი მკურნალობის შედეგების შედარებისას დაავადების გამოსავალი არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

ინფექციური პათოგენის მახსიათებლები ასევე თამაშობენ გარკვეულ როლს მკურნალობაში. პრაქტიკული თვალსაზრისით: გაურთულებელ სტრუქტოკ აურეუსით გამოწვეულ ბაქტერიემიას დაახლოებით 2 კვირიანი თერაპია სჭირდება, მაშინ როდესაც ენდოვასკულური ინფექციით გართულებულ ბაქტერიემიისათვის 1.5 თვიანი მკურნალობის კურსია მიზანშეწონილი. გაურთულებელი ბაქტერიემია განმარტებულია, როგორც ა) იმპლანტის არარსებობა, ბ) ენდოკარდიტის არარსებობა, გ) სისხლის კულტურებში ბაქტერიების არამოთესვა 2-4 დღის მანძილზე, დ) ფებრილური რეაქციების კლება მკურნალობის დაწყებიდან 72 საათის შემდეგ და ე) მეტასტაზური ინფექციის არარსებობა. კანდიდოზით დაავადებულ პაციენტებს, სეფსისთან ასოციაციით ან მის გარეშე, უფრო ხანგრძლივი მკურნალობა ესაჭიროებათ [232]. ანტიმიკრობული საშუალებების მიმართ საშუალო მგრძობელობის მქონე მაღალრეზისტენტულ გრამ-უარყოფით პათოგენებს ახასიათებთ სხვადასხვა ფორმის ინფექციებით მანიფესტირება და ორაგანიზმიდან ნელი ერადიკაცია. ინფექციის ბუნებას და მისი შეჭრის მიდამოს ასევე აქვს ზეგავლენა მკურნალობის ხანგრძლივობაზე. ოსტეომიელიტს და დიდ აბსცესებს სჭირდება უფრო ხანგრძლივი მკურნალობის კურსი, რაც განპირობებულია დაზიანებულ არეებში სამკურნალო საშუალების მცირე შეღწევადობით. მძიმე დაავადება ტიპურად ვლინდება კარდიალური დარღვევებით/კარდიოგენული შოკით და ემბოლიით, ხოლო სეფსისით და სეპტიკური შოკით გამოვლინება შედარებით იშვიათია. ცნობილია, რომ ენდოკარდიტს პროლონგირებული თერაპია სჭირდება [261, 262].

კრიტიკულად ავადმყოფ პაციენტებში, სხვადასხვა ფაქტორმა შეიძლება ხეგავლენა მოახდინოს მკურნალობის ხანგრძლივობაზე. ინფექციონისტის ადრეული ჩართულობა, პათოლოგიური მდგომარეობის მართვის მნიშვნელოვანი ნაწილია.

ანტიმიკრობული საშაღებების გამოყენების შემცირება ან მათი შეწყვეტა დამოკიდებულია კლინიკურ მონაცემებზე. მკურნალობის სტანდარტული რეკომენდაციები შედგენილია ნაკლებად მძიმე მდგომარეობის მქონე პაციენტებზე.

თუნდაც კარგად კონტროლირებადი ინფექციის ფონზე, კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფის მდგომარეობაზე არაინფექციური დაავადებების თანდართვამ და სამედიცინო ჩარევებმა შეიძლება მწვავე ინფექციის სურათი მოგვცეს. მაგალითად: ლეიკოციტების მატება შეიძლება შეგვხვდეს კორტიკოსტეროიდების გამოყენების ან ორგანიზმში სტრესულ ფონზე, ასევე ფილტვების ინფილტრაცია და სუნთქვის უკმარისობა შეიძლება განვითარდეს პნევმონიის ფონზე. ცხელება შეიძლება დაკავშირებული იყოს გარკვეული წამლების გამოყენებასთან (ბეტა-ლაქტამების ჩათვლით). არსებობს დამატებითი ტენდენცია: დაბალი რისკის ჯგუფის პაციენტებში, წამლების პროლონგირების ფონზე გვერდითმა ეფექტებამა შესაძლოა გადაწონოს მკურნალობის სარგებელი. შესაბამისად, ანტიმიკრობული მკურნალობის ყოველდღიური მონიტორინგი დეესკალაციის მიზნით, რეკომენდირებულია პოლიტრავმით ინდუცირებული სეფსისისა და სეპტიკური შოკის დიაგნოზის მქონე პაციენტებში.

ბოლო წლების მანძილზე ბიომარკერების როლი დიაგნოსტიკაში და მენჯემენტის განხორციელებაში ფართოდ იქნა შესწავლილი. ბეტა-დე-გლუკანის და გალაქტოზანის გამოყენება, სოკოვანი დაავადებების მართვაში ფართოდაა აპრობირებული [263]. შრატის პროკალციტონინის დონის განსაზღვრაც ფართოდ გამოიყენება მწვავე ინფექციების დიაგნოსტიკასა და მკურნალობის ხანგრძლივობის განსაზღვრაში. აღნიშნული ბიომარკერი ასევე გამოიყენება მწვავე ინფექციების დროს, ანტიმიკრობული მკურნალობის დეესკალაციაში [264, 265, 266, 267]. უახლოეს პერიოდში ჩატარებულმა რანდომიზებულმა კვლევამ გამოავლინა პროკალციტონინის გამოყენებით მკურნალობის ხანგრძლივობის

და დოზირების ეფექტური შემცირების გზები [268]. გარდა ამისა, სისხლში პროკოლტონინის დონის მიხედვით ჩატარებულმა კვლევებმა არ გამოავლინა ლეტალობის მაჩვენებლის შემცირება. მსგავსი რამ დასტურდება სხვა კვლევების მიხედვითაც [269]. მეტა-ანალიზმა უჩვენა, რომ ბიომარკერ პროკალციტონინს შეუძლია დახმარება გაგვიწიოს სხვა არაინფექციური და ინფექციური დაავადებების განვითარების ადრეულ სტადიებზე [265, 267]. სავარაუდოა, რომ პროკალციტონინს შეუძლია განსაზღვროს ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მყოფ პაციენტებში ბაქტერიემიის განვითარების მაღალი ალბათობა.

პოლიტრავმით ინდუცირებული სეფსისი და სეპტიკური შოკი მიიჩნევა კრიტიკულ მდგომარეობებად. ანტიბიოტიკოთერაპიის განვითარებამდე აღნიშნული მდგომარეობები 100 % ლეტალობით ხასიათდებოდა. მაღალი ხარისხის კვლევების მიხედვით, მკურნალობის ადრე დაწყება ლეტალობის მაჩვენებელს ამცირებს, მაგრამ უახლესი მონაცემების მიხედვით, 45 წუთამდე შეყოვნება დასაშვებია [227]. ანტიმიკრობული თერაპიის დაწყებამდე, აღნიშნული დრო საკმარისია კულტურათა მოსაპოვებლად. რაციონი იმაში მდგომარეობს, რომ კულტურათა სტერილიზაცია შესაძლოა მოხდეს ეფექტური მკურნალობის დაწყებიდან რამდენიმე საათში. პათოგენის ადრეული ვერიფიკაცია შესაძლებელს ხდის მკურნალობის დეესკალაციას. ეს ყველაფერი ამცირებს ხარჯებს, წამლების გვერდით ეფექტებს და წამლებისადმი მიკროორგანიზმთა რეზისტენტობის განვითარებას, რაც უკეთეს გამოსავალთან ასოცირდება [258]. თანამედროვე კვლევებმა გამოავლინა, რომ ინფექციის წყაროს დადგენა წარმოადგენს მკურნალობის საკვანძო ნაწილს. პოლიტრავმა მდგომარეობაა, რომელიც გამოწვეულია მრავლობითი დაზიანებებით, რაც შეიძლება მოიცავდეს მუცლის ღრუს, გულმკერდის ღრუს, კიდურების დაზიანებებს და შესაბამისად ასეთ პაციენტებს სისხლის პლაზმის მოცულობა შემცირებული აქვთ. შესაბამისად, პოლიტრავმით ინდუცირებული სეფსისისა და სეპტიკური შოკის მქონე პაციენტებში ჰემოდინამიკის აღდგენა, სტანდარტულ სეპტიკურ მდგომარეობებთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანია. ასევე, პრიორიტეტს წარმოადგენს სწორი ანტიმიკრობული ინფუზიური თერაპია. ასეთ პაციენტებს მეტი

ინტრავასკულური წვდომის ხელსაწყო (კათეტერი) ესაჭიროებათ. კლინიკური წარმატება უკავშირდება სისხლში ამინოგლიკოზიდებისა და ფლუოროქვინოლონების მაღალი კონცენტრაციის მიღწევას [236]. ადრე მოწოდებული დოზირების სქემები შემუშავებულია ნაკლებად მძიმე პაციენტებზე და ახალი მონაცემებით ზენორმულ დოზირებას უკეთესი ეფექტი აქვს (განპირობებულია ინფუზიების ფონზე, სითხის ექსტრაცელულური გადანაწილებით) [239].

პოლიტრავმით ინდუცირებული სეფსისისა და სეპტიკური შოკის მქონე პაციენტებში სწრაფი ემპირიული თერაპიის დაწყება დაკავშირებულია ავადობის და ლეტალობის მაჩვენებლების შემცირებასთან [229]. ანტიბიოტიკოთერაპიის ინიციალურ ფაზაში უნდა დაიფაროს ყველა შესაძლო პათოგენი, მიუხედავად იმისა, რომ სეპტიკური შოკის გამომწვევ შესაძლო პათოგენტა მკურნალობის უნივერსალური სქემა. მკურნალობის სქემის შედგენა ხდება: პაციენტის ასაკის, თანმხლები დაავადებების არსებობის, ინფექციის შეჭრის უბნის, ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობის, პათოგენტა პრევალენტობისა და იმუნოდეფიციტური მდგომარეობის გათვალისწინებით. თანამედროვე ნაშრომებმა გამოავლინა იმუნოდეფიციტური მდგომარეობებისა და პათოგენების წამლებისადმი რეზისტენტობის მატება, შესაბამისად, მკურნალობის დროული დეესკალაცია კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს [227]. ყველაზე ხშირად, ფართო სპექტრის კარბაპენემის და ფართო სპექტრის პენიცილინის/ბეტა-ლაქტამაზების ინჰიბიტორების კომბინაცია გამოიყენება.

როდესაც არსებობს რიკსი მეთიცილინ-რეზისტენტული სტაფილოკოკ აურეუსის არსებობისა, თეიკოპლანინი, ვანკომიცინი ან სხვა ანტი-მრსა აგენტი გამოიყენება [230].

სოკოვანი ინფექციების მატების გამო, თანამედროვე ნაშრომები მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ანტისოკოვან ღონისძიებებს. ამ მატების მიზეზებია: ფართო სპექტრის ანტიბიოტიკების ხანგრძლივი გამოყენება, ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაცია ინტენსიური თერაპიის განყოფილებებში, ანამნეზში არსებული სოკოვანი ინფექციები, იმუნოდეფიციტური მდგომარეობები, სისხლძარღვთა ხანგრძლივი კათეტერიზაცია, პარენტერული კვება, ნეკროზული პანკრეატიტის არსებობა და ბოლო პერიოდში გადატანილი მასშტაბური ქირურგიული

ჩარევები. ექოკანდინების გამოყენება რეკომენდებულია მძიმე ავადმყოფთა უმეტესობის მკურნალობის პროცესში [231].

ამ ეტაპზე, ანტიმიკრობული თერაპიის ადრეული დეესკალაციის ეფექტები კარგად არაა შესწავლილი. ერთ-ერთმა კვლევამ გამოავლინა დეესკალაციის შედეგად სუპერინფექციების და ჰოსპიტალიზაციის პერიოდის მატება [256] და მაინც მრავალი სხვა კვლევა იძლევა რეკომენდაციას, რომ ინფექციის გამომწვევი ორგანიზმების დროული ვერიფიკაციის შემთხვევაში, ხანმოკლე ანტიბიოტიკოთერაპია საკმარისად ეფექტური ღონისძიებაა [259, 260]. ანტიმიკრობული მკურნალობის ინტენსივობის შემცირება ან შეწყვეტა უნდა ხდებოდეს კლინიკური მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე.

აღსანიშნავია ინფიცირების დიაგნოსტიკისა და მართვაში ბიომარკერთა როლი. პროკალტონინის ღონის მიხედვით ნამკურნალებმა ჯგუფებმა ლეტალობის მაჩვენებლის შემცირება გამოავლინა [258]. აღნიშნული მონაცემები უარყოფილია სხვა კვლევის მიხედვით [266]. პროკალციტონინს შეუძლია, დახმარება გაგვიწიოს ინფექციური დაავადებების განვითარების ადრეულ ეტაპზე. კვლევებით დასტურდება, რომ პროკალციტონინს შეუძლია განსაზღვროს რეანიმაციულ პაციენტებში ბაქტერიემიის განვითარების მაღალი ალბათობა. შესაბამისად, პროკალციტონინს და სხვა ბიომარკერებს აქვთ დამხმარე როლი და გადაწყვეტილებები არ უნდა იქნას მიღებული მხოლოდ მათ საფუძველზე.

პოლიტრავმით ინდუცირებული სეფსისისა და სეპტიკური შოკის დიაგნოზის მქონე პაციენტებში ემპირიული ფართო სპექტრი ინტრავენური ანტიმიკრობული თერაპია უნდა დაიწყოს დიაგნოზის დასმიდან ერთი საათის მანძილზე. პათოგენების იდენტიფიკაციის შემთხვევაში, წამალთა დოზირების შერჩევა დამოკიდებულია პაციენტის ფაქტორებზე, კონკრეტული წამლების ფარმაკოდინამიკასა და ფარმაკოკინეტიკაზე. სეფსისის ან ბაქტერიემიის მქონე პაციენტებში, კომბინირებული მედიკამენტური თერაპია არ უნდა იქნას გამოყენებული რუტინულად. კომბინირებული თერაპია საწყის ეტაპზე გამოიყენება პოლიტრავმით ინდუცირებული სეპტიკური შოკის დროს და მისი დეესკალაცია რეკომენდებულია პაციენტის მდგომარეობის საგრძნობი გაუმჯობესების შემდეგ. ეს ეხება

როგორც კომბინირებულ, ასევე ემპირიულ მკურნალობას. სტანდარტულ შემთხვევებში, ანტიმიკრობული თერაპიის 10 დღიანი კურსი საკმარისია იმისათვის, რომ განხორციელდეს პოლიტრავმით ინდუცირებული სეფსისისა და სეპტიკური შოკის მქონე პაციენტების მკურნალობა. მკურნალობის კურსის გაგრძელება რეკომენდებულია იმ პაციენტებში, რომელთაც აქვთ ნელი კლინიკური გაუმჯობესება, თანმსლები ვირუსული/სოკოვანი ინფექცია, იმუნოდეფიციტური მდგომარეობა, არადრენირებადი კერის არსებობა და ბაქტერიემია სტაფილოკოკ აურეუსით. სეფსისის დიაგნოზით მყოფი პაციენტების ემპირიული მკურნალობის მართვაში თუ ინფექციური პროცესის გამომწვევი აგენტების ვერიფიკაცია ვერ ხერხდება, ბიომარკერ პროკალციტონინის დონის განსაზღვრა წარმოადგენს დამხმარე დონისძიებას.

III. კვლევის მასალა და მეთოდები

ჩვენ მიერ რეტროსპექტულად შესწავლილ იქნა 2009-2017 წწ. პოლიტრავმით პირველადად ჰოსპიტალიზებული 18 წლიდან 72 წლამდე ასაკის მქონე პაციენტთა ავადმყოფობის ისტორიები. ყველა შემთხვევაში აღინიშნებოდა პოლიტრავმით ინდუცირებული ინფექციური გართულება. კვლევაში ჩართვის კრიტერიუმები იყო:

1. პირველადი ჰოსპიტალიზაცია;
2. პაციენტის ასაკი 18 წლიდან ზევით;
3. ჰოსპიტალიზაციის შემდგომი პოლიტრავმით ინდუცირებული ინფექციური გართულება;
4. სტაციონარიზაცია მინიმუმ 45 დღის მანძილზე;
5. დინამიკაში ჩატარებული სისხლის საერთო, ბიოქიმიური, გაზების, ელექტროლიტების და კოაგულოგრამის ანალიზები.
6. პაციენტის გაწერა სტაციონარიდან ლეტალური გამოსავლის გარეშე.

თუ პაციენტი ვერ აკმაყოფილებდა რომელიმე კრიტერიუმს, მისი ჩართვა საკვლევ ჯგუფში აღარ ხდებოდა. მოპოვებულ იქნა 98 სამედიცინო ისტორია, სადაც დაისვა პოლიტრავმით ინდუცირებული ინფექციური გართულება, კერძოდ: ჭრილობის ინფიცირება – 43 (42.14%), პნევმონია – 28 (27.44%), დაჩირქებული კანქვეშა ჰემატომა – 33 (32.34%), ფლევმონა – 14 (13.72%), კანისა და რბილი ქსოვილების აბსცესი – 16 (15.68%). აქედან 32 (31,36%) პაციენტს დაუდგინდა პოლიტრავმით ინდუცირებული სეფსისი. აქედან 5 პაციენტს განუვითარდა სეპტიკური შოკი. აღნიშნული 32 პაციენტიდან მხოლოდ 21 პაციენტის ისტორიამ დააკმაყოფილა ყველა კრიტერიუმი და ჩაერთო კვლევაში.

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა შემდგომი ფაქტორების, ბიომარკერებისა და ინდიკატორების დონეების დინამიკური ცვლილებები სისხლში: ჟანგბადის და ნახშირორჟანგის პარციალური წნევა, პროკალციტონინი, PH, ლიმფოციტები, ფრაქციული ოქსიჰემოგლობინი, ჰემატოკრიტი, ფრაქციული მეთემოგლობინი, ფიბრინოგენი, ფრაქციული დიოქსიჰემოგლობინი, ფრაქციული კარბოქსიჰემოგლობინი, ჰემოგლობინის კონცენტრაცია, ცერეპტიული ცილა; ასევე

ლაქტატის, გლუკოზის, ნატრიუმის, კალიუმის, ქლორის და კალციუმის კონცენტრაციები.

ჩამოთვლილ მონაცემთა დინამიკაში რეგისტრაციის და შემდგომ, დინამიკური კორელაციის განხორციელების მიზნით, უკლებლივ ყველა მონაცემის რეგისტრაცია ხდებოდა ჰოსპიტალიზაციიდან პირველი 45 დღის მანძილზე 5 დღიანი ინტერვალებით, რამაც საშუალება მოგვცა, თითოეულ მაჩვენებელზე გვექონოდა 189 მონაცემი და შესაძლო გახდა კვლევის ჩატარება სანდო სტატისტიკური დამუშავებით.

მიღებული შედეგების სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა SPSS (ვერსია 20.0) პროგრამული პაკეტით. შედეგები მიღებულ იქნა საშუალო სიდიდეების სტანდარტული ცდომილების სახით. სხვაობა ჯგუფებს შორის შეფასებულია სტუდენტის ტ-კრიტერიუმით. ყველა შემთხვევაში სტატისტიკური სარწმუნოება განისაზღვრულ იყო $P < 0.05$ მაჩვენებლის მიხედვით. მიღებულ პარამეტრებს შორის დამოკიდებულების გამოვლენის მიზნით ჩატარდა კორელაციური ანალიზი დინამიკაში.

კვლევაში ჩართული 21 პაციენტის მონაცემთა ბაზა იხ. ქვემოთ:

პაციენტი 1.

მამრ. 28 წ.	დღე 1	დღე 5	დღე 10	დღე 15	დღე 20	დღე 25	დღე 30	დღე 35	დღე 40	დღე 45	
pH	7.20 7	7.35 2	7.47 6	7.37 9	7.44 6	7.45 4	7.51 6	7.38 2	7.36 6	7.17 7	
pCO2	54.1	43.6	42.4	36.1	40.2	35.4	37.1	36.2	36.7	50.2	mmH G
pO2	48.1	41.6	169	240	139	68.1	179	72.5	41.6	32.9	mmH G
ctHb	142	105	95	84	174	123	106	67	79	43	g/L
Hctc	43.4	32.2	29.1	25.8	53.4	37.6	32.4	20.4	24.3	13.1	%
sO2	75.7	74.7	99.6	100. 2	99.7	95.2	100. 2	94.4	76.5	42.1	%
FO2H b	71.5	73.3	97.9	98.8	98.2	93.3	98.4	92.4	74.8	42	%
FCOH b	4.5	1.1	0.6	0.8	0.7	1.4	1.1	1	1.2	1	%
FHHb	23	24.8	0.4	-0.2	0.3	4.7	-0.2	5.5	23	57.7	%
FMet	1	0.8	1.1	0.6	0.8	0.6	0.7	1.1	1	0.3	%

Hb											
c Ka +	2.7	3.7	3.7	3.4	3	3.4	3.7	3.1	3.6	3.7	mmol/L
c Na+	144	139	139	127	133	127	126	146	151	152	mmol/L
c Ca 2+	0.88	0.91	0.89	0.9	0.99	1.6	1.01	0.95	1.14	0.57	mmol/L
c CL -	105	103	99	96	101	93	89	114	119	113	mmol/L
cGlu	8.5	5.3	7.1	10.1	5.2	4.3	5	4.9	6.9	4.4	mmol/L
cLac	2.7	1	1.5	1.4	1.9	2.1	1	1	1	2.6	mmol/L
CRP	<5,0	143	38	200	281	139	78	56	37	164	mg/L
Wbc	5.24	14.6	9.87	9.78	14.17	40.88	32.5	28.24	9.36	8.95	
Lym	14	3.2	10.3	2.9	2.1	0.4	3	3.6	5.3	3.9	
Fib	128	505	320	579	620	478	380	286	236	193	mg/dl
Pro Ca	0.6	5.2	3.8	4.2	3.6	5.5	6.7	8.2	11.3	12.6	

პაციენტი 2.

მამრ. 47წ.	ღღე 1	ღღე 5	ღღე 10	ღღე 15	ღღე 20	ღღე 25	ღღე 30	ღღე 35	ღღე 40	ღღე 45	
pH	7.31	7.44	7.43	7.39	7.47	7.42	7.51	7.48	7.44	7.48	
pCO2	42.00	34.00	40.50	34.30	43.00	53.90	38.10	41.50	46.10	41.40	mm HG
pO2	216.00	130.00	44.00	191.00	116.00	33.30	80.00	76.00	45.00	82.00	mm HG
ctHb	127.00	105.00	85.00	105.00	112.00	119.00	130.00	118.00	102.00	124.00	g/L
Hctc	39.00	32.20	26.10	32.10	34.50	36.50	39.00	36.10	31.10	38.10	%
sO2	99.80	99.30	78.00	99.80	99.30	60.20	96.90	95.40	78.40	96.70	%
FO2 Hb	96.90	97.40	76.50	97.70	99.50	58.90	95.10	94.90	77.90	95.00	%
FCO Hb	1.80	0.70	1.00	0.80	1.00	1.10	1.30	1.00	1.10	1.00	%
FHH b	0.20	0.70	21.60	0.20	0.70	39.00	3.00	4.60	21.50	3.20	%
FMet Hb	1.10	1.20	0.90	1.30	- 1.20	1.00	0.60	- 0.50	- 0.50	0.80	%
c Ka +	4.80	3.50	3.50	3.60	3.70	3.50	4.10	3.70	3.40	3.60	mml/L

c Na+	144.00	146.00	141.00	140.00	145.00	138.00	137.00	137.00	140.00	142.00	mmo l/L
c Ca 2+	0.83	0.68	1.10	1.03	0.70	0.82	0.84	0.94	0.73	0.90	mmo l/L
c CL -	116.00	108.00	106.00	110.00	100.00	92.00	95.00	98.00	97.00	102.00	mmo l/L
cGlu	8.70	5.50	6.40	5.20	4.70	4.30	5.50	4.40	3.70	4.90	mmo l/L
cLac	1.20	1.80	0.90	0.60	0.60	0.80	0.80	0.60	0.80	0.70	mmo l/L
CRP	35.00	226.00	201.00	122.00	67.00	46.00	87.00	56.00	43.00	35.00	mg/L
Wbc	16.38	9.55	10.61	8.32	16.30	8.75	16.38	12.87	11.32	9.55	
Lym	13.90	22.60	14.70	15.80	10.50	15.00	13.90	17.20	19.60	22.60	
Fib	331.00	415.00	398.00	326.00	298.00	259.00	305.00	289.00	263.00	242.00	mg/d l
Pro Ca	2.1	3.7	4.9	7.7	6.30	5.20	7.20	3.40	1.90	0.80	

პაციენტი 3.

მამრ. 50 წ.	დღე 1	დღე 5	დღე 10	დღე 15	დღე 20	დღე 25	დღე 30	დღე 35	დღე 40	დღე 45	
pH	7.33	7.407	7.437	7.454	7.55	7.37	7.40	7.39	7.46	7.44	
pCO2	46.2	40	38	36.2	40.60	40.00	28.90	29.30	31.30	36.40	mmHG
pO2	252	129	109	137	158.00	163.00	116.00	90.90	97.50	41.40	mmHG
ctHb	95	75	90	89	90.00	104.00	97.00	89.00	100.00	163.00	g/L
Hctc	29	23	27.4	27.4	27.50	31.80	29.80	27.20	30.60	49.90	%
sO2	100.1	99.5	98.9	99.7	99.80	99.50	98.70	97.30	97.80	73.00	%
FO2Hb	98	98.5	97.1	97.8	97.60	97.90	97.30	95.70	96.00	71.70	%
FCO Hb	1.1	0.8	0.7	1	1.00	0.60	0.60	0.90	0.60	1.10	%
FHHb	-0.1	0.5	1.1	0.3	0.20	0.50	1.30	2.70	2.20	26.50	%
FMet Hb	1	0.2	1.1	0.9	1.20	1.00	0.80	0.70	1.20	0.70	%
c Ka +	3.3	3.9	2.6	3	3.90	3.40	3.90	3.40	3.50	3.80	mmol /L

c Na ⁺	148	147	136	132	143.00	142.00	138.00	138.00	133.00	128.00	mmol /L
c Ca ²⁺	0.72	0.9	0.82	0.71	0.84	0.77	0.81	0.87	0.81	0.67	mmol /L
c CL ⁻	108	112	101	95	103.00	105.00	105.00	106.00	99.00	91.00	mmol /L
cGlu	12.8	7.4	6.2	9.2	6.80	5.40	6.10	5.30	7.50	5.80	mmol /L
cLac	2.6	0.8	0.8	1.3	1.40	0.80	0.70	0.80	0.50	1.20	mmol /L
CRP	<5,0	99	153	228	205.00	221.00	127.00	117.00	44.00	8.60	mg/L
Wbc	10.84	9.56	10.8	9.62	15.62	17.07	13.51	11.86	12.87	7.87	
Lym	58.8	8.2	12.2	14.9	9.80	11.80	10.70	10.10	22.80	28.90	
Fib	178	394	407	415	403.00	389.00	353.00	323.00	304.00	233.00	mg/dl
Pro Ca	1.1	1.7	2.8	3.5	7.30	8.60	6.30	2.80	1.30	0.70	

პაციენტი 4

მდე დრ. 32 წ.	დღე 1	დღე 5	დღე 10	დღე 15	დღე 20	დღე 25	დღე 30	დღე 35	დღე 40	დღე 45	
pH	7.251	7.352	7.392	7.435	7.50	7.43	7.36	7.43	7.33	7.29	
pCO ₂	43.2	38	37	36.2	38.60	38.30	38.50	28.70	29.90	33.60	mm HG
pO ₂	243	126	103	112	148.00	152.00	95.60	89.30	81.40	53.20	mm HG
ctHb	98	77	93	91	93.00	108.00	101.00	92.00	104.00	168.00	g/L
Hctc	29	23	27.4	27.4	27.50	31.80	29.80	27.20	30.60	49.90	%
sO ₂	98.2	96.9	97.6	97.7	97.30	97.60	97.50	95.60	95.70	70.00	%
FO ₂ Hb	101	101.5	99.1	99.9	99.30	97.80	95.40	94.20	95.40	68.30	%
FCO ₂ Hb	1.2	0.9	0.8	0.9	0.80	0.80	0.70	0.80	0.50	0.90	%
FHHb	-0.2	0.3	0.7	0.6	0.50	0.60	1.10	2.60	4.60	21.30	%
FMet Hb	1.1	0.3	1.3	1	1.10	1.10	0.90	0.80	1.30	0.80	%

c Ka +	3.5	3.9	2.8	2.8	3.20	3.60	3.80	3.10	3.50	3.70	mmo l/L
c Na+	152	156	128	127	143.00	144.00	1.40	1.50	131.00	126.00	mmo l/L
c Ca 2+	0.62	0.83	0.72	0.72	0.76	0.71	0.82	0.86	0.86	0.68	mmo l/L
c CL -	105	110	96	93	102.00	103.00	104.00	104.00	98.00	96.00	mmo l/L
cGlu	11.9	7.9	6.4	9.3	6.50	5.60	6.70	5.40	6.80	5.60	mmo l/L
cLac	2.4	0.9	0.9	1.6	1.50	0.90	0.80	0.90	0.60	1.10	mmo l/L
CRP	16	92	138	205	198.00	213.00	123.00	99.00	36.00	8.60	mg/L
Wbc	9.53	7.94	9.46	9.45	13.80	15.90	11.80	10.80	9.86	6.34	
Lym	5.3	7.2	10.6	14.6	8.70	9.96	9.94	9.96	20.30	24.60	
Fib	203	376	406	486	436.00	386.00	352.00	315.00	289.00	227.00	mg/d l
Pro Ca	0.9	2.3	3.4	3.9	7.40	8.30	6.10	3.70	2.30	0.80	

პაციენტი 5.

მაძრ . 56 წ.	დღე 1	დღე 5	დღე 10	დღე 15	დღე 20	დღე 25	დღე 30	დღე 35	დღე 40	დღე 45	
pH	7.23	7.38	7.361	7.353	4.48	7.36	7.36	7.26	7.46	7.31	
pCO ₂	48.6	42.3	41.3	38.6	39.60	40.20	29.60	32.30	36.80	35.90	mm HG
pO ₂	244	163	123	135	146.00	158.00	112.00	87.60	91.50	38.60	mm HG
ctHb	89	73	82	86	91.00	109.00	95.00	83.00	102.00	153.00	g/L
Hctc	27	24	26.8	26.8	26.70	29.30	28.30	27.30	29.60	43.50	%
sO ₂	99.6	94.6	98.2	98.297	98.60	99.40	97.60	96.50	96.30	69.30	%
FO ₂ Hb	101	100.6	99.4	98.6	99.40	98.60	97.60	97.50	98.60	65.70	%
FCO ₂ Hb	0.9	0.7	0.6	0.9	0.90	0.70	0.80	0.80	0.70	1.00	%
FHHb	-0.2	0.3	1	0.5	0.30	0.40	1.10	2.60	3.60	21.70	%
FMet	0.9	0.6	0.8	0.8	1.10	1.30	0.90	0.80	1.10	0.90	%

Hb											
c Ka +	3.1	3	2.7	2.8	3.60	3.50	3.30	3.10	3.20	3.60	mmo l/L
c Na+	151	149	138	128	136.00	143.00	139.00	138.00	134.00	130.00	mmo l/L
c Ca 2+	0.82	1.1	0.96	0.82	0.96	0.82	0.79	0.78	0.78	0.59	mmo l/L
c CL -	105	118	104	98	108.00	112.00	118.00	105.00	98.00	89.00	mmo l/L
cGlu 8	11.8	6.9	5.9	8.3	7.60	4.90	5.60	5.60	6.80	5.60	mmo l/L
cLac	2.3	0.9	0.9	1.2	1.30	0.90	0.80	0.70	0.60	1.30	mmo l/L
CRP	28	106	156	228	199.00	187.00	106.00	99.36	55.40	8.90	mg/L
Wbc	9.86	8.96	9.74	9.36	14.90	17.62	12.70	11.83	10.86	8.13	
Lym	26.4	8.6	13.8	19.6	12.60	12.80	10.70	9.60	23.80	32.60	
Fib	168	346	389	402	384.00	359.00	334.00	315.00	282.00	226.00	mg/d l
Pro Ca	1.3	1.5	2.7	3.6	6.80	8.40	6.10	3.80	2.10	0.90	

პაციენტი 6.

მამრ . 42 წ.	დღე 1	დღე 5	დღე 10	დღე 15	დღე 20	დღე 25	დღე 30	დღე 35	დღე 40	დღე 45	
pH	7.261	7.364	7.352	7.366	7.51	7.29	7.38	7.38	7.43	7.39	
pCO 2	52.4	38.6	35.4	38.9	42.10	39.60	32.50	32.60	32.70	35.80	mm HG
pO2	246	134	125	145	159.00	168.00	117.00	90.20	95.60	48.30	mm HG
ctHb	98	76	93	86	92.00	106.00	98.00	86.00	103.00	159.00	g/L
Hctc	32	26	30.4	30.8	30.60	34.60	29.70	29.60	32.60	50.20	%
sO2	106	103	98.9	103.6	103.40	106.70	104.80	101.60	101.80	83.20	%
FO2 Hb	102	95.6	97.6	100.5	100.60	98.60	96.40	93.50	91.30	72.60	%
FCO Hb	1	0.9	0.6	0.8	1.10	0.80	0.60	0.80	0.70	1.00	%
FHH b	0.1	0.4	1	0.6	0.50	0.40	0.80	1.50	10.30	28.90	%

FMet Hb	1.2	0.6	1.3	1.2	1.50	103. 00	0.90	0.80	0.90	0.80	%
c Ka +	3.6	4.1	3.5	2.8	3.60	2.90	3.40	3.00	3.10	3.60	mmo l/L
c Na ⁺	156	154	145	139	138. 00	137. 00	132. 00	136. 00	131. 00	129. 00	mmo l/L
c Ca 2+	0.8 1	0.9 6	0.86	0.73	0.82	0.76	0.79	0.73	0.69	0.63	mmo l/L
c CL -	111	117	99	97	100. 00	101. 00	102. 00	104. 00	98.0 0	96.0 0	mmo l/L
cGlu 8	11. 8	6.9	6.3	8.6	7.50	6.40	5.40	5.20	8.60	6.20	mmo l/L
cLac	2.4	1	0.8	1.1	1.60	0.70	0.80	0.40	0.80	1.10	mmo l/L
CRP	23	45	99	129	186. 00	201. 00	117. 00	106. 00	73.0 0	12.3 0	mg/L
Wbc	10. 32	9.8 7	10.3	9.63	14.6 0	15.4 0	13.6 0	12.3 0	11.8 0	8.80	
Lym	12. 2	9.6	11.3	15.6	10.2 0	11.6 0	10.3 0	15.6 0	18.9 0	24.8 0	
Fib	182	368	406	417	400. 00	386. 00	353. 00	312. 00	256. 00	234. 00	mg/d l
Pro Ca	0.9	1.3	2.3	3.2	6.20	7.10	6.20	4.10	2.80	0.90	

პაციენტი 7.

მდე დრ. 38 წ.	დღე 1	დღე 5	დღე 10	დღე 15	დღე 20	დღე 25	დღე 30	დღე 35	დღე 40	დღე 45	
pH	7.4 1	7.4 3	7.46	7.51	7.46	7.39	7.41	7.29	7.35	7.34	
pCO 2	42. 6	38. 6	37.9	38.7	39.6 0	38.9 0	31.8 0	29.7 0	34.5 0	37.6 0	mm HG
pO2	249	138	104	116	145. 00	159. 00	126. 00	92.7 0	98.9 0	56.8 0	mm HG
ctHb	83	72	86	86	93.0 0	106. 00	96.0 0	86.0 0	96.0 0	152. 00	g/L
Hctc	33	27	29.6	29.7	29.3 0	31.4 0	32.6 0	29.6 0	32.1 0	46.7 0	%
sO2	99. 6	97. 6	103. 6	103. 1	102. 80	104. 60	105. 30	96.7 0	89.3 0	78.6 0	%
FO2 Hb	96. 3	97. 6	89.6	96.4	98.6 0	99.7 0	96.3 0	94.5 0	88.6 0	72.6 0	%
FCO Hb	1	0.9	0.8	1.1	1.20	0.90	0.80	0.60	0.80	1.30	%
FHH	0.3	0.7	1.6	1.2	0.80	0.90	1.90	3.30	6.20	29.4	%

b										0	
FMet Hb	1.1	0.6	0.9	0.8	1.30	1.20	0.80	0.80	0.90	0.80	%
c Ka +	3.4	3.8	2.7	3.1	3.70	3.60	4.10	3.30	3.40	3.50	mmo l/L
c Na ⁺	152	153	129	124	138. 00	148. 00	135. 00	139. 00	134. 00	126. 00	mmo l/L
c Ca 2+	0.8 2	1.1	0.83	0.79	0.82	0.78	0.79	0.82	0.78	0.71	mmo l/L
c CL -	102	113	103	98	100. 00	101. 00	102. 00	103. 00	95.0 0	93.0 0	mmo l/L
cGlu 2	13. 2	7.9	6.4	8.9	9.20	6.30	5.80	4.80	5.50	5.40	mmo l/L
cLac	2	0.9	1.1	1.3	1.60	0.90	0.70	0.90	0.80	1.10	mmo l/L
CRP	8	38	69	115	189. 00	201. 00	156. 00	123. 00	55.0 0	10.3 0	mg/L
Wbc	9.9 8	9.4 6	9.96	9.58	16.5 0	17.8 0	12.8 0	10.5 0	11.6 0	8.36	
Lym	31. 3	9.2	13.6	16.4	11.3 0	12.8 0	10.3 0	9.81	19.6 0	23.5 6	
Fib	183	289	356	402	398. 00	976. 00	356. 00	316. 00	289. 00	216. 00	mg/d l
Pro Ca	0.8	2.1	2.6	3.3	6.40	7.80	5.80	3.40	1.90	0.80	

პაციენტი 8.

მამრ . 26 წ.	ღღე 1	ღღე 5	ღღე 10	ღღე 15	ღღე 20	ღღე 25	ღღე 30	ღღე 35	ღღე 40	ღღე 45	
pH	7.28	7.39	7.41	7.38	7.48	7.43	7.48	7.44	7.48	7.43	
pCO 2	46.5 0	35.8 0	39.6 0	34.7 0	40.1 0	47.6 0	37.9 0	38.6 0	37.9 0	42.6 0	mm HG
pO2	201. 00	156. 00	123. 00	149. 00	99.0 0	89.0 0	82.0 0	106. 00	76.0 0	86.0 0	mm HG
ctHb	132. 00	111. 00	95.0 0	100. 00	106. 00	108. 00	124. 00	118. 00	106. 00	127. 00	g/L
Hctc	40.1 0	35.6 0	24.6 0	33.6 0	38.6 0	36.7 0	39.8 0	35.9 0	36.4 0	37.5 0	%
sO2	101. 30	102. 40	96.4 0	96.5 0	97.4 0	65.4 0	89.6 0	101. 00	84.7 0	94.6 0	%
FO2 Hb	95.4 0	96.8 0	86.4 0	92.4 0	93.6 0	68.4 0	86.2 0	89.3 0	76.2 0	93.6 0	%
FCO Hb	1.60	0.80	1.10	0.80	1.30	1.50	1.30	1.20	0.90	1.10	%

FHH b	0.40	0.50	11.3 0	0.50	0.80	31.2 0	3.10	5.20	14.6 0	3.40	%
FMet Hb	1.30	1.50	0.80	1.20	0.70	1.20	0.50	- 0.60	- 0.60	0.70	%
c Ka +	5.80	3.60	3.70	3.50	3.90	3.40	3.90	3.50	3.70	3.40	mmo l/L
c Na ⁺	152. 00	151. 00	148. 00	143. 00	146. 00	139. 00	138. 00	139. 00	140. 00	142. 00	mmo l/L
c Ca 2+	0.76	0.75	1.20	1.02	0.85	0.93	0.74	0.96	0.76	0.82	mmo l/L
c CL -	126. 00	112. 00	114. 00	119. 00	105. 00	98.0 0	98.0 0	95.0 0	97.0 0	105. 00	mmo l/L
cGlu	9.10	6.30	6.40	5.30	4.80	4.20	5.10	4.70	4.10	4.50	mmo l/L
cLac	1.50	1.40	1.60	0.70	0.80	0.70	0.70	0.60	0.70	0.90	mmo l/L
CRP	28.0 0	221. 00	186. 00	156. 00	103. 00	56.0 0	63.0 0	42.0 0	35.0 0	24.0 0	mg/ L
Wbc	14.6 0	10.3 0	10.9 0	8.78	15.4 0	9.65	15.7 1	13.6 0	12.4 0	10.2 4	
Lym	14.8 0	21.2 0	15.6 0	14.8 0	11.5 0	14.6 0	16.8 0	17.9 0	18.4 0	21.6 0	
Fib	312. 00	387. 00	356. 00	315. 00	297. 30	276. 00	297. 00	267. 00	254. 00	234. 00	mg/d l
Pro Ca	1.8	2.7	4.2	5.4	5.90	6.20	5.60	3.10	1.50	1.10	

პაციენტი 9.

მამრ . 62 წ.	ღღმ 1	ღღმ 5	ღღმ 10	ღღმ 15	ღღმ 20	ღღმ 25	ღღმ 30	ღღმ 35	ღღმ 40	ღღმ 45	
pH	7.45	7.43	7.49	7.39	7.45	7.51	7.38	7.41	7.39	7.45	
pCO 2	39.5 0	37.6 0	39.6 0	35.7 0	39.6 0	48.6 0	37.4 0	40.3 0	43.6 0	38.6 0	mm HG
pO2	196. 00	133. 00	56.0 0	146. 00	136. 00	39.0 0	85.0 0	76.0 0	68.0 0	79.0 0	mm HG
ctHb	124. 00	113. 00	89.0 0	113. 00	124. 00	118. 00	134. 00	123. 00	124. 00	118. 00	g/L
Hctc	40.2 0	36.4 0	28.6 0	31.4 0	33.4 0	35.7 0	38.7 0	35.4 0	33.4 0	36.4 0	%
sO2	98.6 0	98.4 0	86.4 0	94.6 0	92.4 0	72.4 0	93.4 0	91.3 0	69.4 0	96.5 0	%
FO2 Hb	96.9 0	97.4 0	76.5 0	97.7 0	99.5 0	58.9 0	95.1 0	94.9 0	77.9 0	95.0 0	%
FCO Hb	1.50	0.90	1.10	0.90	1.20	1.30	1.10	0.80	0.90	1.20	%

FHH b	0.60	0.80	15.4 0	0.60	1.20	26.4 0	6.40	5.20	18.6 0	4.50	%
FMet Hb	1.20	1.30	1.10	1.40	- 0.80	1.20	0.80	- 0.70	- 0.80	1.00	%
c Ka +	4.20	3.80	3.40	3.90	3.50	3.30	3.70	3.60	3.70	3.20	mmo l/L
c Na ⁺	138. 00	142. 00	138. 00	136. 00	137. 00	134. 00	141. 00	136. 00	138. 00	142. 00	mmo l/L
c Ca 2 ⁺	0.96	0.78	1.00	1.00	0.80	0.90	1.01	0.96	0.81	0.93	mmo l/L
c CL -	113. 00	102. 00	112. 00	109. 00	103. 00	96.0 0	92.0 0	96.0 0	93.0 0	101. 00	mmo l/L
cGlu	6.90	5.40	7.20	5.40	4.80	4.10	5.20	4.70	3.80	4.60	mmo l/L
cLac	1.10	1.50	1.30	0.80	0.70	1.10	0.80	0.70	0.80	0.80	mmo l/L
CRP	9.00	119. 00	198. 00	134. 00	86.0 0	54.0 0	48.0 0	53.0 0	38.0 0	31.0 0	mg/ L
Wbc	15.2 4	12.5 2	12.4 0	9.63	13.6 0	9.30	14.2 5	11.3 2	10.0 2	9.63	
Lym	14.6 0	21.4 0	15.8 0	16.4 0	11.2 3	14.5 2	12.7 0	16.2 0	18.2 0	20.7 0	
Fib	324. 00	389. 00	375. 00	312. 00	286. 00	263. 00	289. 00	276. 00	254. 00	238. 00	mg/d l
Pro Ca	1.8	2.7	5.4	6.3	5.40	5.80	7.30	3.20	1.40	1.00	

პაციენტი 10.

მამრ . 37 წ.	ღღმ 1	ღღმ 5	ღღმ 10	ღღმ 15	ღღმ 20	ღღმ 25	ღღმ 30	ღღმ 35	ღღმ 40	ღღმ 45	
pH	7.43	7.42	7.38	7.36	7.42	7.43	7.49	7.42	7.39	7.42	
pCO 2	43.9 0	32.4 0	38.6 0	36.4 0	48.0 0	48.9 0	37.8 0	39.4 0	42.6 0	38.7 0	mm HG
pO2	176. 00	156. 00	49.7 0	194. 00	146. 00	76.0 0	92.0 0	77.0 0	58.0 0	79.0 0	mm HG
ctHb	124. 00	108. 00	89.0 0	109. 00	118. 00	121. 00	129. 00	120. 00	104. 00	118. 00	g/L
Hctc	37.4 6	33.4 7	29.6 7	31.8 7	34.6 9	34.7 8	38.2 8	34.1 5	32.4 5	36.7 6	%
sO2	101. 30	102. 60	83.6 0	92.4 0	94.7 0	70.4 0	86.4 0	97.6 0	76.2 0	92.7 0	%
FO2 Hb	98.3 4	96.7 0	79.6 0	96.7 0	98.5 0	67.2 0	91.4 0	88.4 0	79.1 0	92.4 0	%
FCO Hb	1.60	0.90	1.30	0.90	1.10	1.20	1.30	1.20	1.10	1.20	%

FHH b	0.30	0.80	14.3 0	0.90	0.70	24.9 0	6.40	8.70	5.30	2.80	%
FMet Hb	1.00	1.10	0.80	1.30	- 0.70	- 0.20	0.70	- 0.30	- 0.20	0.70	%
c Ka +	4.50	3.20	3.20	3.40	3.20	3.20	3.70	3.40	3.10	3.40	mmo l/L
c Na ⁺	138. 00	137. 00	136. 00	135. 00	142. 00	135. 00	137. 00	132. 00	138. 00	143. 00	mmo l/L
c Ca 2+	0.84	0.76	0.98	0.92	0.67	0.76	0.83	0.78	0.69	0.83	mmo l/L
c CL -	114. 00	106. 00	104. 00	107. 00	97.0 0	91.0 0	93.0 0	95.0 0	96.0 0	99.0 0	mmo l/L
cGlu	7.80	6.40	7.20	6.20	4.30	3.80	4.30	4.90	4.60	4.40	mmo l/L
cLac	1.20	1.60	1.30	0.70	0.80	0.90	1.10	0.80	0.60	0.70	mmo l/L
CRP	42.0 0	223. 00	196. 00	134. 00	72.0 0	52.0 0	83.0 0	42.0 0	38.0 0	36.0 0	mg/ L
Wbc	14.3 3	10.2 4	10.5 4	8.63	15.9 6	9.86	13.7 8	11.9 6	10.2 6	8.96	
Lym	16.3 0	16.3 0	13.4 0	14.6 0	11.3 0	14.5 0	14.9 0	16.3 0	18.4 0	21.6 0	
Fib	314. 00	410. 00	379. 00	364. 00	297. 00	267. 00	301. 00	378. 00	351. 00	231. 00	mg/d l
Pro Ca	2.3	3.9	5.5	6.9	6.70	7.70	5.20	3.80	2.80	0.90	

პაციენტი 11.

მაძრ . 49 წ.	ღღე 1	ღღე 5	ღღე 10	ღღე 15	ღღე 20	ღღე 25	ღღე 30	ღღე 35	ღღე 40	ღღე 45	
pH	7.38	7.41	7.43	7.41	7.45	7.42	7.43	7.44	7.43	7.47	
pCO 2	39.0 0	37.0 0	39.5 0	36.7 0	40.0 0	43.0 0	48.0 0	46.7 0	42.9 0	43.2 0	mm HG
pO2	196. 00	138. 00	49.0 0	134. 00	156. 00	49.0 0	98.0 0	72.0 0	56.0 0	76.0 0	mm HG
ctHb	135. 00	124. 00	96.0 0	116. 00	107. 00	726. 00	138. 00	16.0 0	108. 00	119. 00	g/L
Hctc	36.8 0	33.6 0	28.4 0	34.5 0	35.5 0	39.4 0	38.4 0	37.6 0	33.2 0	38.4 0	%
sO2	89.6 0	92.4 0	82.3 0	99.4 0	97.6 0	74.3 0	95.4 0	97.8 0	80.3 0	97.6 0	%
FO2 Hb	98.6 0	98.4 0	86.4 0	94.6 0	92.4 0	72.4 0	93.4 0	91.3 0	69.4 0	96.5 0	%
FCO Hb	1.60	0.80	1.20	0.90	1.20	1.20	1.10	0.90	1.00	1.10	%

FHH b	0.30	0.60	1.30	16.7 0	2.60	21.6 0	5.60	4.60	3.30	2.90	%
FMet Hb	1.30	1.20	1.10	1.10	- 0.80	1.50	0.80	- 0.90	- 0.80	1.20	%
c Ka +	4.30	3.70	3.50	3.70	3.40	3.30	3.80	3.40	3.50	3.70	mmo l/L
c Na ⁺	141. 00	143. 00	148. 00	143. 00	140. 00	137. 00	135. 00	132. 00	145. 00	148. 00	mmo l/L
c Ca 2 ⁺	0.98	0.78	0.90	1.20	0.80	1.23	0.87	0.93	0.82	1.00	mmo l/L
c CL -	111. 00	103. 00	108. 00	103. 00	101. 00	96.0 0	98.0 0	99.0 0	94.0 0	98.0 0	mmo l/L
cGlu	7.60	5.60	7.20	6.30	4.80	5.30	5.60	4.90	4.30	5.10	mmo l/L
cLac	1.10	1.70	1.30	0.90	0.80	1.10	0.90	0.70	0.90	0.70	mmo l/L
CRP	3.80	136. 00	176. 00	139. 00	88.0 0	59.0 0	83.0 0	56.0 0	48.0 0	37.0 0	mg/ L
Wbc	17.3 2	10.6 0	10.7 5	9.63	17.6 4	9.76	12.6 7	16.8 5	12.7 0	8.97	
Lym	15.2 0	18.9 0	16.2 0	16.6 0	12.3 0	16.4 0	14.6 0	16.7 0	18.4 0	20.6 0	
Fib	298. 00	356. 00	394. 00	354. 00	292. 00	246. 00	311. 00	299. 00	245. 00	236. 00	mg/d l
Pro Ca	5.3	3.1	4.5	6.4	5.80	4.90	6.80	4.40	2.10	1.00	

პაციენტი 12:

მამრ . 39 წ.	ღღმ 1	ღღმ 5	ღღმ 10	ღღმ 15	ღღმ 20	ღღმ 25	ღღმ 30	ღღმ 35	ღღმ 40	ღღმ 45	
pH	7.19	7.23	7.41	7.39	7.36	7.37	7.44	7.35	7.20	7.19	
pCO 2	53.0 0	46.9 0	46.3 0	38.4 0	39.7 0	34.8 0	38.7 0	41.6 0	42.8 0	52.9 0	mm HG
pO2	49.0 0	43.0 0	154. 00	201. 00	159. 00	89.0 0	167. 00	96.0 0	56.0 0	38.0 0	mm HG
ctHb	146. 00	39.0 0	86.0 0	81.0 0	158. 00	144. 00	123. 00	79.0 0	76.0 0	52.0 0	g/L
Hctc	44.6 0	38.7 0	29.6 0	25.6 0	59.7 0	39.8 0	34.6 0	29.8 0	27.6 0	15.9 0	%
sO2	78.9 0	76.8 0	83.4 0	103. 40	96.7 0	98.8 0	105. 40	96.4 0	83.6 0	56.4 0	%
FO2 Hb	70.3 0	72.6 0	99.6 0	96.4 0	98.6 0	93.4 0	93.8 0	86.7 0	76.6 0	51.4 0	%
FCO Hb	5.70	1.40	0.90	0.80	0.70	1.20	1.10	1.30	0.80	1.10	%

FHH b	23.4 0	22.5 0	1.20	2.30	0.90	3.60	2.90	6.10	12.6 0	39.7 0	%
FMet Hb	1.20	1.00	0.90	0.70	0.80	0.90	0.70	0.90	1.00	0.90	%
c Ka +	2.00	2.90	3.60	3.50	3.10	3.30	3.60	3.70	3.60	3.80	mmo l/L
c Na ⁺	142. 00	149. 00	133. 00	128. 00	138. 00	128. 00	119. 00	156. 00	142. 00	152. 00	mmo l/L
c Ca 2+	0.99	0.93	0.82	0.96	2.35	8.62	23.5 2	3.60	2.14	0.86	mmo l/L
c CL -	111. 00	108. 00	99.0 0	92.0 0	109. 00	97.0 0	83.0 0	125. 00	114. 00	123. 00	mmo l/L
cGlu	8.30	6.30	7.40	10.4 0	10.6 0	4.80	5.60	4.10	5.70	4.90	mmo l/L
cLac	2.30	1.90	1.40	1.80	1.90	2.60	1.60	1.70	1.50	2.20	mmo l/L
CRP	49.0 0	138. 00	156. 00	167. 00	156. 00	38.0 0	68.0 0	63.0 0	114. 00	159. 00	mg/ L
Wbc	5.78	12.6 4	11.1 1	36.7 0	13.5 6	32.7 0	29.8 6	26.7 4	13.5 6	12.4 1	
Lym	12.9 0	5.50	9.40	6.50	5.10	1.30	2.70	3.80	4.60	3.70	
Fib	189. 00	249. 00	283. 00	386. 00	462. 00	567. 00	523. 00	401. 00	2.86	176. 00	mg/d l
Pro Ca	0.8	3.7	4.1	5.2	4.40	5.90	6.60	7.80	9.10	9.60	

პაციენტი 13.

მდე დრ. 26 წ.	ღღე 1	ღღე 5	ღღე 10	ღღე 15	ღღე 20	ღღე 25	ღღე 30	ღღე 35	ღღე 40	ღღე 45	
pH	7.43	7.39	7.36	7.42	7.43	7.42	7.49	7.46	7.41	7.42	
pCO 2	39.6 0	37.8 0	39.7 0	36.7 0	43.6 0	52.1 0	39.7 0	43.1 0	42.9 0	43.7 0	mm HG
pO2	189. 00	156. 00	69.0 0	152. 00	23.0 0	49.0 0	83.0 0	62.0 0	48.0 0	86.0 0	mm HG
ctHb	136. 00	104. 00	82.0 0	107. 00	119. 00	127. 00	136. 00	117. 00	109. 00	129. 00	g/L
Hctc	41.6 0	33.2 0	29.7 0	28.7 0	33.7 0	37.4 0	38.9 0	38.1 0	33.8 0	37.4 0	%
sO2	96.8 0	99.4 0	79.2 0	103. 50	96.7 0	63.4 0	97.6 0	93.7 0	79.6 0	92.4 0	%
FO2 Hb	97.2 0	96.7 0	78.9 0	89.6 0	97.6 0	69.1 0	86.4 0	92.6 0	78.1 0	95.4 0	%
FCO Hb	1.30	0.80	1.00	0.90	1.30	1.20	1.00	0.80	0.80	1.10	%

FHH b	0.60	0.80	1.30	2.60	6.70	32.7 0	3.40	4.50	19.6 0	3.80	%
FMet Hb	1.20	1.30	0.80	1.10	1.30	1.50	0.80	0.60	1.30	0.90	%
c Ka +	3.20	3.60	3.70	3.40	3.80	3.70	4.60	3.80	3.60	3.90	mmo l/L
c Na ⁺	143. 00	146. 00	142. 00	141. 00	147. 00	141. 00	137. 00	138. 00	143. 00	144. 00	mmo l/L
c Ca 2+	0.93	0.85	0.96	1.10	0.83	0.86	0.86	0.93	0.76	0.86	mmo l/L
c CL -	113. 00	105. 00	105. 00	112. 00	108. 00	93.0 0	94.0 0	93.0 0	99.0 0	105. 00	mmo l/L
cGlu	7.60	6.40	4.90	5.60	4.40	4.10	5.90	4.30	3.80	4.50	mmo l/L
cLac	1.50	1.80	1.20	0.80	0.90	0.70	0.60	0.70	0.90	0.90	mmo l/L
CRP	12.0 0	113. 00	256. 00	138. 00	96.0 0	54.0 0	76.0 0	63.0 0	39.0 0	37.0 0	mg/ L
Wbc	17.2 3	9.52	10.3 4	9.46	15.3 6	9.45	15.2 7	13.6 4	13.4 6	9.47	
